



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

National Governance Program

საჯარო მმართველობის პროგრამა

ღია მონაცემთა მმართველობის შეფასების ანგარიში

2023

USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამა დია მონაცემთა მმართველობის შეფასების ანგარიში

მომზადებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების
სააგენტოსთვის, USAID საკონტაქტო ნომერი

7200AA21D00016/72011423F00004, USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამა

მოამზადა: ნატა გოდერძიშვილმა/მირიამ სტანკოვიჩმა

DAI Global LLC

7600 Wisconsin Avenue, Suite 200

ბეთესდა, მერილენდი 20814

ძირითადი საკონტაქტო პირები: რიჩარდ ჰეიზელვუდი, პროგრამის ხელმძღვანელი
(richard_haselwood@dai.com)

ანა გვენეტაძე, მმართველი ინსტიტუტის მიმართულების ხელმძღვანელი (anna_gvenetadze@dai.com)

შენიშვნა: ავტორის მიერ წინამდებარე დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები უშუალოდ არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული
შტატების

საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამა საქართველოში: დია მონაცემთა მმართველობის შეფასება

სარჩევი

შეჯამება.....	4
კვლევის შედეგები.....	8
რეკომენდაციები	11
სამართლებრივი და მარეგულირებელი რეკომენდაციები	11
რეკომენდაციები ღია მონაცემების პროგრამის დაფინანსების შესახებ.....	23
რეკომენდაციები კერძო სექტორის შესახებ	25
რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის შესახებ	30
რეკომენდაციები მედიის ჩართულობის შესახებ	32
მიგნებები	35
პოლიტიკური მხარდაჭერა მაღალი რანგის პოლიტიკოსებისგან	35
სახელმწიფო მონაცემთა მართვის პოლიტიკა, პროცედურები და მონაცემთა ხელმისაწვდომობა	43
მოთხოვნა ღია მონაცემებზე	46
სამოქალაქო ჩართულობა და შესაძლებლობები ღია მონაცემების მიმართულებით.....	48
ღია მონაცემთა პროგრამის დაფინანსება.....	50
ქვეყნის ტექნოლოგიებისა და უნარების ინფრასტრუქტურა	51
დანართები	54

აკრონიმები და აბრევიატურები

DGA	ციფრული მმართველობის სააგენტო
EU	ევროკავშირი
FOI	ინფორმაციის თავისუფლება
GDPR	მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
GoG	საქართველოს მთავრობა
ICT	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
MOJ	იუსტიციის სამინისტრო
ODRA	ღია მონაცემების მზაობის შეფასება
OGD	ღია მმართველობის მონაცემები
OGP	ღია მმართველობის პარტნიორობა
SPA	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
US	ამერიკის შეერთებული შტატები
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
USAID	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

შესავალი

საქართველოს მთავრობისა (GoG) და USAID-ის საქართველოს საჯარო მმართველობის პროგრამისთვის მონაცემების ხელმისაწვდომობა, მათი ხელახალი გამოყენების შესაძლებლობა, ეკონომიკური პერსპექტივა და სოციალური ღირებულება ყველაზე პრიორიტეტულ საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება. აღნიშნული სტრატეგიული პრიორიტეტების გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევის მიზანია პრაქტიკული და ქმედითი დოკუმენტის შემოთავაზება, რომელიც შეაფასებს საქართველოს მთავრობის (GoG) მზადყოფნას ღია მონაცემთა ეროვნული პროგრამის შემუშავების, დანერგვისა და შეფასებისთვის. ღია მონაცემთა მართვის სამაგიდო კვლევა შემუშავებულია ODRA-ს (ღია მონაცემების მზაობის შეფასება) შემოკლებული ვერსიის მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც შექმნილია მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ და აერთიანებს რვა ძირითად ასპექტს: (1) ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, (2) პოლიტიკა/სამართლებრივი ჩარჩო, (3) ინსტიტუციური სტრუქტურები, პასუხისმგებლობები და შესაძლებლობები მთავრობის ფარგლებში, (4) სახელმწიფო მონაცემთა მართვის წესები და პროცედურები, (5) მოთხოვნა ღია მონაცემებზე, (6) სამოქალაქო ჩართულობა და შესაძლებლობები ღია მონაცემთა განვითარების მიმართულებით, (7) ღია მონაცემთა პროგრამის დაფინანსება, და (8) ტექნოლოგიებისა და სათანადო უნარ-ჩვევების ეროვნული ინფრასტრუქტურა. ანგარიში ასახავს საჯარო, კერძო და აკადემიური სექტორების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების მიგნებებს. გარდა ამისა, მასში ასახულია ლიტერატურულ წყაროებისა და საქართველოს კონტექსტისთვის რელევანტური მასალების სამაგიდო კვლევის შედეგები.

შეჯამება

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში საჯარო მონაცემების გამოქვეყნების კუთხით გარკვეულ პროგრესს მიაღწია, წინამდებარე შეფასების შედეგები გვიჩვენებს, და ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებიც ადასტურებს, რომ ერთ-ერთი მთავარი ჩავარდნა, რომლის გამოსწორებაზეც ქვეყანამ უნდა იზრუნოს, არის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კანონმდებლობის დახვეწა და ღია მონაცემთა სტანდარტების შემუშავება, რაც ღია მონაცემთა განვითარებისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

ღია მონაცემთა მნიშვნელობის აღიარების მიუხედავად, უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება და მიღება არ მომხდარა, რაც მთავრობის მხრიდან არასაკმარის ჩართულობაზე მეტყველებს. აღნიშნული კი ხაზს უსვამს პოლიტიკური მხარდაჭერის ნაკლებობას, რაც ღია მონაცემთა განვითარების პროცესში უმთავრეს დაბრკოლებას წარმოადგენს.

მარეგულირებელი თუ პოლიტიკური ჩარჩოს არარსებობის პირობებში, ერთადერთი ინსტიტუციური პლატფორმა, რომელსაც უკვე წლებია წვლილი შეაქვს ღია მონაცემთა

ინდივიდუალური პროექტების განვითარებაში, არის ღია მმართველობის პარტნიორობა, რომელსაც საქართველო 2012 წელს შეუერთდა.

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) წევრად გახდომის შემდეგ საქართველომ არაერთ აღსანიშნულ წარმატებას მიაღწია. OGP საქართველოს ფორუმის ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით, არაერთი ტრანსფორმაციული ინიციატივა განხორციელდა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ღია მონაცემთა განვითარებაში; აღნიშნული მოიცავდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეფორმის დაწყებას, სახელმწიფო სერვისების ერთიანი პორტალის (my.gov.ge) ჩამოყალიბებას, ქვეყანაში პირველ, ღია მონაცემების პორტალის შექმნას (data.gov.ge) და სხვას.

თუმცა, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და [ღია ბიუჯეტისა](#)¹ და ღია მმართველობის ინდექსების სასურველი მაჩვენებლების მიუხედავად, ბოლო წლებში ქვეყანა საგრძნობლად ნაკლები წინსვლა აქვს OGP-ის ფარგლებში ღია მონაცემთა გაფართოების გზით გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიმართულებით. OGP საქართველომ ზედიზედ ორჯერ ვერ მიაღწია კონსენსუსს სამოქალაქო საზოგადოებასთან OGP-ის სამოქმედო გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებით. აღნიშნულმა ფაქტმა გამოკვეთა, რომ ღია მონაცემების ფართო რეფორმების გატარებას სათანადო ძალისხმევა არ ეთმობა, რაც ღია მონაცემების განვითარების მხარდამჭერი პროგრამებისა და სტრატეგიული ჩარჩოების შემუშავების კუთხით პოლიტიკური ნების შესუსტების ინდიკატორია.

ზემოხსენებულის თანახმად, დღესდღეობით ღია მონაცემთა განვითარებისთვის უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს საკანონმდებლო სისტემის არარსებობა როგორც ღია მონაცემებისთვის, ასევე — მონაცემთა დამუშავებისთვის. აღნიშნული კი ხელს უშლის ღია მონაცემთა მყარი ეკოსისტემის შექმნას. სამართლებრივი ჩარჩოსა და ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობასთან ერთად, ღია მონაცემთა ცალკეული ინიციატივების სუსტი ცენტრალიზებული კოორდინირება აფერხებს ქვეყნის ტექნოლოგიურ პროგრესსა და ღია მონაცემთა ინიციატივების განვითარებას. არსებული მმართველობის სტრუქტურის შესაბამისად, ღია მონაცემთა პოლიტიკის განვითარებასა და დანერგვაზე პასუხისმგებელია იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო (DGA). თუმცა, პოლიტიკურ და სტრატეგიულ დონეებზე, ხელმძღვანელობის მხრიდან არასაკმარისი მხარდაჭერა, მმართველობის სტრუქტურა, ადამიანური და ფინანსური რესურსების ნაკლებობა ხელს უშლის ციფრული მმართველობის სააგენტოს (DGA) ფუნქციების ეფექტიანად შესრულებაში.

ღია მონაცემთა ნელი და არასრულფასოვანი ათვისების მიზეზს ასევე წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გაციფრულების ინიციატივები ფრაგმენტული და შეუთანხმებელია. მონაცემთა დაარქივებისა და ციფრული სახით შენახვის სტანდარტული ტექნოლოგიური ფორმატებისა და დაწესებული სტანდარტების არარსებობას მიჰყავართ ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს არაკოორდინირებულ განვითარებამდე. სახელმწიფო რეესტრისა და სისტემების გაციფრულება 2004 წლიდან დაიწყო, თუმცა, საჯარო სექტორის ფარგლებში, საჯარო მონაცემებთან დაკავშირებული პროცედურების ციფრული ვერსიებისა და ფიზიკური ვერსიების შედარებით კვლევა ჯერ კიდევ არ არსებობს. დოკუმენტბრუნვის სხვადასხვა ტიპის სისტემების გამოყენების მიუხედავად, სახელმწიფო მონაცემთა მიმოცვლის სტანდარტული ტექნოლოგიური ფორმატები შემუშავებული არ არის. მონაცემთა დაარქივებისა და ციფრული შენახვისთვის დადგენილი

¹ [რეიტინგი | საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობა](#)

წესები, პროცედურები და ერთიანი, ურთიერთთავსებადობის ჩარჩო არ არსებობს. აღნიშნული კი ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს არაკოორდინირებულ განვითარებასა და ხელმისაწვდომი რესურსების არაეფექტიან გამოყენებას იწვევს. ხარვეზები მონაცემთა მართვის პოლიტიკაში შეინიშნება ეროვნულ, სექტორულ და ინსტიტუციურ დონეებზე.

ქვეყანას არ ჰყავს ღია მონაცემთა სფეროს აქტორები, რომლებიც მხარს უჭერენ და ადვოკატირებას უწევენ მკაფიო კანონმდებლობის შემუშავებას, განსაზღვრავენ მონაცემთა მფლობელების პასუხისმგებლობებს, აყალიბებენ გარკვეულ პროცესებს მონაცემთა ხარისხიანობისა და მთლიანობის უზრუნველსაყოფად და ადგენენ მონაცემთა ხელახალი გამოყენების სტანდარტებს. მათი არსებობა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ღია მონაცემების განვითარებისა და მათი გამოყენების პოტენციალის რეალიზებაში. ეს კი საფუძვლად უდევს დადებით სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებს.

ჩატარებული ინტერვიუებისა და კვლევების შედეგად, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს ორგანიზაციების მხრიდან ღია მონაცემებზე დაბალი მოთხოვნა გამოვლინდა. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულნი იმის შესახებ, თუ რა როლი აქვს ღია მონაცემებს მთავრობის ზედამხედველობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობაში. შესაბამისად, მათი მხრიდან საჭიროა უფრო აქტიური მონაწილეობა ღია მონაცემთა განვითარებაში. ასევე, ქვეყანაში არ არსებობს კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაციები, რომელთა წარმატებაშიც ღია მონაცემთა სხვადასხვა სახის ნაკრები დიდ როლს ითამაშებდა. ნახსენები ხაზს უსვამს, რაოდენ საჭიროა სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციებისთვის მონაცემთა ხელმისაწვდომობის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა.

კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებასთან ერთად, ღია მონაცემები პოტენციურად დადებით გავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე. ღია მონაცემთა სხვადასხვა სახის ნაკრების ხელმისაწვდომობა კერძო სექტორს ინოვაციების დანერგვისა და თანამშრომლობის გაუმჯობესების საშუალებას მისცემს. აღნიშნული კი საფუძვლად უდევს ახალი პროდუქტებისა და სერვისების შექმნას, რაც ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. საქართველოში კერძო სექტორის მხრიდან სათანადოდ არაა გააზრებული ღია მონაცემებისა და მათი გამოყენების პოტენციალი ბიზნესის განვითარებაში. გარდა ამისა, კერძო სექტორის წარმომადგენლებს არ გააჩნიათ მონაცემთა ანალიზისთვის საჭირო უნარები. მთავრობა არ უწყობს ხელს მონაცემთა ხელახალ გამოყენებასა და ჰაკათონების ორგანიზებას. იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი ღონისძიებები საუკეთესოდ წარმოაჩენს იმას, თუ როგორ შეიძლება ღია მონაცემები გარდაიქმნას ბიზნეს-პროდუქტებად და სერვისებად, არსებული პრობლემა მწვავედება. ღია მონაცემებზე მოთხოვნის გაზრდისთვის აუცილებელია საჯარო, პროაქტიული ინფორმაციული კამპანიების ჩატარება, ასევე — სამოქალაქო ჩართულობის გაზრდასა და ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებაზე ზრუნვა. საქართველოს მთავრობის როლი ღია მონაცემთა განვითარებაში გადამწყვეტია.

2023 წლის დეკემბერში, სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და OGP-ის საბჭომ

USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამა საქართველოში: ღია მონაცემთა მმართველობის შეფასება

მხარი დაუჭირეს მთავრობის პროექტს — [OGP-ის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა](#)², მიუხედავად იმისა, რომ იგი სათანადოდ არ ასახავდა ნახსენები ორგანიზაციების ინიციატივებსა და შეთავაზებებს. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმ მიზნით, რომ ქვეყანას OGP-ის არააქტიურ წევრად აღიარების საშიშროება აერიდებინა (ამას საფუძვლად ედო ის ფაქტი, რომ საქართველომ სამოქმედო გეგმა ზედიზედ ორჯერ არ წარმოადგინა). დამტკიცებულ გეგმაში აღწერილი ერთ-ერთი საკვანძო ინიციატივა არის ღია მონაცემთა ჩარჩოს შემუშავება, რომლის მიღებაც ღია მონაცემთა განვითარების პროცესს პოტენციურად დააჩქარებს.

² <https://ogpgeorgia.gov.ge/en/action-plan/>

კვლევის შედეგები

არასაკმარისი პოლიტიკური ძალისხმევა: დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის შედეგად, მთავრობის მხრიდან ღია მონაცემთა დანერგვის მიმართ მზაობა 10-დან 6 ქულით შეფასდა, რაც ძალისხმევის არადამაკმაყოფილებელ დონეზე მდებარეობს. აღნიშნულ ინტერვიუებში იკვეთება პრობლემები, როგორიცაა არასახარბიელო პოლიტიკური კულტურა და მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებული შიშები და ეჭვები. გარდა ამისა, რესპონდენტთა აზრით, პრაქტიკაში გატარებული ღონისძიებები აცდენილია პოლიტიკურ მიზნებს. ყოველივე ეს კი საფრთხეს უქმნის ღია მონაცემთა რაციონალურ მართვას. რესპონდენტები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მხრიდან ღია მონაცემების თემას არასაკმარისი ყურადღება ექცევა. მეტიც — პოლიტიკური მხარდაჭერის არარსებობის პრობლემა მთელი ქვეყნის მასშტაბითაა გავრცელებული. მთავარი ფაქტორი, რომელიც საქართველოში ღია მონაცემთა ხელმისაწვდომობას აბრკოლებს, არის მაღალი რანგის პოლიტიკოსთა არასაკმარისი ჩართულობა.

ღია მონაცემთა სისტემა: ამჟამად, მთავრობას არ აქვს შემუშავებული ღია მონაცემებთან დაკავშირებული კონკრეტული პოლიტიკა, რამაც ორგანიზაციებში ღია მონაცემთა კულტურის არასტაბილური და არათანაბარი განვითარება გამოიწვია. გარდა ამისა, არ არსებობს მონაცემთა გამოქვეყნებისა და გაზიარების დადგენილი სტანდარტი და ფორმატი, რაც ხელს უშლის მონაცემთა სხვადასხვა ნაკრებსა და პლატფორმას შორის თავსებადობას და მათ გამოყენებასაც ართულებს. მეტიც — შემუშავებული არაა სათანადო სახელმძღვანელო მითითებები და მექანიზმები, რომლებიც საჭიროა ღია მონაცემთა ხარისხის, სისწორისა და სანდოობის შენარჩუნებისთვის (მონაცემთა დადასტურების, გადამოწმებისა და ჩაწერის ჩათვლით).

საკოორდინაციო მექანიზმები: ციფრული ტრანსფორმაციისკენ სწრაფვის ერთიანი ძალისხმევის არარსებობა აფერხებს ქვეყნის ტექნოლოგიურ პროგრესსა და ღია მონაცემთა შექმნას. ელექტრონული მმართველობისა და ციფრული სექტორების განვითარების მიუხედავად, ერთიანი სტრატეგიისა და ცენტრალური საკოორდინაციო სისტემის არარსებობა აბრკოლებს რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და პოტენციური სარგებლის მიღებას. აღნიშნული საკოორდინაციო სისტემის არარსებობის შედეგად ციფრული პროექტები დანაწევრებულია — მათზე ერთდროულად სხვადასხვა ორგანიზაცია და სექტორი მუშაობს. ცენტრალური საკოორდინაციო მექანიზმის გარეშე, რთულდება ციფრული ტრანსფორმაციისა და ღია მონაცემების იმგვარი ინიციატივების გამორჩევა, რომლებიც სოციალურ საჭიროებებს უპასუხებს.

მონაცემთა სტანდარტებისა და ურთიერთთავსებადობის ჩარჩოს არარსებობა: სახელმწიფო რეესტრისა და სისტემების გაციფრულების (2004 წლიდან) მიუხედავად, დადგენილი სტანდარტებისა და წესების არარსებობის გამო, მონაცემთა დაარქივება და ციფრული სახით შენახვა კვლავ დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს — ჯერ-ჯერობით ამ მიმართულებით მუშაობას შედეგი არ გამოუღია. ასევე, ერთიანი, ურთიერთთავსებადობის ჩარჩოს არარსებობამ გამოიწვია ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს არაკოორდინირებული განვითარება და რესურსების დუბლირება. ყოველივე ეს კი ზრდის პოტენციური ჩავარდნებისა და ხარვეზების რაოდენობას. საქართველოში მონაცემთა მართვის წესების ნაკლებობა სახელმწიფო, სექტორულ და ინსტიტუციურ დონეებზე შეინიშნება, რაც ხაზს უსვამს ღია მონაცემთა მართვის კომპლექსური რეფორმების შემუშავების საჭიროებას.

ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა: ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ღია მონაცემებით სარგებლობის უპირატესობები სათანადოდ არაა გაცნობიერებული. მთავრობის სექტორში ადამიანური რესურსების ნაკლებობა, ბიუროკრატიული პროცესები და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პოტენციური უპირატესობების უგულებელყოფა აბრკოლებს ღია მონაცემთა განვითარებას. გარკვეული მიზეზების გამო, ღია მონაცემებზე მოთხოვნა მცირეა, განსაკუთრებით — სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის, აკადემიური სფეროსა და მედიის მხრიდან. პირველ რიგში იმიტომ, რომ აღნიშნული სექტორები ღია მონაცემთა ხელმისაწვდომობისა და მისი პოტენციური სარგებლის შესახებ ინფორმირებულნი არ არიან. კერძო კომპანიების, აკადემიური სფეროსა და მედიის წარმომადგენლებს არ გააჩნიათ მონაცემთა ეფექტიანი ანალიზისთვის საჭირო უნარები, შედეგად ისინი ვერ ახერხებენ ღია მონაცემთა გამოყენებას. ეს პრობლემა ფართო საზოგადოებაშიც იჩენს თავს — შეინიშნება ღია მონაცემების დამუშავებისთვის საჭირო ინფორმაციის, ცოდნისა და უნარების ნაკლებობა. გარდა ამისა, მინიმალურია დაინტერესება კერძო სექტორის, მედია საშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ღია მონაცემთა გამოყენების მიმართ, სამეწარმეო საქმიანობისა და საგამოძიებო ჟურნალისტიკის კუთხით. საჯარო სექტორის მიერ საერთო ღონისძიებების, ჰაკათონებისა და მონაცემებთან დაკავშირებული ინიციატივების განუხორციელებლობა ამწვავებს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან დაბალი ჩართულობის პრობლემას. მობილური აპლიკაციების ეკონომიკა საქართველოში ცალსახად მზარდია, თუმცა, ღია მონაცემების საშუალებით შექმნილი აპლიკაციების შესახებ ცოტა რამაა ცნობილი. მთავრობის მხრიდან არ შეინიშნება მონაცემთა ხელახლა გამოყენების ხელშეწყობა. არსებულ მონაცემთა ნაკრებებიც კი არარეგულარულად ახლდება. ღია მონაცემებზე მოთხოვნის გაზრდის მიზნით, რეკომენდებულია საკითხის ხშირი, საჯარო განხილვები, სამოქალაქო ჩართულობისა და საინფორმაციო კამპანიების უზრუნველყოფა. საქართველოს მთავრობის უშუალო ჩართულობა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს როგორც მონაცემთა ღიაობის ინიცირებაში, ასევე — აღნიშნული პროცესისთვის თვალყურის მიღევნებაში (პროექტის ჩაშვებიდან მის ეფექტიან გამოყენებამდე).

ღია მონაცემთა პროექტები და ღია მონაცემთა შექმნაზე პასუხისმგებელი პირები: 2014 წელს DATA.GOV.GE პორტალის (რომელზეც ამჟამად მხოლოდ 174 რეგულარულად განახლებადი მონაცემთა ნაკრებია განთავსებული) გაშვების მიუხედავად, სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოუყალიბებლობის გამო, საჯარო ორგანიზაციები პლატფორმაზე მონაცემთა ნაკრების ატვირთვას თავს არიდებენ. შედეგად კი პლატფორმას ფართო გამოყენება არ აქვს. პასუხისმგებლობა ღია მონაცემებთან დაკავშირებულ ინიციატივებსა და მათ გამოქვეყნებაზე საჯარო სექტორის რამდენიმე გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შორის არის გაფანტული — არ არიან გამოკვეთილი ლიდერები, რომლებიც ამ ძალისხმევებს სათავეში ჩაუდგებოდნენ. მონაცემთა მფლობელების ვალდებულებების შესახებ მკაფიო კანონმდებლობის არარსებობა ხელს უშლის ღია მონაცემთა ეკოსისტემის განვითარებას. დაინტერესებული მხარეები რეკომენდაციას უწევენ კონკრეტული როლების განსაზღვრას, რაც აუცილებელია როგორც მონაცემთა ხარისხისა და მთლიანობის შესანარჩუნებლად, ასევე — მონაცემთა ხელახალი გამოყენების სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. ამით კიდევ ერთხელ იკვეთება კომპლექსური რეფორმების გატარებისა და ლიდერების არსებობის აუცილებლობა.

ღია მონაცემთა განვითარების დაფინანსება: მიუხედავად იმისა, რომ დონორი ორგანიზაციები (USAID, UNDP, EU, და GIZ) აქტიურად უჭერენ მხარს ღია მონაცემთა ინიციატივებს, პროექტების სტაბილურ მართვას დიდწილად აბრკოლებს ფინანსური რესურსების ნაკლებობა ხელისუფლების მხრიდან. დონორ ორგანიზაციებზე ზედმეტად დაყრდნობა, ხელისუფლების ბიუჯეტიდან მხარდაჭერის არქონის ფონზე, ნაკლებად გამართლებულ მიდგომას წარმოადგენს.

ხელისუფლების მხრიდან საბიუჯეტო მხარდაჭერის არარსებობის გამო ღია მონაცემთა ინიციატივები ხანმოკლეა, შემოიფარგლება რამდენიმე პროექტით და არაა სისტემურად ინტეგრირებული, რაც დაბალი პოლიტიკური ჩართულობის პრობლემას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

რეკომენდაციები

საქართველოში ღია მონაცემთა ეკოსისტემის განვითარებას მრავალი სხვადასხვა ტიპის ფაქტორი აბრკოლებს. მთავარ პრობლემებს შორის შეიძლება დასახელდეს: მყარი სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩოების არარსებობა, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მხრიდან სათანადო ყურადღების ნაკლებობა და დაინტერესებული მხარეების (მონაცემთა მიმწოდებლებისა და მონაცემთა მომხმარებლების ჩათვლით) არასაკმარისი ინფორმირებულობა ღია მონაცემთა მნიშვნელობის შესახებ. სახელმწიფო დაწესებულებებს არ გააჩნიათ საჭირო შესაძლებლობები და უნარები იმისათვის, რომ მონაცემები მანქანაკითხვად ფორმატებში ხელმისაწვდომი გახადონ. ამავდროულად, ქვეყანაში მონაცემთა მართვის წესებისა და პროცედურების შესამჩნევი ნაკლებობაა. ეროვნული სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამის არარსებობა ამწვავებს აღნიშნულ პრობლემებს. დონორი ორგანიზაციების მიერ გამოხატული ინტერესის მიუხედავად, სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის გარეშე, ღია მონაცემთა ინიციატივების სიმყარე ეჭვქვეშაა.

სამართლებრივი და მარეგულირებელი რეკომენდაციები

ღია მონაცემებისთვის ფართო სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა

საქართველოში ღია მონაცემების განვითარებისთვის საჭირო სამართლებრივი ჩარჩო შემუშავებული არაა. არ არსებობს სახელმწიფო მონაცემების დამუშავებისთვის აუცილებელი, დადგენილი წესები თუ სტანდარტები. საწყისი გეგმის მიხედვით, 2015 წელს შექმნილ, ინფორმაციის თავისუფლების (FOI) კანონში უნდა შესულიყო დებულებები ღია მმართველობის მონაცემების შესახებ. თუმცა, კანონი ჯერ კიდევ არ მიღებულია და სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევას, რომელიც მიზნად ისახავდა ღია მონაცემების დარეგულირებას ინფორმაციის თავისუფლების (FOI) კანონის მეშვეობით, წარუმატებელი აღმოჩნდა. ამჟამად, არ არსებობს ღია მონაცემების ცალსახა განმარტებები, რეგულაციები თუ სტანდარტები, რომლებიც განისაზღვრავენ როგორც მონაცემთა შექმნაზე პასუხისმგებელ პირებს, ასევე — მონაცემთა გამოქვეყნების გზებს. სახელმწიფო დაწესებულებები მონაცემებს მოხალისეობრივად აქვეყნებენ. მონაცემთა დამუშავების პროცესი სხვადასხვა დაწესებულებაში განსხვავებულად მიმდინარეობს. სახელმწიფო მონაცემების პოლიტიკა არაერთგვაროვანია. წესები მიმოფანტულია სხვადასხვა კანონსა თუ კანონქვემდებარე აქტში, რომლებიც არეგულირებს ინფორმაციის უსაფრთხოებას, პერსონალურ მონაცემებს, ზოგად ადმინისტრაციულ საქმისწარმოებას და სხვ. არ არსებობს ერთიანი სტანდარტები და ლიცენზირების წესები (თავისუფალი ლიცენზიების ჩათვლით). იმისათვის, რომ საქართველოს მთავრობამ შეძლოს გამჭვირვალობის, ინოვაციებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა, აუცილებელია ღია მონაცემებისთვის ფართო სამართლებრივი ჩარჩო შეიქმნას. აღნიშნული ჩარჩო უნდა შემუშავდეს ისეთ საკითხთა გადასაჭრელად, როგორებიცაა ლიცენზირება, მონაცემთა ხელახალი გამოყენება და სახელმწიფო მონაცემთა დამუშავების სტანდარტები. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ღია მონაცემებისთვის ცენტრალიზებული სამართლებრივი ჩარჩოს განვითარებასა და დანერგვას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ღია მმართველობის ინიციატივების წარმატებაში.

ამ პროცესში გადამწყვეტ ნაბიჯად მიიჩნევა ისეთი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, რომელიც თანხვედრაში იქნება არსებულ, მიღებულ პრინციპებთან. ამ მხრივ, ღია მონაცემების ქარტია ღირებულ რესურსს წარმოადგენს. ღია მონაცემების ქარტიაში აღწერილი პრინციპები ერთგვარი სახელმძღვანელო მითითებებია, რომლებიც სახელმწიფო მოხელეებს ღია მონაცემებისთვის სათანადო სტანდარტების შექმნაში ეხმარება. აღნიშნული პრინციპები სამართლებრივ ჩარჩოში ჩართვით, მთავრობა უზრუნველყოფს, რომ მისი მიდგომა ღია მონაცემების მიმართ საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკას ეფუძნება.³

სურათი 1. ღია მონაცემების ქარტიის პრინციპები



წყარო: <https://open-data-charter.gitbook.io/odcmeasurement-guide/untitled-1>

ღია მონაცემებისთვის ცენტრალიზებული სამართლებრივი ჩარჩოს დანერგვა წარმატებით მოახერხა გაერთიანებულმა სამეფომ. გაერთიანებული სამეფოს ღია მმართველობის ლიცენზია (OGL) მკაფიო და ლიბერალური ლიცენზირების მოდელია და სახელმწიფო მონაცემთა ხელახალი გამოყენებას უზრუნველყოფს. ის ამარტივებს ინფორმაციაზე საჯარო წვდომას და ხელს უწყობს ინოვაციური საშუალებებისა და სერვისების განვითარებას.

გარდა ამისა, აუცილებელია არსებული კანონმდებლობის გადახედვა (მაგ., ინფორმაციის თავისუფლების (FOI) კანონის) და მასში ღია მმართველობის მონაცემებთან (OGD) დაკავშირებული დებულებების ჩართვა. ამგვარი ინტეგრაცია უზრუნველყოფს მაღალი დონის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას, რომელიც მკაფიოდ აღიარებს ღია მონაცემთა მნიშვნელობას მთავრობის გამჭვირვალობის ფართო კონტექსტში. კანადა ამ მიმართულებით წარმატებული აღმოჩნდა: ქვეყანამ შესწორებები შეიტანა ინფორმაციაზე წვდომის კანონში და დაამატა ჩარჩო, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს სახელმწიფო მონაცემთა პროაქტიულ გამჟღავნებას.

³ <https://opendatacharter.net/principles/>

ღია მონაცემთა მართვა: ესტონეთის მაგალითი

ესტონეთმა, რომელსაც ხშირად „ციფრული საზოგადოებას“ უწოდებენ, ღია მონაცემების განვითარება დაიწყო ცალსახა სურვილით, შეექმნა გამჭვირვალე და ეფექტიანი მთავრობა, რომელიც მოქალაქეთა საჭიროებებს უპასუხებდა.

ესტონეთმა პრიორიტეტად დასაბამი ციფრული მიდგომები, რამაც, ტექნოლოგიების გამოყენების გზით მმართველობის გაუმჯობესებასთან ერთად, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქვეყნის წარმატება.

სამართლებრივი ჩარჩო: გამჭვირვალობის ხელშეწყობა: ესტონეთში ღია მონაცემების წარმატებას საფუძვლად უდევს მყარი სამართლებრივი ჩარჩო. ესტონეთის კანონი საჯარო სექტორის ინფორმაციის შესახებ არეგულირებს საჯარო სექტორის ინფორმაციის გამოქვეყნებას და ხელახალ გამოყენებას. იგი ადგენს ხელმისაწვდომობის, დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და ურთიერთდასაყვადლობის პრინციპებს და ღია მონაცემთა ინიციატივებისთვის სამართლებრივ ფუნდამენტს უზრუნველყოფს.

ცენტრალიზებული პლატფორმა: ხელმისაწვდომი მონაცემები: ესტონეთში ღია მონაცემთა მართვის ქვეთხედს წარმოადგენს მონაცემთა ცენტრალიზებული პორტალი, რომელსაც მართავს ესტონეთის საინფორმაციო სისტემის ორგანო (RIA). პორტალი საკმაოდ მოსახერხებელი და ყოვლისმომცველია. იგი წარმოადგენს ერთგვარ უნივერსალური საგვს, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებში არსებულ მონაცემთა მასივების ფართო სპექტრს უყრის თავს. საჭიროების შესაბამისად, მოქალაქეებს, ბიზნესებსა თუ დეველოპერებს მარტივად შეუძლიათ მონაცემებზე წვდომის მოპოვება და სხვადასხვა დანიშნულებით ხელახალი გამოყენება.

მოქალაქეზე ორიენტირებული მიდგომა: საზოგადოების ჩართვა: ესტონეთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოქალაქეთა ჩართულობას. მოქალაქეებს შეუძლიათ მონაცემთა კონკრეტული ნაკრების მოთხოვნა, რაც ხელს უწყობს მთავრობასა და მოსახლეობას შორის თანამშრომლობის განვითარებას. ასეთი ჩართულობა არამხოლოდ აფართოებს მოქალაქეთა შესაძლებლობებს, არამედ იმის გარანტიაც არის, რომ გამოქვეყნებულმა მონაცემებმა უპასუხოს საზოგადოების რეალურ მოთხოვნებს.

ინოვაციური გადაწყვეტილებები: მონაცემები და მათი გამოყენების გზები: ესტონეთის ღია მონაცემთა ეკოსისტემა მხოლოდ მონაცემთა გამოქვეყნებით არ შემოიფარგლება — იგი ინოვაციებსაც მოიცავს. მეწარმეები და დეველოპერები მონაცემთა ხელმისაწვდომი ნაკრებების მეშვეობით ინოვაციური აპლიკაციების შექმნაზე მუშაობენ და ამ გზით მოქალაქეებს სირთულეებთან გამკლავებაში ეხმარებიან. აღნიშნული აპლიკაციების გამოყენება, მაგალითად, ტრანსპორტირებისა და ჯანდაცვის სფეროში, ღია მონაცემთა ყოველდღიურობაზე გავლენის მაგალითს წარმოადგენს.

მონაცემები და კომპეტენტურობა: ესტონეთს კარგად აქვს გააზრებული მონაცემების შესახებ ინფორმირებულობის მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ, ქვეყანამ არაერთი საგანმანათლებლო პროექტი დააორგანიზა, რათა მოქალაქეებს შესძლებოდათ მონაცემთა გაგება, ინტერპრეტაცია და გამოყენება. სფეროში სათანადოდ გარკვევა მოსახლეობას ღია მონაცემებისგან მაქსიმალური სარგებლის მიღებაში ეხმარება.

საერთაშორისო თანამშრომლობა: საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება: ესტონეთი ჩართულია საერთაშორისო თანამშრომლობაში: თავად შეაქვს წვლილი ღია მონაცემთა საზოგადოების განვითარებაში და მისგანაც ითვისებს სასარგებლო ინფორმაციას. იმის გამო, რომ ქვეყანა მაქსიმალურად ისწრაფვის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისკენ, ესტონეთი, ღია მონაცემთა მართვის კუთხით, მსოფლიოში წამყვან ადგილს იკავებს.

უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა: გამჭვირვალობისა და დაცვის დაბალანსება: ესტონეთის წარმატება ღია მონაცემთა განვითარების კუთხით განპირობებულია უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის პრინციპების დაცვით. გამჭვირვალობისა და დაცვის დაბალანსების გზით, ესტონეთმა მკაცრი ზომები დაწერა პერსონალური და სენსიტიური ინფორმაციის დაცვის უზრუნველსაყოფად.

უწყვეტი განვითარება: ესტონეთის ღია მონაცემთა მართვის სისტემა სტატიკური არაა; იგი საზოგადოების ცვალებადი საჭიროებების შესაბამისად ვითარდება. რეგულარული შეფასებები, უყუარშირის მექანიზმები და სამართლებრივ ჩარჩოში შესული ცვლილებები ღია მონაცემთა ეკოსისტემის დინამიკურობასა და მოქნილობას უზრუნველყოფს.

წყარო: <https://data.europa.eu/en/news-events/news/open-data-portal-estonia>

ასევე, სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავებისას უმნიშვნელოვანესია მსოფლიო სტანდარტებისა და ურთიერთდასაყვადობის გათვალისწინება. ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR) წარმოადგენს ყოვლისმომცველი კანონმდებლობის საყურადღებო ნიმუშს, რომელიც არეგულირებს მონაცემთა დაცვის საკითხებს და ამაღვდროულად მონაცემთა კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე გამოყენების საშუალებას იძლევა. ღია მონაცემთა ჩარჩოებში მიღებული საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება უზრუნველყოფს შეთანხმებულობას და ხელს უწყობს თანამშრომლობის გაძლიერებას მსოფლიოს მასშტაბით.

ღია მონაცემთა მართვისთვის განკუთვნილი ცენტრალური საკოორდინაციო ორგანოს იდენტიფიცირება და მისთვის უფლების მინიჭება

ჩატარებული საერთაშორისო კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოში ღია მონაცემთა მართვის კუთხით არასახარბილო მდგომარეობაა. ამ პრობლემას ყველაზე მეტად ამწვავებს მთავრობის ცენტრალიზებული კოორდინაციისა და საკუთრების უფლების არარსებობა ღია მონაცემთა და ზოგადი ციფრული ტრანსფორმაციის კუთხით. არ არსებობს ღია მონაცემთა კონკრეტული პროგრამა, სამინისტრო ან პოლიტიკური ფიგურა, რომელიც გაუძღვებოდა ღია მონაცემების მართვას. იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ (საჯარო სამართლის იურიდიული პირი) ციფრული მმართველობის სააგენტოს (DGA), რომელსაც ღია მონაცემებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა ევალება, არაერთ დაბრკოლებასთან უწევს გამკლავება. აღნიშნულ დაბრკოლებებს მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის უმაღლესი ორგანოების მხრიდან არასაკმარისი მხარდაჭერა, არასათანადო ადამიანური კაპიტალი და მწირი ფინანსური რესურსები. ღია მონაცემთა გამოქვეყნების მეშვეობით მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა გლობალურ პრიორიტეტის წარმოადგენს. აღნიშნულ სფეროში სტანდარტების შემუშავება და მათი დაცვა კი წარმატების საკვანძო კომპონენტია.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რაოდენ აუცილებელია **სპეციალიზებული დაწესებულებების (როგორიცაა, მაგალითად, DGA საქართველოში) არსებობა, რომლებიც ამ ძალისხმევას ჩაუდგებიან სათავეში**. მსოფლიოში გავრცელებული წარმატებული მოდელები გვეხმარება, უკეთ გავიაზროთ, თუ რა გზებითაა შესაძლებელი აღნიშნული დაწესებულებების გაძლიერება.

მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც საინფორმაციო სამსახურის ფედერალურ დირექტორთა (CIO) საბჭო ⁴ გადამწყვეტ როლს თამაშობს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მონაცემთა მართვის წესების შექმნასა და დანერგვაში. აშშ-ის ხელისუფლება, საჭირო რესურსებისა და უფლებამოსილების აღნიშნული საბჭოსთვის გადაცემის გზით, უზრუნველყოფს ცენტრალიზებული და უფლებამოსილი ორგანოს ფუნქციონირებას, რომელიც პასუხისმგებელია გამჭვირვალობის ფედერალურ დონეზე ხელშეწყობაზე. აღნიშნული მოდელი ხაზს უსვამს უფლებამოსილი ორგანოს მნიშვნელობას, რომელსაც ხელეწიფება სტანდარტების შესრულების უზრუნველყოფა და გამჭვირვალობის კულტურის დაცვა.

ასევე საინტერესო მაგალითია გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო ციფრულ სერვისთან (GDS) დაკავშირებული გამოცდილება. ⁵ GDS წარმოადგენს ცენტრალურ ქვედანაყოფს, რომელიც სახელმწიფო უწყებებში ციფრული ტრანსფორმაციის პროცესს განაგებს. გაერთიანებულმა სამეფომ, ერთ დაწესებულებაში გამოცდილებისა და უფლებამოსილების გაერთიანების გზით, წარმატებით დანერგა პროექტები, რომლებიც აფართოებს ციფრულ შესაძლებლობებს, მონაცემთა გამოქვეყნების ჩათვლით. ეს არის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კულტურის განვითარებაში ცენტრალიზებული მიდგომის ეფექტიანობის თვალსაჩინო მაგალითი.

მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობისთვის, საჭიროა, განისაზღვროს პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებელი, ძირითადი საკოორდინაციო ორგანო, იქნება ეს ციფრული მმართველობის სააგენტო (DGA) თუ სხვა ორგანიზაცია. ღია მონაცემთა ეფექტიანი დანერგვისთვის აუცილებელია ცენტრალური ორგანოს აღჭურვა საჭირო რესურსებითა და უფლებამოსილებით. საკმარისი დაფინანსება, კვალიფიცირებული პერსონალი და ზუსტად განსაზღვრული მანდატი უზრუნველყოფს მკაცრი სტანდარტების დაცვას ღია მონაცემთა გამოქვეყნებისას. სწორედ ამ გზით იქნება შესაძლებელი მთავრობაში ღიაობისა და გამჭვირვალობის კულტურის ჩამოყალიბება.

მონაცემთა დაცვისა და მონაცემთა ღიაობის მიზნების შეთანხმება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის გაძლიერება

ღია მონაცემთა პროგრამის ჩამოყალიბება და შენარჩუნება მყარ პოლიტიკურ და სამართლებრივ ჩარჩოს საჭიროებს. თუმცა, საქართველოში, ამჟამად, ასეთი ჩარჩო არ არსებობს. OGD დებულებების FOI კანონში შეტანის უწინდელი მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შემუშავებული აქვს კონსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოები მონაცემთა კონფიდენციალურობისა და პერსონალური ინფორმაციის შესახებ, ეფექტიანი ადმინისტრაციული ზედამხედველობის არარსებობის გამო, აღინიშნება სისტემური პრობლემები ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნებთან დაკავშირებით. გარდა ამისა,

⁴ <https://www.cio.gov/>

⁵ <https://www.gov.uk/government/organisations/government-digital-service>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს მონაცემთა უსაფრთხოების მყარი სამართლებრივი ჩარჩო, ქვეყანას არ აქვს სახელმწიფო სერვისების მიწოდებისა და ღია მონაცემთა ლიცენზირების წესები, რაც ღია მონაცემთა ფართო ეკოსისტემის განვითარებას აბრკოლებს.

მონაცემთა დაცვისა და ღიაობის პრინციპის დასაბალანსებლად, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ჩამოყალიბებაზე ზრუნვის პარალელურად, საქართველოს მთავრობამ კონფიდენციალურობის დაცვის საკითხებზე უნდა იმუშაოს. აღნიშნული ბალანსის მისაღწევად, გონივრულია მსოფლიოს მოწინავე მაგალითების გამოყენება, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა სახელმწიფო მონაცემთა ბაზებში არსებული ინფორმაციის ანონიმიზაციისა და ფსევდონიმიზაციისთვის მკაფიო წესების დანერგვის მნიშვნელობას. ამგვარი მიდგომა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის პარალელურად, ღიაობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპების დანერგვას შეუწყობს ხელს.

ევროკავშირი მონაცემთა დაცვის საერთაშორისო პრაქტიკის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს. ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციას (GDPR)⁶ პერსონალური ინფორმაციის დაცვის სტანდარტი აქვს შემუშავებული. GDPR ყურადღებას ამახვილებს პერსონალურ მონაცემთა კეთილსინდისიერ გამოყენებაზე და რეკომენდაციას უწევს ისეთი მეთოდების დანერგვას, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმაციის კონფიდენციალურობას და ამავედროულად ინარჩუნებს მისი გამოყენების შესაძლებლობას. ასეთი მეთოდის მაგალითია ფსევდონიმიზაცია. აღნიშნული მაგალითი ხაზს უსვამს კონფიდენციალურობის გაუმჯობესების მეთოდების სამართლებრივ ჩარჩოებში ჩართვის ეფექტიანობას.

საერთაშორისო ინიციატივებში აქტიური მონაწილეობა გადამწყვეტ როლს თამაშობს პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოებაში. ტრომსოს კონვენციის მაგალითზე დაყრდნობა სტრატეგიული მნიშვნელობისაა, რადგან იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში. ასეთ ინიციატივებში ჩართვით მთავრობას შეუძლია თავისი სამართლებრივი ჩარჩოების გაძლიერება გლობალური სტანდარტების გამოყენებისა და მონაცემთა დაცვის მიმართულებით თანამშრომლური მიდგომის დანერგვის გზით.⁷

გარდა ამისა, მიზნობრივი ორგანიზაციების (მაგ., პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის) უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოება ქმედითი ინსტრუმენტია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ჩარჩოს გამყარებისთვის. მაგალითად, გერმანიაში მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის თავისუფლების ფედერალური კომისარი⁸ გადამწყვეტ როლს თამაშობს მონაცემთა დაცვის კანონებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის კუთხით. ასეთი მიდგომით, სპეციალიზებულ ორგანოს შესაძლებლობა ექნება, მონაცემთა დამუშავებლებს მისცეს მითითებები შიდა პოლიტიკისა და რეგულაციების საკითხებში, მონაცემთა დაცვის უახლესი კანონების შესაბამისად.

ასევე, საჭიროა, მოქალაქეებმა ბოლომდე გაიაზრონ, თუ რა გზით მუშავდება მათი მონაცემები. ესტონეთი მონაცემთა ეფექტიანად მართვის პრაქტიკის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს. მონაცემთა ტრეკერის მეშვეობით ესტონეთის მოქალაქეებს შეუძლიათ იმ ძიებების ნახვა, რომელიც მათ პერსონალურ ინფორმაციას უკავშირდება (მაგ., რა მიზეზებით განხორციელდა მათ

6 <https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2016/679/oj>

7 <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treatynum=205>

8 https://www.bfdi.bund.de/EN/Home/home_node.html

მონაცემებზე წვდომა). ასეთი გამჭვირვალობა მოქალაქეებს მონაცემებთან დაკავშირებით გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება. აღნიშნული მიდგომა ერთგვარი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება აქტიური თანხმობის სისტემის დანერგვა კონფიდენციალურობის დასაცავად.⁹

მონაცემთა დაცვისა და ღიაობის მიზნების ურთიერთშეთანხმება მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული, გონივრული მიდგომის შემუშავებას მოითხოვს. ანონიმიზაციისა და ფსევდონიმიზაციის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვის გზით, გლობალურ ინიციატივებში (მაგ., ტრომსოს კონვენცია) აქტიური მონაწილეობითა და სათანადო ორგანიზაციების (მაგ., PDPS) უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების გაფართოებით, სახელმწიფოებს შეუძლიათ შექმნან მძლავრი ჩარჩო, რომელიც, გამჭვირვალობის ხელშეწყობის პარალელურად, საიმედოდ დაიცავს პერსონალურ მონაცემებს. წარმატებული პროექტების (მაგ., ესტონეთის მონაცემთა ტრეკერი) მეთოდოლოგიების დანერგვით, მოქალაქეები ინფორმირებულნი არიან და სურვილის მიხედვით განკარგავენ თავიანთ მონაცემებს. ეს კი დიდ როლს თამაშობს მონაცემთა თანამედროვე ეკოსისტემის ჩამოყალიბებაში, კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის პარალელურად.

ანონიმიზაციის პრაქტიკის ხელშეწყობა

საქართველოს მთავრობას შეუძლია მნიშვნელოვნად გააძლიეროს ღია მონაცემების მართვასთან დაკავშირებული პრაქტიკები, თუკი მონაცემთა მართვის მძლავრი ჩარჩოს ჩამოყალიბებისას პრიორიტეტად დასახავს ანონიმიზაციის საკითხს. სახელმწიფო მონაცემთა ბაზებში ინფორმაციის ანონიმიზაცია (ინფორმაციის გამოქვეყნებამდე) კონფიდენციალურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დანერგვის პროცესში უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს. წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკიდან მაგალითის აღებით, საქართველოს შეუძლია, ჩამოაყალიბოს ყოვლისმომცველი პოლიტიკა და ითანამშრომლოს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, რათა შექმნას სახელმწიფო მონაცემთა ეფექტიანი ანონიმიზაციისა და ფსევდონიმიზაციის სახელმძღვანელო მითითებები.

ევროკავშირის GDPR საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. GDPR ხაზს უსვამს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობას და მხარს უჭერს ანონიმიზაციის, როგორც კონფიდენციალურობის ხელშეწყობი მეთოდის, აქტიურ გამოყენებას. მონაცემთა გამოქვეყნებამდე, მათი ანონიმიზაციის მკაცრი მოთხოვნის გზით, საქართველო შეძლებს მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების დანერგვასა და ინფორმაციის ადეკვატურ ღონეზე დაცვას.

FOI-ს დანერგვის გაუმჯობესება

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში OGD დებულებების FOI კანონში შეტანის მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა. ეფექტიანი ადმინისტრაციული ზედამხედველობისა და სახელმწიფო სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებული, კონკრეტული რეგულაციების არარსებობა პრაქტიკაში ართულებს საჯარო ინფორმაციისა (რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ღია მონაცემთა სახით) და ფასიანი მომსახურების ერთმანეთისგან გამიჯვნას. ღია მონაცემთა გაძლიერებისა და FOI კანონმდებლობის დანერგვის ეფექტიანობისთვის, საქართველოს მთავრობამ უნდა განიხილოს

⁹ <https://www.mckinsey.com/industries/public-sector/our-insights/government-data-management-for-the-digital-age>

ქვეყანაში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გადმოღება, რაც გულისხმობს დამოუკიდებელი დაწესებულების ჩამოყალიბებას ან ინფორმაციის თავისუფლების რწმუნებულის დანიშვნას. აღნიშნული პროაქტიული ნაბიჯი შეესაბამება მსოფლიოს წარმატებულ მოდელებს და გადამწყვეტ როლს თამაშობს საჯარო დაწესებულებების მიერ FOI-ს დანერგვის პროცესში ეფექტური ადმინისტრაციული ზედამხედველობის უზრუნველყოფაში.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ რამდენად ეფექტიანად შეუძლია დამოუკიდებელ ორგანოს FOI პროცესების ზედამხედველობა. ამ კუთხით აღსანიშნავი მაგალითია ინფორმაციის რწმუნებულის ოფისი (ICO) გაერთიანებულ სამეფოში.¹⁰ ICO წარმოადგენს დამოუკიდებელ, უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების აქტის შესრულებას მეთვალყურეობს და უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოების მიერ მის დაცვას. მსგავსი ინსტიტუტის ჩამოყალიბებით, საქართველო შეძლებს ზედამხედველობის მიუკერძოებელი, მძლავრი მექანიზმის შექმნას, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას სახელმწიფო ინფორმაციის გამოქვეყნების პროცესში.

ასევე, FOI პროცესში სისტემურ გამოწვევებზე მუშაობა აუცილებელია FOI-ს შეუფერხებელი დანერგვის უზრუნველსაყოფად. სასურველია, საქართველოს მთავრობამ მაგალითი აიღოს კანადის ინფორმაციაზე წვდომის კანონიდან, რომელიც მოიცავს დებულებებს ინფორმაციის რწმუნებულის შესახებ.¹¹ კანადის გამოცდილება ხაზს უსვამს ისეთი ორგანოს ჩამოყალიბების მნიშვნელობას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სისტემური ხარვეზების აღმოფხვრასა და ინფორმაციაზე წვდომის დროულად მოპოვებაზე. FOI პროცედურების გამარტივებისა და ხანგრძლივ სასამართლო პროცესებზე დამოკიდებულების შემცირების გზით, საქართველოს შეუძლია მეტად ეფექტიანი და ხელმისაწვდომი სისტემის შექმნა.

გარდა ამისა, ისეთი განყოფილების ჩამოყალიბება, რომელსაც დაევალება დავების ოპერატიული გადაწყვეტა, შეამცირებს დაგვიანებათა რიცხვს და უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის სასურველ ინფორმაციაზე დროულ წვდომას.

სახელმწიფოს ხელოვნური ინტელექტის (AI) სისტემებში მონაცემთა ეთიკური გამოყენება

არაერთი ქვეყნის ხელისუფლებამ დაიწყო AI ალგორითმების გამოყენება სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიზნით. თუ საქართველოს მთავრობა სახელმწიფო სერვისების მიწოდების ავტომატიზებული ტექნოლოგიების დანერგვას გადაწყვეტს, იგი უნდა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული პროცესი მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად წარიმართება. მთავრობის განკარგულებაში არსებულ AI სისტემებში მონაცემთა ეთიკური გამოყენება აუცილებელია სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დასაცავად. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, AI ალგორითმების გამჭვირვალობისთვის მკაფიო ეთიკური სახელმძღვანელო მითითებებისა და მანდატების შექმნა წარმოადგენს საკვანძო ეტაპს AI-ის კეთილსინდისიერი მართვის უზრუნველყოფის პროცესში.

ხელოვნური ინტელექტის სისტემებთან დაკავშირებული ეთიკური საკითხების გადაჭრისთვის, საქართველოს მთავრობამ უნდა შეიმუშაოს სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც ავტომატური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მონაცემთა გამოყენებას

¹⁰ <https://www.gov.uk/government/organisations/information-commissioner-s-office>.

¹¹ <https://www.canada.ca/en/parole-board/corporate/transparency/access-to-information-and-privacy>.

დაარეგულირებს. ამის მაგალითია გაერთიანებული სამეფო, რომლის მონაცემთა ეთიკისა და ინოვაციის ცენტრი (CDEI) — დამოუკიდებელ საკონსულტაციო ორგანო — მუშაობს AI-ის კეთილსინდისიერი გამოყენების მითითებების შემუშავებაზე. CDEI-ს სამუშაო სფერო მოიცავს ისეთი ეთიკური სახელმძღვანელო მითითებების ფორმულირებას, რომლებიც უზრუნველყოფს AI სისტემების გამოყენებას საზოგადოებრივი ღირებულებებისა და ნორმების გათვალისწინებით, ასევე — სამართლიანობის დაცვას გადაწყვეტილებების მიღებისას.¹²

გარდა ამისა, AI ალგორითმების სავალდებულო გამჭვირვალობა და სიცხადე აუცილებელია ანგარიშვალდებულების ასამაღლებლად. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ალგორითმები სახელმწიფო მონაცემების გამოყენებით შემუშავდა. GDPR ქმნის პრეცედენტს, უსვამს რა ხაზს ინდივიდის უფლებას, მიიღოს გასაგები ინფორმაცია ავტომატიზებული გადაწყვეტილებების მიღების ლოგიკის, მნიშვნელობისა და შედეგების შესახებ. აღნიშნული სამართლებრივი ჩარჩო ყურადღებას ამახვილებს გამჭვირვალობის მნიშვნელობაზე და მოითხოვს ორგანიზაციებისგან გასაგები ახსნა-განმარტებების წარმოდგენას AI სისტემების მიერ მიღებული ისეთი გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს ინდივიდებზე.¹³

კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს კანადის დირექტივა ავტომატიზებული გადაწყვეტილებების მიღების შესახებ, რომელიც ერთგვარი სახელმძღვანელოა ფედერალური დაწესებულებებისთვის და მათ ავტომატიზებული გადაწყვეტილებების სისტემების ეთიკურად დანერგვაში ეხმარება.¹⁴ აღნიშნული დირექტივა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გამჭვირვალობას და მოითხოვს ისეთი გადაწყვეტილებების ახსნას, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინდივიდებზე. დირექტივა შეესაბამება მსოფლიოში გავრცელებულ იდეას გამჭვირვალობის შესახებ — რომ იგი წარმოადგენს სანდოობისა და ანგარიშვალდებულების საფუძველს AI-ის გამოყენების სფეროში.

ნარატივში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ჩართვით, სახელმწიფოებს შეუძლიათ AI სისტემებში მონაცემთა ეთიკური გამოყენების შეთანხმებული და ეფექტიანი სტრატეგიის შექმნა. დიდი ბრიტანეთის CDEI-ს მაგალითი ცხადყოფს, რომ მკაფიო ეთიკური სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება იმის გარანტიაა, რომ AI სისტემები დაიცავს დადგენილ საზოგადოებრივი ჩარჩოებს. სავალდებულო გამჭვირვალობა, როგორც GDPR-სა და კანადის დირექტივაშია გათვალისწინებული, ზრდის ღიაობასა და ანგარიშვალდებულებას და აძლიერებს AI-ის კეთილსინდისიერი მართვის მნიშვნელობას გლობალური მასშტაბით.

სახელმწიფოს ხელთ არსებულ AI სისტემებში მონაცემთა ეთიკური გამოყენების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ყოვლისმომცველი მიდგომის შემუშავება, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. ეთიკური სახელმძღვანელო მითითებების ფორმულირებითა და სავალდებულო გამჭვირვალობის უზრუნველყოფით, საქართველოს მთავრობა ხელოვნური ინტელექტის პოტენციალს საზოგადოების სასარგებლოდ გამოიყენებს და, ამასთან, შეძლებს, დაარწმუნოს მოქალაქეები, რომ მათი მონაცემები კეთილსინდისიერად და ეთიკურად მუშავდება. გაერთიანებული სამეფოსა და კანადის გამოცდილება მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა შეიქმნას ძლიერი სისტემა, რომელიც თანხვედრაშია ხელოვნური ინტელექტის ეთიკის მსოფლიო სტანდარტებთან.

მონაცემთა დარქივებისა და ხანგრძლივად შენახვის სტანდარტების დანერგვა

¹² <https://www.gov.uk/government/organisations/centre-for-data-ethics-and-innovation>

¹³ მუხლი 22, GDPR, ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღება და პროფაილინგი, <https://gdpr-info.eu/art-22-gdpr>.

¹⁴ <https://www.tbs-sct.canada.ca/pol/doc-eng.aspx?id=32592>

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს არ გააჩნია კომპლექსური პოლიტიკა, რომელიც დაარეგულირებდა ღია მონაცემთა ფორმას, მათ ხელახალ გამოყენებასა და ხარისხს. მეტიც — ქვეყანაში არ არსებობს რეგულაციები, რომლებიც დააწესებდა სახელმწიფო მონაცემთა ხარისხის, სიზუსტის, წარმომავლობის, თანადროულობისა და მთლიანობის სტანდარტებს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში გაციფრულების პროცესი 2004 წლიდან დაიწყო, ჯერ კიდევ არ არსებობს მონაცემთა დაარქივებისა და ციფრული შენახვის სტანდარტიზებული ტექნოლოგიური ფორმატები და დადგენილი სტანდარტები. აღნიშნულმა ციფრული სფეროს არაკოორდინირებული განვითარება გამოიწვია. საქართველოს მთავრობას ღია მონაცემთა მართვის გაუმჯობესება და ამ მიმართულებით პრაქტიკის განვითარება შეუძლია მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკიდან მაგალითის აღების გზით. სტანდარტებისა და სამართლებრივი ჩარჩოების (მაგ., საერთაშორისო სტანდარტი ISO 15489) პრიორიტეტების განსაზღვრა¹⁵ მონაცემთა ეფექტიანი დაარქივებისა და ხანგრძლივი შენახვის საწინდარია.

შვეიცარია ნათელი მაგალითია ქვეყნისა, რომელიც წარმატებით ათანხმებს თავის სამართლებრივ ჩარჩოს საერთაშორისო სტანდარტებთან. შვეიცარიის მიდგომა გულისხმობს ინფორმაციის საჯარო მონაცემთა ბაზებში შენახვისას ყველა საცავში ერთიანი ფორმატის გამოყენებას. გარდა ამისა, მონაცემთა მიმოცვლა ხორციელდება დაცული, საერთო პროტოკოლის მეშვეობით, რომელიც ცნობილია Sedex-ის — „მონაცემთა უსაფრთხო მიმოცვლის“ — სახელწოდებით.¹⁶ აღნიშნული პრაქტიკის გადმოღებით, საქართველოს შეუძლია გააძლიეროს მონაცემთა ურთიერთთავსებადობა, უზრუნველყოს მონაცემების უსაფრთხოდ შენახვა და მიმოცვლა, აგრეთვე — ხელი შეუწყოს თანამშრომლობასა და გამჭვირვალობას. 2011 წლიდან, საქართველოს მთავრობამ ურთიერთთავსებადობის უზრუნველსაყოფად დაწერა Microsoft Gateway-ის პლატფორმა, სადაც მონაცემთა მიმოცვლა უსაფრთხოდ მიმდინარეობს.

მონაცემთა ხანგრძლივი დროით შენახვის პრაქტიკის მეტად დასახვეწად, საქართველოს მთავრობამ კანონმდებლობაში უნდა ჩართოს დებულებები, რომლებიც კონკრეტულად შეეხება შენახული ციფრული ობიექტების შეგროვებას, ხანგრძლივ შენახვასა და მიწოდებას ავთენტური ელექტრონული ჩანაწერების სახით. ISO 15489-ს მსგავსი მსოფლიო სტანდარტებიდან მაგალითის აღებით, საქართველოს გარანტირებული ექნება საკუთარი პრაქტიკის შესაბამისობა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან, რაც უზრუნველყოფს შენახული ციფრული ჩანაწერების სანდოობასა და ავთენტურობას.

ასევე უმნიშვნელოვანეს ამოცანაა მონაცემთა კლასიფიკაციის კომპლექსური მიდგომის დანერგვა, რომელიც მონაცემების სენსიტიურობასა და კრიტიკულობაზე იქნება დაფუძნებული. აღნიშნული მოიცავს უსაფრთხოების კონტროლის საშუალებების შემუშავებას მონაცემთა სხვადასხვა კატეგორიისთვის. საქართველოს შთაგონების წყაროდ გამოადგება შვეიცარიის მონაცემთა შენახვის მოდელი, მისი ერთიანი ფორმატებითა და უსაფრთხოების პროტოკოლებით. მსგავსი სისტემის დანერგვის გზით, საქართველოს შეუძლია ეფექტიანად მართოს და დაიცვას მონაცემები, მათი მნიშვნელობისა და სენსიტიურობის შესაბამისად.

მონაცემთა წარმატებული მართვის უმთავრეს ასპექტს წარმოადგენს მონაცემთა კომპლექსური კატალოგის შექმნა და შენახვა. აუცილებელია აღნიშნული კატალოგის რეგულარულად განახლება, რათა მონაცემთა სხვადასხვა ბაზებში შესული ცვლილებები (კრიტიკულობის თვალსაზრისით) კატალოგში ადეკვატურად აისახოს. შვეიცარიაში ფორმატების ერთიანობისა და

¹⁵ <https://www.iso.org/standard/62542.html>

¹⁶ <https://www.mckinsey.com/industries/public-sector/our-insights/government-data-management-for-the-digital-age>

პროტოკოლების უსაფრთხოების პრინციპები ასევე ვრცელდება მონაცემთა საჯარო ბაზებზე, რაც ხაზს უსვამს განახლებული და ზუსტი კატალოგის არსებობის მნიშვნელობას. საქართველოსთვის აღნიშნული მაგალითის გადმოღება სასარგებლო იქნება. დინამიკური კატალოგი, რომელიც ადვილად ადაპტირდება ცვლად გარემოებებში, იმის გარანტიაა, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებები შეესაბამება მონაცემთა თითოეული ნაკრების კრიტიკულობის მიმდინარე დონეს. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა მიიღო მონაცემთა კატალოგების მარეგულირებელი კანონი „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“, DGA-მ ვერ შეძლო მისი ეფექტიანი დანერგვა, ხოლო სხვა შესაბამისმა დაწესებულებებმა — წარმატებული გამოყენება. აღნიშნული რეგულაციის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, რეკომენდებულია კანონის გადახედვა და მასში ეფექტური აღსრულების მექანიზმების გათვალისწინება.

ღია მონაცემების ლიცენზირების წესების დაზუსტება

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს შემუშავებული არ აქვს ღია მონაცემთა ლიცენზირებასთან დაკავშირებული რეგულაციები. ღია მონაცემთა მართვის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, საქართველოს მთავრობას შეუძლია, მაგალითი აიღოს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებიდან, კონკრეტულად — მეტი ყურადღება დაუთმოს ღია მონაცემთა ლიცენზირების წესების დაზუსტებას. ეროვნულ კანონმდებლობაში ცალსახა და ყოვლისმომცველი სამართლებრივი დებულებების დადგენით, საქართველო შეძლებს მონაცემთა ლიცენზირების გამჭვირვალე და სტანდარტიზებული ტაქტიკის ჩამოყალიბებას.

აღნიშნული ტაქტიკის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ გაერთიანებული სამეფოს მიდგომა, რომელიც ხორციელდება Data.gov.uk-ის მეშვეობით. გაერთიანებული სამეფოს ლიცენზირების ვებგვერდი წარმოადგენს ცენტრალიზებულ პორტალს, რომელიც შეიცავს დეტალიზებულ და ხელმისაწვდომ ინფორმაციას ლიცენზირების პირობების შესახებ, მონაცემების თითოეული ნაკრებისთვის. აღნიშნული პრაქტიკის გადმოღებით, საქართველოს მთავრობას შეუძლია შექმნას საკუთარი ცენტრალიზებული ლიცენზირების პორტალი ან ვებგვერდი. ეს ნაბიჯი გაზრდის გამჭვირვალობას და მომხმარებლებს დაეხმარება, უკეთ გაეცნონ ღია მონაცემების მარეგულირებელ წესებსა და პირობებს.

ლიცენზირების წესების შეთანხმება ღია მონაცემთა პრინციპებთან უმნიშვნელოვანესია. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა რეკომენდაციას უწევს ღია ლიცენზიების გამოყენებას (მაგ., Creative Commons by Attribution), რაც ამარტივებს მონაცემთა ხელახალ გამოყენებასა და გაზიარებას. გარდა ამისა, მონაცემთა ბაზებისთვის განკუთვნილ, Open Data Commons-ის ლიცენზიებს (მაგ., ღია მონაცემთა ბაზის ლიცენზია (ODbL)) ¹⁷ გააჩნია დამატებითი შესაძლებლობები მონაცემთა ნაკრებების კეთილსინდისიერი გაზიარებისა და ხელახალი გამოყენების უზრუნველსაყოფად. მსგავსი ღია ლიცენზიების სამართლებრივ დებულებებში ჩართვით, საქართველო შეძლებს გლობალურ სტანდარტებთან ჰარმონიზაციას და, ამ გზით, ღიაობის კულტურის ხელშეწყობას.

ასევე, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში შეიქმნას მკაფიო და კომპლექსური სამართლებრივი ჩარჩო. მაგალითად, კანადის ფედერალურმა ხელისუფლებამ ღია მმართველობის ლიცენზია საკუთარი სამართლებრივი ბაზის ფარგლებში დანერგა. აღნიშნული ლიცენზია სახელმწიფო მონაცემებზე თავისუფალ საჯარო წვდომას უზრუნველყოფს, რაც ხელს უწყობს ინოვაციებსა და თანამშრომლობას. საქართველოს შეუძლია, განიხილოს მსგავსი სამართლებრივი დებულებების დანერგვა, რომლებიც დააზუსტებს

¹⁷ <https://opendatacommons.org/licenses/odbl/>

ლიცენზირების წესებს და ხაზს გაუსვამს ღია მონაცემთა ხელმისაწვდომობის როლს საზოგადოებრივი სარგებლის გაზრდაში.

ღია მონაცემთა მართვის გაძლიერება საქართველოში ლიცენზირების წესებთან დაკავშირებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის გზით არის შესაძლებელი. გაერთიანებული სამეფოს Data.gov.uk-ის მსგავსი ლიცენზირების ცენტრალიზებული პორტალის შექმნის გზით¹⁸, Creative Commons-ისა და ODbL-ის მსგავსი ლიცენზიების გამოყენებით, ღია მონაცემთა პრინციპების დაცვითა და ეროვნულ კანონმდებლობაში მკაფიო სამართლებრივი დებულებების ჩართვით (კანადის მსგავსად), საქართველოს შეუძლია შექმნას ღია მონაცემების მძლავრი და გამჭვირვალე ჩარჩო. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს მონაცემთა ხელახალ გამოყენებას, ინოვაციებსა და თანამშრომლობას. ასევე — გაზრდის ნდობას მთავრობის ძალისხმევის მიმართ, გახადოს ინფორმაცია ღია და ხელმისაწვდომი.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა

საქართველო 2012 წლიდან არის ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) აქტიური წევრი. ამ ხნის განმავლობაში ქვეყანამ შეძლო საერთაშორისო აღიარებისა და ნდობის მოპოვება OGP-ის პრინციპების ერთგულების გზით. აღნიშნულის შედეგად, ქვეყანამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. მაგალითად, 2016 წელს საქართველო გახდა OGP-ის თანათავმჯდომარე, ხოლო 2017 წელს — თავმჯდომარე ქვეყანა. თუმცა, ამჟამად საქართველოს პროგრესი შენელებულია: 2020 წლის შემდეგ ქვეყანას არ ჰქონია OGP-ის აქტიური სამოქმედო გეგმა.

ქვეყანა ღია მონაცემთა მართვის პრაქტიკის დახვეწას საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით შეძლებს. აღიარებულ ორგანიზაციებთან (მაგ., ევროპის საბჭო) აქტიური თანამშრომლობა დაეხმარება საქართველოს,

გაერთიანებული სამეფოს ღია მონაცემების ინსტიტუტი (ODI) წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც დაკავებულია ღია მონაცემთა გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის ხელშეწყობით. ორგანიზაცია 2012 წელს დააარსეს სერ ტიმ ბერნერს-ლიმ და სერ ნაიჯელ შედბოლტმა. ODI მუშაობს, როგორც დამოუკიდებელი, არაკომერციული ორგანიზაცია. მისი მიზანია საზოგადოებისა და ეკონომიკისთვის სარგებლის მოტანა ღია მონაცემთა გამოყენების გზით.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად ODI რამდენიმე მიმართულებით მუშაობს. ორგანიზაცია ატარებს სასწავლო ტრენინგებს და ეხმარება ფიზიკურ პირებსა თუ ორგანიზაციებს, გაიზარდოს ღია მონაცემთა ფასეულობა, ასევე ასწავლის მონაცემთა ეფექტიანად გამოყენებასა და გაზიარებას. იგი აგრეთვე აწარმოებს კვლევას ღია მონაცემთა სფეროში ცოდნის გაღრმავების მიზნით და მხარს უჭერს ისეთი წესების დანერგვას, რომლებიც ხელს უწყობს ღიაობისა და გამჭვირვალობის პრინციპების გავრცელებას.

განათლების ხელშეწყობისა და იდეების გავრცელების გარდა, ODI ღია მონაცემთა საზოგადოების ერთგვარ ცენტრს წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც იგი ხელს უწყობს თანამშრომლობასა და იდეების მიმოცვლას. იგი ახორციელებს ინოვაციურ პროგრამას ისეთი პროექტებისა და ინიციატივების მხარდასაჭერად, რომლებიც მიზნად ისახავს დადებითი საზოგადოებრივი და ეკონომიკური შედეგების მიღწევას ღია მონაცემთა ათვისების გზით.

ODI-ის საქმიანობა სცდება გაერთიანებული სამეფოს საზღვრებს: ორგანიზაცია ღია მონაცემთა უპირატესობებსა თუ გამოწვევებს საერთაშორისო მასშტაბებშიც განიხილავს. რომ შევაჯამოთ, ODI გადამწყვეტ როლს თამაშობს ღია მონაცემთა გამოყენებისას ღიაობის, თანამშრომლობისა და ინოვაციის კულტურის ჩამოყალიბებაში, რითაც ხელს უწყობს მონაცემებზე ორიენტირებული და ურთიერთდაკავშირებული მსოფლიოს განვითარებას.

წყარო: <https://theodi.org/about-the-odi/>

¹⁸ <https://www.data.gov.uk/legal/licensing/>

შეუსაბამოს ღია მონაცემთა პოლიტიკა მსოფლიო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას. საქართველომ ასევე უნდა შეიმუშაოს OGP-ის აქტიური სამოქმედო გეგმა.

გაერთიანებული სამეფო ნაყოფიერი თანამშრომლობის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს. გაერთიანებული სამეფო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან (მაგ., ღია მონაცემების ინსტიტუტი (ODI)) ¹⁹ და მონაწილეობს ისეთ ინიციატივებში, როგორიცაა OGP. ამ გზით, გაერთიანებული სამეფო, ღია მონაცემთა შესახებ საკუთარი პოლიტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პარალელურად, საკუთარ სიტყვას ამბობს მსოფლიოში მონაცემთა მართვის გამჭვირვალებისა და ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის მიერ ტრომსოს კონვენციის რატიფიცირების რეკომენდაციის გათვალისწინება ხაზს გაუსვამს ქვეყნის გამჭვირვალობისკენ სწრაფვას ციფრულ დოკუმენტთა მართვაში. ტრომსოს კონვენცია, აგრეთვე ცნობილი, როგორც „ევროპის საბჭოს კონვენცია ოფიციალურ დოკუმენტებზე წვდომის შესახებ“, პასუხისმგებელია პრინციპების შედგენაზე, რომლებიც ეხება მოქალაქეთა უფლებებს, ჰქონდეთ წვდომა სახელმწიფო ორგანოების განკარგულებაში არსებულ დოკუმენტებზე. ნორვეგიამ — პიონერმა ღია მმართველობის პრაქტიკის სფეროში — მოახდინა ტრომსოს კონვენციის რატიფიკაცია, რითაც ცალსახად წარმოაჩინა გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ამაღლებისკენ სწრაფვის სურვილი.²⁰

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითის სახით ასევე შეგვიძლია განვიხილოთ ესტონეთი. ესტონეთი, როგორც ლიდერი ელექტრონული მმართველობის მიმართულებით, აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და რეგულარულად აზიარებს საკუთარ გამოცდილებასა და წარმატებულ პრაქტიკას. ერთობლივ ღონისძიებებში მონაწილეობის გზით, ესტონეთს, საკუთარი პოლიტიკის დახვეწის პარალელურად, ღირებული წვლილი შეაქვს მსოფლიო საზოგადოების წარმატებაში.

საქართველოსთვის, როგორც უკვე აღინიშნა, ევროპის საბჭოსთან აქტიური თანამშრომლობა თანხვედრაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან. თანამშრომლობაზე დაფუძნებული მიდგომით საქართველო შეძლებს აღიარებული სტანდარტების შესაბამისი პოლიტიკის ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, აღნიშნული მიდგომა იქნება ერთგვარი გარანტი იმისა, რომ ქვეყანა სარგებელს მიიღებს საერთაშორისო საზოგადოების კოლექტიური ცოდნისგან.

საქართველოს მთავრობისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გადრმავება აუცილებელი სტრატეგიაა ღია მონაცემთა მართვის პრაქტიკის დასახვეწად. გაერთიანებული სამეფოს გამოცდილებიდან (ODI-სთან და OGP-სთან თანამშრომლობა) მაგალითის აღებით, ნორვეგიის მიერ ტრომსოს კონვენციის რატიფიკაციის გათვალისწინებითა და ესტონეთის საერთაშორისო ინიციატივებში პროაქტიული მონაწილეობის პრაქტიკის გადმოღების გზით, საქართველოს შეუძლია, შექმნას პოტენციურად კომპლექსური და მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ჩარჩო ღია მონაცემების მართვისთვის. საერთაშორისო საზოგადოების წარმატებაში წვლილის შეტანითა და მისგან ახალი ინფორმაციის ათვისებით, საქართველოს შეუძლია გააძლიეროს გამჭვირვალობისკენ, ინოვაციისკენ და მონაცემთა კეთილსინდისიერი გამოყენებისკენ სწრაფვა.

¹⁹ <https://theodi.org/about-the-odi/>

²⁰ <https://www.coe.int/en/web/access-to-official-documents>

რეკომენდაციები ღია მონაცემების პროგრამის დაფინანსების შესახებ

საქართველოში ღია მონაცემთა მძლავრი პროგრამის შექმნისა და მხარდაჭერისთვის რეკომენდებულია, პირველ რიგში, გადაიჭრას დაფინანსებასთან და მართვასთან დაკავშირებული პრობლემები. აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ გაზარდოს დაფინანსების წყაროთა რიცხვი და არ დაეყრდნოს მხოლოდ დონორებს. მონაცემთა მართვის განვითარებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფით, მთავრობა შექმნის უფრო სტაბილურ და მრავალფეროვან ფინანსურ ფუნდამენტს ღია მონაცემების მმართველობისთვის.

სტაბილური დაფინანსების წყაროს შექმნა

უადრესად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობა იყოს მონაცემთა განვითარების დაფინანსების ძირითად წყარო. ეს არის საკვანძო რეკომენდაცია. მიუხედავად იმისა, რომ დონორები დაფინანსებაში დამხმარე როლს თამაშობენ, ყურადღება უნდა გამახვილდეს არსებული ჩავარდნების აღმოფხვრაზე და არა მთავრობის, როგორც დაფინანსების ძირითადი წყაროს, ჩანაცვლებაზე.

სახელმწიფო ბიუჯეტში ღია მონაცემთა ინიციატივებისთვის განკუთვნილი, დამოუკიდებელი ბიუჯეტის ჩართვა აუცილებელია. ასეთი მიდგომა ხაზს უსვამს მუდმივი ფინანსური მხარდაჭერის საჭიროებას და უზრუნველყოფს ხანგრძლივი, მთავრობის მიერ მხარდაჭერილი პროგრამების შექმნას, ნაცვლად — მოკლევადიანი, ერთეულ პროექტზე დაფუძნებული ინიციატივებისა. მაგალითად, კანადის ღია მონაცემების ინსტიტუტი დაფინანსებას იღებს უშუალოდ ფედერალური ხელისუფლებისგან, რაც უზრუნველყოფს სტაბილური და მიზანმიმართული ბიუჯეტის არსებობას ღია მონაცემთა ინიციატივებისთვის. გამოყოფილი ფინანსები ხმარდება მიმდინარე პროექტების მხარდაჭერას, ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვასა და საგანმანათლებლო ინიციატივებს.²¹

მონაცემთა შეგროვებისა და ანგარიშების სრულყოფა

ღია მონაცემთა ინიციატივების გავლენაზე ეფექტიანი დაკვირვებისთვის აუცილებელია მონაცემთა შეგროვებისა და ანგარიშების მექანიზმების დახვეწა. გამჭვირვალე ანგარიშგებით შესაძლებელია ღია მონაცემების ისეთი პროექტების შედეგების წარმოჩენა, როგორებიცაა: აპლიკაციების შემუშავება, ორგანიზაციების სასწავლო ტრენინგები და ფინანსური მხარდაჭერის ეფექტიანი გამოყენება. გარდა ამისა, ძირითადი რეკომენდაციაა ღია მონაცემთა ფინანსების განაწილებისა და ხარჯების გამჭვირვალობის ხელშეწყობა. ბიუჯეტის განაწილების, პროექტის ხარჯებისა და შედეგების გამოქვეყნება ნდობას აყალიბებს. ასეთი გამჭვირვალობა ანგარიშვალდებულების ერთგვარი მტკიცებულებაა როგორც საზოგადოების, ასევე პოტენციური დონორების მიმართ.

მაგალითად, საქართველოს მთავრობის შემთხვევაში, ღია მონაცემთა ინიციატივებისთვის მონაცემთა შეგროვებისა და ანგარიშების მექანიზმების დახვეწა შესაძლებელია სახელმწიფო ხარჯების შესახებ მონაცემების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების გზით. აღნიშნული მიზანი მიიღწევა გამჭვირვალე ანგარიშგების სისტემის დანერგვით. ამგვარი სისტემის მეშვეობით მოქალაქეებს ექნებათ წვდომა სახელმწიფო ხარჯებთან დაკავშირებულ მონაცემებზე, რაც მათ მონაცემთა მართვად ანალიზის საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობას შეუძლია ჩაატაროს სასწავლო პროგრამები მონაცემების გამოყენებისა და ინტერპრეტირების შესახებ, როგორც თანამდებობის პირებისთვის, ასევე —

21 http://open.canada.ca/en/open_data_institute_%2528odi%2529

მოქალაქეებისთვის, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფინანსური მხარდაჭერის ეფექტიანად გამოყენებას. დამატებით, შესაძლებელია ფართო მოხმარების პლატფორმების (მონაცემთა ხელმისაწვდომობისა და ვიზუალიზაციისთვის) შექმნა, სადაც რეგულარულად გამოქვეყნდება ანგარიშები ღია მონაცემების ინიციატივების შედეგების შესახებ. მაგალითად, მექსიკის ხელისუფლებამ შექმნა პორტალი სახელწოდებით Compranet²², რომელიც აგროვებს და აქვეყნებს მონაცემებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. აღნიშნულმა ინიციატივამ მოქალაქეებისთვის სახელმწიფო ხარჯების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადა. ამით კი გაუმჯობესდა გამჭვირვალობა და შემცირდა კორუფციის დონე. პოლონეთში სტატისტიკის ცენტრალურმა აპარატმა შექმნა ღია მონაცემთა ეროვნული პორტალი, რომელზეც ხელმისაწვდომია სახელმწიფო მონაცემთა ნაკრებები, ეკონომიკური სტატისტიკის, დემოგრაფიული მონაცემებისა და გეოსივრცითი ინფორმაციის ჩათვლით. პორტალი ადვილად გამოსაყენებელია — მასზე მარტივია მონაცემთა ვიზუალური აღქმა და შესწავლა. პორტალი ღირებულ რესურსს წარმოადგენს მკვლევრებისთვის, პოლიტიკოსებისა და საზოგადოებისთვის.²³ უკრაინის მთავრობამ შექმნა სისტემა სახელწოდებით Prozorro, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის საჯარო პლატფორმას. იგი მიზნად ისახავს გამჭვირვალობის გაზრდასა და კორუფციის დონის შემცირებას სახელმწიფო შესყიდვების პროცესებში. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს თავისუფალ წვდომას შესყიდვების მონაცემებზე, სატენდერო განცხადებებზე, სატენდერო დოკუმენტებზე, დადებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციაზე და ა.შ. პლატფორმამ ფართო აღიარება მოიპოვა სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობისთვის.²⁴

კერძო სექტორთან ინტერაქცია და საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა

ღია მონაცემთა ინიციატივებისთვის დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიების მიზნით, რეკომენდებულია კერძო სექტორთან ერთობლივი საქმიანობის წარმართვა. ღია მონაცემებით მოსარგებლე ბიზნესებთან თანამშრომლობით ხელისუფლებას დაფინანსების მდგრადი მოდელის შექმნა შეუძლია. მთავრობას, დონორ ორგანიზაციებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესია. ასეთი თანამშრომლობით შესაძლებელია დაფინანსების კომპლექსური სტრატეგიის შექმნა და ისეთი გარემოს უზრუნველყოფა, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეაქვს წვლილი ღია მონაცემთა ინიციატივების მდგრადობაში. მაგალითად, როგორც უკვე აღინიშნა, გაერთიანებული სამეფოს ODI თანამშრომლობს კერძო სექტორის პარტნიორებთან, ტექნოლოგიური კომპანიებისა და დარგობრივი ასოციაციების ჩათვლით, ღია მონაცემების პროექტების თანადაფინანსების მიზნით. კერძო სექტორის კონტრიბუციები ავსებს სახელმწიფო დაფინანსებას და ამგვარად აფართოებს რესურსების სპექტრს. ნიდერლანდების მთავრობა საგადასახადო შეღავათებს სთავაზობს ბიზნესებს, რომლებიც ღია მონაცემთა ინიციატივებში ახდენენ ინვესტიციებს. აღნიშნული ერთგვარი მოტივაციაა კერძო სექტორის ორგანიზაციებისთვის, ღია მონაცემთა პროექტებს გაუწიონ ფინანსური დახმარება და, ამ გზით, უზრუნველყონ დაფინანსების მდგრადი მოდელის შექმნა.²⁵ კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს სამხრეთ კორეის მთავრობა, რომელიც სტარტაპებისთვის სარისკო კაპიტალს გამოყოფს და ამგვარად ხელს უწყობს ინოვაციებისა და მეწარმეობის

²² <https://compranet.hacienda.gob.mx/>

²³ <https://stat.gov.pl/en/>

²⁴ <https://prozorro.gov.ua/en>

²⁵ <https://www.oecd.org/sti/inno/netherlands-innovation-review-recommendations.pdf>

განვითარებას ღია მონაცემთა სფეროში. აღნიშნული მიდგომა საფუძველს ქმნის ეკონომიკური ზრდისა და ახალი, მონაცემებზე დაფუძნებული აპლიკაციების განვითარებისთვის.²⁶

ხელისუფლების კომპეტენციის ამაღლება

სახელმწიფო დაწესებულებებში კომპეტენციის ამაღლება უმნიშვნელოვანესია ღია მონაცემთა მართვისთვის და მონაცემთა მდგრადობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული მოიცავს ტრენინგებს საჯარო მოხელეებისა და თანამდებობის პირებისთვის, განსაკუთრებით საჯარო დაწესებულებებში, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მონაცემების დაცვაზე. აღნიშნული ტრენინგები უნდა დაეთმოს თემებს, როგორიცაა ღია მონაცემების მნიშვნელობა, მათი გამოყენება და პოტენციური სარგებელი, რომელიც ღია მონაცემებს მოაქვს მთავრობისა და საზოგადოებისთვის. ერთ-ერთი ასეთი წარმატებული პროექტია Open Data Lab Jakarta — რეგიონული ინიციატივა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ის ხორციელდება Web Foundation's Open Data Programme-ის ფარგლებში და ღია მონაცემების მართვის, ანალიზისა და გამოყენების მიმართულებით ატარებს ტრენინგებს, მხარს უჭერს მთავრობებს, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ჟურნალისტებს. ლაბორატორია ასევე ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეებს შორის ცოდნის გაზიარებას, რაც უზრუნველყოფს ღია მონაცემების ეფექტიან გამოყენებას სოციალური თუ ეკონომიკური განვითარებისთვის.²⁷

რეკომენდაციები კერძო სექტორის შესახებ

კერძო სექტორი და სამოქალაქო საზოგადოება ღია მონაცემების უპირატესობების შესახებ სათანადო ინფორმაციას არ ფლობს. მთავრობის სექტორში ადამიანური რესურსების ნაკლებობა, ბიუროკრატიული რუტინა და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების პოტენციური უპირატესობების გაუაზრებლობა — ის ფაქტორებია, როლებიც ღია მონაცემების განვითარებას აბრკოლებს. გარდა ამისა, გარკვეული მიზეზების გამო, ღია მონაცემებზე მოთხოვნა მცირეა, განსაკუთრებით, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის, აკადემიური სფეროსა და მედიის მხრიდან. პირველ რიგში, აღნიშნული სექტორები ღია მონაცემთა ხელმისაწვდომობისა და მისი პოტენციური მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულნი არ არიან. ასევე, კერძო სექტორის კომპანიების, აკადემიური სფეროსა და მედიის წარმომადგენლებს არ გააჩნიათ მონაცემთა ეფექტიანი ანალიზისთვის საჭირო უნარები, რაც ხელს უშლის მათ ღია მონაცემების გამოყენებაში. მეტიც — საზოგადოება არ ფლობს ღია მონაცემების დამუშავებისთვის საჭირო ინფორმაციას, ცოდნასა და უნარებს. გარდა ამისა, კერძო სექტორი, მედია საშუალებები და არასამთავრობო ორგანიზაციები, სამეწარმეო საქმიანობისა და საგამოძიებო ჟურნალისტიკის კუთხით, ღია მონაცემების გამოყენების მიმართ ინტერესს არ იჩენენ. საჯარო სექტორის მიერ საერთო ღონისძიებების, ჰაკათონებისა და მონაცემებთან დაკავშირებული ინიციატივების განუხორციელებლობა აუარესებს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან დაბალი ჩართულობის პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აპლიკაციების ეკონომიკა მზარდია, ღია მონაცემების საშუალებით შექმნილი აპლიკაციების შესახებ ცოტა რამაა ცნობილი. მთავრობა არ უწყობს ხელს მონაცემთა ხელახლა გამოყენებას. არსებულ მონაცემთა ნაკრებებიც კი არარეგულარულად ახლდება. ღია მონაცემებზე მოთხოვნის გაზრდის მიზნით, რეკომენდებულია საკითხის ხშირი, საჯარო განხილვები, სამოქალაქო ჩართულობისა და საინფორმაციო ხასიათის კომუნიკაციის უზრუნველყოფა. საქართველოს მთავრობის ჩართულობა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს როგორც მონაცემთა ღიაობის ინიცირებაში, ასევე — აღნიშნული პროცესის

²⁶ <https://www.koreatechdesk.com/korean-government-unveils-ambitious-initiatives-to-foster-global-startups-and-unicorns/>

²⁷ <https://webfoundation.org/2021/02/open-data-labs-jakarta-a-legacy-to-celebrate/>

მოდერაციაში (პროექტის ჩაშვებიდან მის ეფექტიან გამოყენებამდე). ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციები აღწერს კერძო სექტორში ღია მონაცემებთან დაკავშირებული ინოვაციების ხელშეწყობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. ასევე ხაზგასმულია ღია მონაცემების პოლიტიკასა და მართვაში მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა.

რეკომენდაციები ღია მონაცემების სფეროში კერძო სექტორის ინოვაციების შესახებ

საქართველოს მთავრობისთვის ინოვაციებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა ღია მონაცემების მართვის კონტექსტში, გულისხმობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც დაინტერესებული პირები მონაცემებს ახალი გადაწყვეტების შექმნისა და სასარგებლო შედეგების მიღების მიზნით გამოიყენებენ. ქვემოთ მოყვანილია კონკრეტული მაგალითები იმის შესახებ, თუ რა გზებითაა შესაძლებელი ინოვაციისა და თანამშრომლობის გაძლიერება ღია მონაცემების სექტორში:

ჰაკათონები, შეჯიბრებები მონაცემების სფეროში და ღია მონაცემების კონკურსები

ჰაკათონების, მონაცემების სფეროში შეჯიბრებებისა და ღია მონაცემების კონკურსების ორგანიზება დინამიური და თანამშრომლობაზე დაფუძნებული სტრატეგიაა, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს მთავრობის მიერ ღია მონაცემების მართვის პრაქტიკა. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გადმოღებით საქართველოს შეუძლია, შექმნას ისეთი ეკოსისტემა, რომელიც კრეატიულობასა და პრობლემის გადაჭრის უნარებს განავითარებს და გაზრდის მთავრობის ჩართულობას ღია მონაცემებში. სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებმა წარმატებით დანერგეს ინიციატივები, რომლებიც, ღია მონაცემების გამოყენებით, ხელს უწყობს ინოვაციებისა და თანამშრომლობის განვითარებას. ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ასახავს სხვადასხვა მთავრობის მიერ შემუშავებულ მიდგომებს, სადაც ღია მონაცემები გამოყენებულ იქნა ინოვაციური და თანამშრომლობითი მიზნებისთვის, დაწყებული ღია მონაცემების პორტალებითა და შეჯიბრებებით და დამთავრებული სექტორთაშორისი თანამშრომლობებითა და ციფრული ინფრასტრუქტურის ინიციატივებით. თითოეული შემთხვევა ადასტურებს გამჭვირვალობისა და სამოქალაქო ჩართულობისკენ სწრაფვას; ასევე წარმოაჩენს, როგორ შეიძლება საზოგადოებრივი სარგებლისთვის მონაცემთა გამოყენება.

გამორჩეულ მაგალითს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შემუშავებული მიდგომა, რომელიც ხორციელდება Data.gov პლატფორმის მეშვეობით. პლატფორმა აშშ-ს ხელისუფლების ღია მონაცემების პორტალია. იგი ხელმისაწვდომს ხდის სხვადასხვა ფედერალური დაწესებულების მონაცემთა ნაკრებებს. პლატფორმა დეველოპერებს სათანადო ხელსაწყოებს სთავაზობს და ხელს უწყობს აპლიკაციებისა და ვიზუალური მასალების შექმნას. აშშ-ში ინოვაციურ სტიპენდიატთა საპრეზიდენტო პროგრამამ ტექნოლოგიები და ინოვაციები გააერთიანა ღია მონაცემებზე დაფუძნებულ პროექტებზე სამუშაოდ. აღნიშნულმა კი მთავრობასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობა გააძლიერა. მსგავსი ღონისძიებების თანამშრომლობა და კონკურენტულმა ხასიათმა ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა ისეთი ინოვაციური აპლიკაციებისა და ხელსაწყოების განვითარებისთვის, რომლებიც სახელმწიფო ღია მონაცემებს იყენებს. საქართველოს შეუძლია, მაგალითი აიღოს აღნიშნული მოდელისგან და მოაწყოს ჰაკათონები და შეჯიბრებები ტექნოლოგიური საზოგადოების შემოქმედებითი პოტენციალის გამოსავლენად.

გარდა ამისა, კონკრეტული საზოგადოებრივი პრობლემები შეიძლება გადაიჭრას კომპანიებისა და კვლევითი ინსტიტუტების ჩართვით, მათ მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების საფუძველზე. აღნიშნული პრაქტიკა წარმატებით მიმდინარეობს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, კანადა. Innovative Solutions Canada პროგრამა საშუალებას აძლევს ბიზნესებს,

წარმოადგინონ საკუთარი გადაწყვეტები სახელმწიფოებრივ გამოწვევებთან გასამკლავებლად და ამ პროცესში, საჭიროებისამებრ, გამოიყენონ ღია მონაცემები.²⁸ აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობას და გარე ექსპერტიზის გამოყენებას საზოგადოებრივი პრობლემების ეფექტიანად გადაჭრის მიზნით.

წახალისების ფორმების გამოყენება დიდწილად განსაზღვრავს ღია მონაცემთა კონკურსების წარმატებას. აღნიშნულის შესანიშნავი მაგალითია ავსტრალიის GovHack, რომელიც მონაწილეებს სთავაზობს პრიზებს, აღიარებას და სახელმწიფო დაწესებულებებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს.²⁹ მონაწილეთა წახალისების გზით, საქართველოს შეუძლია გააღვივოს საზოგადოების ინტერესი და უბიძგოს მას მრავალმნიშვნელოვანი გადაწყვეტების შემუშავებისკენ. წახალისების ფორმები შეიძლება მოიცავდეს ფულად პრიზებს, საჯარო აღიარებას ან მთავრობასთან სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობას.

ჰაკათონები, შეჯიბრებები მონაცემების სფეროში და ღია მონაცემების კონკურსები საქართველოს მთავრობას შესაძლებლობას მისცემს, მოახდინოს საზოგადოების ინოვაციური პოტენციალის რეალიზება. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისგან (აშშ-ს, კანადის, ავსტრალიის) მაგალითის აღებით, საქართველოს შეუძლია თანამშრომლობაზე დაფუძნებული ეკოსისტემის ჩამოყალიბება და მთავრობის ღია მონაცემების გამოყენების ხელშეწყობის პარალელურად, კრეატიული და მრავალმნიშვნელოვანი გადაწყვეტების მეშვეობით, საზოგადოებრივ გამოწვევებთან გამკლავება. ასეთი მიდგომა, გარდა იმისა, რომ ხელს უწყობს ღია მონაცემების დარგის მრავალფეროვნებას, ასევე ახალისებს ინოვაციებს და თანამშრომლობას მთავრობასა და მოქალაქეებს შორის.

ინოვაციათა ლაბორატორიები და ინკუბატორები

მსოფლიოს ქვეყნების ხელისუფლებებისთვის ღია მონაცემების ღირებულება ცალსახაა. ამიტომაც, ქვეყნები აქტიურად ცდილობენ, გახადონ მონაცემები საზოგადოებისთვის მეტად ხელმისაწვდომი. აღნიშნულის მიღწევის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს ინოვაციათა ლაბორატორიებისა და ინკუბატორების ჩამოყალიბება, რომლებიც, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტების შემუშავებისთვის, სახელმწიფო მონაცემებს იყენებს. ნახსენები ლაბორატორიების შუამავლობით, სტარტაპებსა და მეწარმეებს აქვთ წვდომა მნიშვნელოვან რესურსებზე, მენტორულ მხარდაჭერასა და დაფინანსებაზე. ყოველივე ეს კი საშუალებას აძლევთ მათ, თავიანთ პროექტებს ხორცი შეასხან.

ინოვაციათა ლაბორატორიის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მმართველობის ლაბორატორია (GovLab). GovLab-ის საქმიანობის მთავარი მიმართულებაა მმართველობის ტრანსფორმაცია ტექნოლოგიებისა და მონაცემების საშუალებით. ლაბორატორია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობს ისეთი პროექტების განვითარების მიზნით, რომლებიც ღია მონაცემებს საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის იყენებენ. GovLab-ის სამუშაო სფერო მხოლოდ სტარტაპებით არ შემოიფარგლება — ის წარმოადგენს შესანიშნავ ნიმუშს იმისა, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფო მონაცემების გამოყენება ინოვაციების წახალისებისთვის და საზოგადოებრივი პრობლემების გადასაჭრელად.³⁰

²⁸ <https://ised-isde.canada.ca/site/innovative-solutions-canada/en/innovative-solutions-canada>

²⁹ <https://govhack.org/>

³⁰ <https://thegovlab.org/>

კიდევ ერთი მაგალითი ორგანიზაციისა, რომელიც ხელს უწყობს ტექნოლოგიებისა და ღია მონაცემთა განვითარებას სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების მიზნით, არის Code for America. Code for America არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც, ტექნოლოგიებისა და ღია მონაცემების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო დაწესებულებებთან თანამშრომლობს. ორგანიზაციის პროგრამა Brigade ხელს უწყობს ადგილობრივ ჯგუფების შორის თანამშრომლობას ისეთ პროექტებზე მუშაობისას, რომლებიც სახელმწიფო მონაცემებს იყენებს. პროგრამის შუამავლობით შესაძლებელია მენტორული მხარდაჭერის, დაფინანსებისა და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტების შემუშავებისთვის საჭირო რესურსების მიღება.³¹

ინოვაციათა ლაბორატორიებისა თუ ინკუბატორების ჩამოყალიბებითა და მნიშვნელოვან რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფით, მთავრობას შეუძლია, ხელი შეუწყოს მონაცემებზე დაფუძნებული, სახელმწიფო სერვისების ტრანსფორმაციის პოტენციალის მქონე გადაწყვეტების განვითარებას. GovLab-ისა და Code for America-ს მაგალითების გათვალისწინებით, მთავრობას შეუძლია ინოვაციების ხელშეწყობა და მოქალაქეთა ცხოვრების გაუმჯობესება.

საჯარო და კერძო სექტორთა თანამშრომლობა

საზოგადოებრივი სარგებლისთვის ღია მონაცემთა გამოყენების ხელშეწყობის ერთ-ერთი ხერხია საჯარო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბება ერთობლივი გადაწყვეტების შემუშავების მიზნით. მაგალითად, ორგანიზაციამ — Geoscience Australia — კერძო სექტორის ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით, შეიმუშავა პლატფორმა სახელწოდებით Digital Earth Australia, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია წვდომის მოპოვება სატელიტურ მონაცემებსა და სხვა გეოსივრცით ინფორმაციაზე. შემდგომ, კერძო კომპანიები აღნიშნულ მონაცემებს იყენებენ ინოვაციური საშუალებებისა და სერვისების შემუშავებისთვის, ისეთი დარგებისთვის, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა, სამთო მრეწველობა და გარემოსდაცვითი მონიტორინგი. საქართველოში აღნიშნული მოდელის გადმოღება საქსტატს შეუძლია, კერძო სექტორთან თანამშრომლობის გზით. ღია მონაცემების ინიციატივა — „ტრანსპორტი ლონდონისთვის“ (TfL)³² — ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება მონაცემების გამოყენება საზოგადოებრივი სარგებლისთვის. ინიციატივამ პროგრამისტებისთვის ხელმისაწვდომი გახადა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მონაცემები, მათ შორის ინფორმაცია მომხმარებელთა შესახებ, ასევე შეფერხებებთან, გაფიცვებთან და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებული ინფორმაცია. შედეგად, City Mapper-ის მსგავსი აპლიკაციები მომხმარებლებს სთავაზობს ყველაზე მოსახერხებელ მარშრუტებს, რეალური დროის მონაცემებზე დაყრდნობით. საუკეთესო პრაქტიკის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს გაერთიანებული სამეფოს ODI, რომელიც მონაცემების გახსნით დაინტერესებულ ორგანიზაციებს ტრენინგებსა და მხარდაჭერას სთავაზობს. „ღია მონაცემების ბარომეტრმა“, ღია მონაცემებთან დაკავშირებული მზაობის გლობალურმა საზომმა, დაადგინა, რომ კანადა, გაერთიანებული სამეფო და საფრანგეთი მოწინავე ადგილებს იკავებენ ღია მონაცემებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და გამოცდილების კუთხით. ასევე, „ღია მონაცემების ბარომეტრმა“, მრავალმხრივმა ინიციატივამ, რომელიც ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და ღია მმართველობის ჩამოყალიბებას, 70-ზე მეტ ქვეყანას უბიძგა, დაენერგა ღია მონაცემთა პოლიტიკა და პრაქტიკა.³³

31 <https://codeforamerica.org/>

32 <https://tfl.gov.uk/info-for/open-data-users/open-data-policy>

33 <https://www.oxfordinsights.com/insights/2022/10/26/harnessing-data-for-the-public-good-what-can-governments-do>

დეველოპერთა მოზიდვის პროგრამები

პროექტებში დეველოპერთა ჩართვა სახელმწიფო ღია მონაცემების გამოყენების ხელშეწყობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია დეველოპერთა მოზიდვის პროგრამების შექმნა, რომლებიც წახალისებს აპლიკაციებისა თუ ხელსაწყოების შემუშავებას ღია მონაცემების მეშვეობით. სასურველია, პროგრამები მრავალი მიმართულებით სთავაზობდეს მხარდაჭერას დეველოპერებს (მაგ., API დოკუმენტაცია, დეველოპერთა ფორუმები და ტრენინგები). მსგავსი რესურსების დახმარებით, დეველოპერებისთვის მარტივდება ღია მონაცემებზე წვდომა და მათი გამოყენება (პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების მიზნებისთვის). აგრეთვე, აღნიშნული პროგრამები მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელიც გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის სურვილის მქონე დეველოპერებისგან შედგება. აღნიშნული ინიციატივების მეშვეობით, დეველოპერებს ეძლევათ შესაძლებლობა, გაიგონ მეტი ღია მონაცემების გამოყენების გზების შესახებ ისეთი ინოვაციური გადაწყვეტების შექმნის მიზნით, რომლებიც რეალური პრობლემების მოგვარებაზე ზრუნავს.

დეველოპერთა მოზიდვის იდეა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში წარმატებით განხორციელდა. მაგალითად, აშშ-ს მთავრობის პლატფორმა (Data.gov) მომხმარებლებს სთავაზობს მრავალფეროვან რესურსებს API დოკუმენტაციის, კოდის ნიმუშებისა და დეველოპერების ხელსაწყოების ჩათვლით. ასევე, Data.gov რეგულარულად მასპინძლობს ჰაკათონებსა და ტრენინგებს, რაც დეველოპერების მიერ აპლიკაციებში სახელმწიფო მონაცემების გამოყენებას უწყობს ხელს. კიდევ ერთი წარმატებული პროექტია Open Data 500 Global Network, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკასა და საზოგადოებაზე ღია მონაცემების გავლენის ხაზგასმას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შექმნილია კომპანიების მონაცემთა ბაზა. ეს კომპანიები იყენებენ ღია მონაცემებს და აზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას, რაც დეველოპერებისთვის ერთგვარი მთაგონების წყაროა — პროექტი ხელს უწყობს მათ ღია მონაცემების გამოყენებაში.³⁴

ღია მონაცემების ელჩის პროგრამა

ღია მონაცემების ელჩის პროგრამა ხელს უწყობს ღია მონაცემების გამოყენებას სახელმწიფო ხელისუფლებისა და საზოგადოებრივ სტრუქტურებში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო დაწესებულებების ან საზოგადოების წარმომადგენლები ღია მონაცემთა ელჩების როლს ასრულებენ. ეს ელჩები უფლებამოსილნი არიან, ხელი შეუწყონ ღია მონაცემების უპირატესობების პოპულარიზაციასა და თანამშრომლობას. ისინი ასრულებენ ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას მთავრობასა და გარე დაინტერესებულ მხარეებს შორის. ყოველივე ამის შესანიშნავი მაგალითია ნიუ-იორკის ღია მონაცემთა ელჩების (ODA) პროგრამა.³⁵ ODA პროგრამა წარმატებული აღმოჩნდა საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით. მან ასევე ხელი შეუწყო ფიზიკურ პირებს ღია მონაცემების გამოყენებაში. ამ გზით, პროგრამამ მეტად დააახლოვა მთავრობა და საზოგადოება, შედეგად კი ჩამოყალიბდა გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მთავრობა და დაიხვეწა სახელმწიფო სერვისები.

ღია მონაცემების ელჩის პროგრამის დანერგვა სხვადასხვა გზით შეიძლება — ადგილობრივი მთავრობისა და საზოგადოების კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად. მაგალითად, ელჩების დანიშვნა შეიძლება სხვადასხვა სექტორის (მაგ., ჯანდაცვა, ტრანსპორტი, განათლება) წარმომადგენლების სახით. ელჩებს ასევე შეუძლიათ ღონისძიებებისა და პრაქტიკული მეცადინეობების მოწყობა, რომლებიც გაანათლებს საზოგადოებას ღია მონაცემების

³⁴ <https://thegovlab.org/project/project-open-data-500-global-network>

³⁵ <https://opendata.cityofnewyork.us/learn-open-data/>

გამოყენებისა და მათი უპირატესობებით სარგებლობის საკითხებში. რომ შევაჯამოთ, „ღია მონაცემების ელჩის პროგრამა“ ღია მონაცემების ინიციატივების პოპულარიზაციისა და საჯარო დაწესებულებებსა და გარე დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების ეფექტიანი გზაა.

მონაცემთა ვიზუალიზაციის კონკურსები

მონაცემთა ვიზუალიზაციის კონკურსების ჩატარება სტრატეგიული ნაბიჯია, რომელიც პოტენციურად მნიშვნელოვნად გაზრდის ღია მონაცემთა მართვის ეფექტიანობას. მონაცემთა ვიზუალიზაციის კონკურსების ორგანიზებით, საქართველოს შეუძლია, მაგალითი აიღოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკიდან. ამგვარად, მთავრობა ხელს შეუწყობს ინოვაციებს და აამაღლებს საზოგადოების ცნობიერებას. კონკურსები რთული საკითხების მარტივად მიწოდების შესანიშნავი საშუალებაა.

ამის ერთ-ერთი მაგალითია „მონაცემთა ვიზუალიზაციის საზოგადოება“³⁶, რომელიც ხელს უწყობს მოქალაქეებს, ჩაერთონ მონაცემთა ვიზუალიზაციის კონკურსებში. იგი აყალიბებს დიზაინერებისა და ანალიტიკოსების საზოგადოებას, რომელიც მიმზიდველი გამოსახულებების შესაქმნელად ღია მონაცემებს იყენებს. ამგვარი თანამშრომლური მიდგომა ინოვაციურ ვიზუალიზაციას უწყობს ხელს და ქმნის საზოგადოების ინფორმირების მძლავრ ხელსაწყოს. მსგავსი შეჯიბრებების ჩატარების გზით, საქართველოს შეუძლია მოქალაქეთა კრეატიულობა გააღვივოს და ხელი შეუწყოს მონაცემთა შესწავლასა და წარმოდგენას სხვადასხვა ფორმით (მრავალფეროვანი აუდიტორიის საჭიროებების შესაბამისად).

გარდა ამისა, კრეატიული ვიზუალიზაციის პოპულარიზაცია ასევე შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. მსოფლიო ბანკის „მონაცემთა ვიზუალიზაციის კონკურსი“ ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს. მსოფლიო ბანკი ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ვიზუალური მასალები კომპლექსური ინფორმაციის აღქმაში გვეხმარება. სწორედ ამიტომ, იგი ხელს უწყობს კონკურსის მონაწილეებს ისეთი ინოვაციური ვიზუალური მასალების შექმნაში, რომლებიც საზოგადოების განათლებას ემსახურება.³⁷ საქართველოს შეუძლია მსგავსი მიდგომის დანერგვა და კრეატიული ვიზუალიზაციის პოტენციალის გამოყენება ღია მონაცემებთან დაკავშირებული ინფორმაციის გადმოსაცემად.

მონაცემთა ვიზუალიზაციის კონკურსების ღია მონაცემების მართვის სტრატეგიაში ჩართვა პოტენციურად დიდ სარგებელს მოუტანს საქართველოს მთავრობას. ამ გზით საქართველოს შეუძლია შექმნას გარემო, რომელიც წახალისებს ინოვაციებს და გაამარტივებს კომპლექსური საკითხების საზოგადოებისთვის მიწოდებას. ვიზუალიზაციის პროექტებში მონაწილეობის წახალისებითა და ვიზუალიზაციის მნიშვნელობის სათანადო დაფასებით, საქართველოს შეუძლია, გაზარდოს მოქალაქეთა მიერ ღია მონაცემების გამოყენება, რაც მეტად ინფორმირებული და ფართო შესაძლებლობების მქონე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველი იქნება.

რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის შესახებ

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ღია მონაცემების მიმართულებით მოიცავს სხვადასხვა სახის აქტივობებს, რომლებშიც არასამთავრობო და უფლებადამცველი ორგანიზაციები,

³⁶ <https://www.datavisualizationociety.org/>

³⁷ <https://www.data4sdgs.org/data-viz>

მოქალაქეებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ ღია მონაცემების შექმნაში, მათ გავრცელებასა და გამოყენებაში.

პროპაგანდა და ცნობიერების ამაღლების კამპანიები

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ღია მონაცემებისა და მათი უპირატესობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ცნობიერების ამაღლებაში. აღნიშნული ორგანიზაციები ატარებენ მრავალფეროვან ღონისძიებებს, სემინარების, პრაქტიკული მეცადინეობებისა და საჯარო ფორუმების ჩათვლით, რომლებიც მოქალაქეთა, ბიზნესებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ღია მონაცემთა მნიშვნელობის შესახებ ცოდნის გაღრმავებას ემსახურება.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ერთ-ერთ მაგალითია გაერთიანებული სამეფოს ODI. ეს არის დამოუკიდებელი, არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც, ღია მონაცემთა გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, თანამშრომლობს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის დაწესებულებებთან. ODI კომპანიებთან ერთად ავითარებს მონაცემებზე დაფუძნებულ პროდუქტებსა და სერვისებს, ატარებს ტრენინგებს, ხელს უწყობს მონაცემებთან დაკავშირებულ ინოვაციებს და უზრუნველყოფს ცოდნის გავრცელებას სექტორებს შორის.

კიდევ ერთი შესანიშნავი მაგალითია Sunlight Foundation, ამერიკის შეერთებულ შტატებში³⁸. მისი მიზანია, ღია მონაცემთა ინიციატივების მეშვეობით, მთავრობაში ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდა. ორგანიზაცია სხვადასხვა წყაროდან აგროვებს მონაცემებს და ასაჯაროებს მათ, რითაც უზრუნველყოფს ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას მოქალაქეთა წინაშე.

ანალოგიურად, კენიაში არსებული „ღია ინსტიტუტი“, აქტიურად მუშაობს მონაცემებზე დაფუძნებული და მოქალაქეებზე ორიენტირებული ხელისუფლების ჩამოყალიბებაზე. ორგანიზაცია უზრუნველყოფს ღია მონაცემთა წესების დაცვას და თანამშრომლობს სახელმწიფო დაწესებულებებთან იმისთვის, რომ მონაცემები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს.³⁹

რომ შევაჯამოთ, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ღია მონაცემთა შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და მთავრობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში. აღნიშნულ ორგანიზაციათა ძალისხმევით დახმარებით ყალიბდება მეტად ანგარიშვალდებული და აქტიური საზოგადოება, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ ინფორმირებული, ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება.

საგანმანათლებლო პროგრამები მონაცემების მიმართულებით

სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს შეუძლიათ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, რომლებიც მოემსახურება ცალკეული პირებისა თუ ორგანიზაციების ღია მონაცემთა გაგების, ანალიზისა და გამოყენების უნარების დახვეწას. აღნიშნული პროგრამები შეიძლება მოიცავდეს ტრენინგებს, ონლაინ კურსებსა და საგანმანათლებლო მასალებს. მაგალითად, Data-Pop Alliance-ის ინიციატივა — „მონაცემთა შესახებ განათლება ყველასათვის“ (DL4A) — ატარებს ონლაინ კურსებსა და ვებინარებს. იგი ასევე ქმნის რესურსებს მონაცემთა შესახებ ცოდნის გაღრმავების მიზნით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით. პროგრამა მოიცავს შემდეგ თემებს: მონაცემთა ეთიკა, კონფიდენციალურობა და მონაცემთა პრაქტიკული გამოყენება გადაწყვეტილებების მიღებისთვის. კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს TechSoup Europe,

³⁸ <https://sunlightfoundation.com/>

³⁹ <https://openinstitute.africa/>

რომელიც სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს, ტრენინგ-პროგრამების უზრუნველყოფის მიზნით (მონაცემთა შესახებ ცოდნის გაღრმავების პროგრამების ჩათვლით). ორგანიზაცია პრაქტიკულ მეცადინეობებსა და რესურსებს სთავაზობს აღმოსავლეთ ევროპის არაკომერციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთა დახმარებითაც ეს ორგანიზაციები სწავლობენ, რა გზით შეიძლება მონაცემების გამოყენება მათი საქმიანობის სფეროში. საქართველოში, IDFI წამყვანი ორგანიზაციაა, რომელიც გამჭვირვალობის, მმართველობის გაუმჯობესებისა და ღია მონაცემების მიმართულებით მუშაობს. ორგანიზაცია აქტიურადაა ჩართული უნარების გამომუშავებასთან დაკავშირებულ აქტივობებში, მონაცემთა შესახებ ცოდნის გაღრმავებისა და მონაცემთა გამოყენების შესახებ ტრენინგ პროგრამებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩათვლით. სასარგებლო იქნებოდა იმის გარკვევა, თუ როგორ მოახერხა IDFI-მ კავშირის დამყარება რეგიონულ და ევროპულ სამოქალაქო საზოგადოებებთან, საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილისთვის განკუთვნილი, ღია მონაცემების მეტად მძლავრი პროგრამების შემუშავების მიზნით.

მონიტორინგი და ანგარიშვალდებულება

სამოქალაქო საზოგადოება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ღია მონაცემების მეშვეობით მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების მონიტორინგში. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მსგავსი ორგანიზაციები ხშირად იყენებენ ღია მონაცემებს სახელმწიფო ხარჯებზე, ხელისუფლების ხელშეკრულებებზე და შესყიდვების პროცესებზე დასაკვირვებლად, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების მიმართულებით შემუშავებული ინიციატივის მაგალითია „ანტიკორუფციული სამოქმედო ცენტრი“ (AntAC) უკრაინაში. AntAC წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომლის მიზანია კორუფციასთან ბრძოლა და გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა. AntAC ჩართულია სახელმწიფო თანამდებობის პირთა აქტივების დეკლარაციათა ანალიზში, უკანონო გამდიდრების პოტენციური შემთხვევების ამოცნობის მიზნით. ორგანიზაცია იყენებს ღია მონაცემებს და ჩართულია იურიდიულ დახმარებაში, რათა მიაღწიოს პასუხისმგებლობის ზომების გატარებას იმ თანამდებობის პირების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ სიმდიდრის წყაროს ვერ ასაბუთებენ. AntAC თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ და „ღია მმართველობის პარტნიორობა“, კორუფციასთან ბრძოლის მიზნით მთელი მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნული ორგანიზაციები მონაწილეობენ საერთაშორისო ინიციატივებში, რომლებიც ხელს უწყობს ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.⁴⁰

რეკომენდაციები მედიის ჩართულობის შესახებ

ღია მონაცემთა მართვაში მედიის ჩართულობა გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ინფორმირებული საჯარო ჩამოყალიბების საწინდარია. ქვემოთ მოყვანილია კონკრეტული მაგალითები საქართველოში მონაცემთა ჟურნალისტიკის ხელშეწყობისთვის.

ტრენინგ პროგრამები ჟურნალისტიკისთვის

ჟურნალისტიკის ცნობილ სკოლებთან, მედია ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან თანამშრომლობით შესაძლებელია ტრენინგ პროგრამების მოწყობა მონაცემთა ჟურნალისტიკით დაინტერესებული ჟურნალისტიკისთვის. მაგალითად, ტრენინგ პროგრამა შეიძლება მოიცავდეს მონაცემთა ანალიზის მეთოდებს, როგორებიცაა რეგრესიული ანალიზი, კლასტერიზაცია და კლასიფიკაციის ალგორითმები. გარდა ამისა, ვიზუალიზების ხელსაწყოების

⁴⁰ <https://antac.org.ua/en/>

(როგორცაა Tableau, Power BI და D3.js) შესწავლით, ჟურნალისტები ინტერაქციული და მიმზიდველი ვიზუალური მასალების შექმნას შეძლებენ. ტრენინგ პროგრამების მეშვეობით ასევე შესაძლებელია ისწავლებოდეს ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორცაა მონაცემების გამოყენებით თხრობა. მაგალითად, პროგრამაში შეიძლება ჩაირთოს სესიები, სადაც განხილული იქნება სხვადასხვა ხერხები, რომლებიც თხრობას მსმენელისთვის მეტად საინტერესოს გახდის. ამ ხერხებს მიეკუთვნება მონაცემებზე დაფუძნებული თხრობა, მონაცემებზე დაფუძნებული სახვითი ხელოვნება და ინტერაქციული ინფოგრაფიკა.

მონაცემთა ჟურნალისტიკის სასწავლო პროგრამების უამრავი მაგალითი არსებობს, რომელთა ორგანიზება ჟურნალისტიკის სკოლების, მედია ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების თანამშრომლობით გახდა შესაძლებელი. მაგალითად, ევროპის ჟურნალისტიკის ცენტრი ატარებს ტრენინგ კურსებს მონაცემთა ჟურნალისტიკის შესახებ. მონაცემთა ჟურნალისტიკის საფუძვლების კურსი მოიცავს მონაცემთა გაწმენდას, ანალიზსა და ვიზუალიზაციას. კურსს ასწავლიან მონაცემთა გამოცდილი ჟურნალისტები. ცენტრს ასევე აქვს სპეციალიზებული კურსები ისეთ თემებზე, როგორებიცაა საგამოძიებო ჟურნალისტიკა, ეკოლოგიური და მობილური ჟურნალისტიკა.⁴¹ გარდა ამისა, ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი (ICFI) თანამშრომლობს Google News Initiative-თან მონაცემთა ჟურნალისტიკის საფუძვლების პროგრამის შექმნის მიზნით, რომელიც მოიცავს მონაცემთა ჟურნალისტიკის უნარების ონლაინ კურსებს. პროგრამის ფარგლებში ისწავლება თემები როგორებიცაა, მონაცემთა ვიზუალიზაცია, კარტოგრაფირება და სკრეპინგი, და შემოთავაზებულია სავარჯიშოები, რომლებიც ჟურნალისტებს ეხმარება საკუთარი მონაცემების პრაქტიკულად გამოყენებაში.⁴² დასასრულს, ამერიკული ორგანიზაცია „საგამოძიებო რეპორტიორები და რედაქტორები“ (IRE) მონაცემთა ჟურნალისტიკით დაინტერესებულ ჟურნალისტებს ტრენინგ პროგრამებსა და სათანადო რესურსებს სთავაზობს.⁴³ ორგანიზაციის NICAR კონფერენცია⁴⁴ ყოველწლიურად ტარდება. ღონისძიება მონაცემთა ჟურნალისტების, პროგრამისტებისა და მონაცემთა მეცნიერების თავშეყრის ადგილია. კონფერენციის ფარგლებში პროფესიონალები ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ და ახალ ინფორმაციას ითვისებენ. IRE ჟურნალისტებს ასევე სთავაზობს ონლაინ კურსებს მონაცემთა ვიზუალიზაციის, მონაცემთა ბაზის ანალიზისა და Python პროგრამირების შესახებ.

ასევე შესაძლებელია პრაქტიკული მეცადინეობებისა და ჰაკათონების ჩატარება, სადაც ჟურნალისტები მონაცემთა მეცნიერებთან ერთად გამოიკვლევენ ღია მონაცემთა ბაზებს. ამგვარი თანამშრომლური მიდგომა ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების გამომუშავებასა და მონაცემებზე დაფუძნებული სიუჟეტების შექმნას.

მონაცემთა ჟურნალისტიკის ქსელები

ღია მონაცემთა მართვის წარმატებული სისტემები ხელს უწყობს ქსელებისა თუ ფორუმების შექმნას, სადაც ჟურნალისტებს ეძლევათ შესაძლებლობა, ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილებები, გამოწვევები და მიღწეული წარმატებები, რომლებიც ღია მონაცემთა რეპორტაჟში ჩართვას ეხება. ასეთი თანამშრომლური გარემო მონაცემთა ჟურნალისტიკის

⁴¹ <https://ejc.net/>

⁴² <https://www.icfi.org/news/google-news-initiative-supports-icfis-large-scale-digital-program-mideast>;
<https://newsinitiative.withgoogle.com/resources/trainings/data-journalism/>

⁴³ <https://www.ire.org>

⁴⁴ <https://www.ire.org/training/conferences/nicar-2023/>

სფეროში ხელს შეუწყობს პრაქტიკოს სპეციალისტთა საზოგადოების ჩამოყალიბებას. მონაცემთა ჟურნალისტიკის დახმარებით შესაძლებელია საზოგადოების გაერთიანება სამოქალაქო საკითხების გადასაჭრელად. მაგალითად, შესაძლებელია ინტერაქციული საშუალებებისა და ვიზუალური მასალების შექმნა, რაც დაეხმარება მოქალაქეებს ადგილობრივ მთავრობასთან, საჯარო სერვისებთან ან ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული ღია მონაცემების შესწავლასა და გაგებაში. ევროპაში მონაცემთა ჟურნალისტიკის ქსელის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ორგანიზაცია „ევროპის მონაცემთა ჟურნალისტიკის ქსელი“ (EDJNet). EDJNet-ის წევრი ორგანიზაციები ერთობლივად ქმნიან მონაცემებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკის პროექტებს მრავალფეროვან თემებზე, როგორებიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, ეკოლოგია და საზოგადოებრივი პრობლემები. პროექტები უმეტესწილად მოიცავს მონაცემთა ანალიზსა და ვიზუალიზაციას იდეებისა და კონტენტის შესაქმნელად.⁴⁵ კიდევ ერთი მაგალითია „ბალკანეთის საგამოძიებო რეპორტაჟის ქსელი“ (BIRN). BIRN გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას უწყობს ხელს და უზრუნველყოფს ჟურნალისტიკის სფეროში ღია მონაცემთა კეთილსინდისიერ გამოყენებას. ბალკანეთში BIRN-ის ღია მონაცემებთან დაკავშირებული, ადგილობრივი ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი აქტივობები მოიცავს ტრენინგ პროგრამებსა და უნარების გამომუშავებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. ასევე, ორგანიზაცია სპეციალისტებს ეხმარება მონაცემთა ჟურნალისტიკის მეთოდოლოგიის, მონაცემთა ანალიზისთვის საჭირო ხელსაწყოებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესწავლაში საგამოძიებო რეპორტაჟში ღია მონაცემების გამოყენებისთვის.⁴⁶

აღნიშნული მაგალითები აღწერს ჟურნალისტების შესაძლებლობების გაფართოების გზებს ისეთი უნარების ათვისებით, რომლებიც საჭიროა ღია მონაცემების ეფექტიანად გამოსაყენებლად. ყოველივე ეს ხელს უწყობს საქართველოში მეტად ინფორმირებული და აქტიური საჯარო განხილვების წარმართვას.

⁴⁵ <https://www.europeandatajournalism.eu/>

⁴⁶ <https://birn.eu.com/>

მიგნებები

პოლიტიკური მხარდაჭერა მაღალი რანგის პოლიტიკოსებისგან

მთავრობის მხრიდან ღია მონაცემთა გამოყენების მიმართ მზაობის შეფასება (10-დან 6 ქულა) ძალისხმევის არადადამაყოფილებელ დონეზე მიაღწენს. აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად ღია მონაცემთა მნიშვნელობის გარკვეულწილად გააზრებისა, ხელისუფლება ინიციატივას სრულად არ აღიარებს. დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის შედეგად, გამოვლინდა არადადამაყოფილებელი ძალისხმევის გამომწვევი სხვადასხვა ფაქტორი.

ინტერვიუებში ხსენებულ ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს მთავრობაში საკმარისი პოლიტიკური კულტურის არარსებობა. აღნიშნული მიუთითებს, რომ პოლიტიკურ ლიდერებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებში ღია მონაცემთა უპირატესობები სათანადოდ არაა გააზრებული და დაფასებული. მონაცემთა გასაჯაროების შესაძლო პოლიტიკური შედეგები დამატებითად ასუსტებს დაინტერესებას ხელისუფლების მხრიდან.

ღია მონაცემთა დანერგვასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ მიზნებსა და პრაქტიკაში განხორციელებულ ინიციატივებს შორის კავშირის არარსებობა კიდევ ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ღია მონაცემთა პოლიტიკას სიტყვიერად მხარს უჭერენ, ინიციატივის დასაწერად რეალური ნაბიჯები არ გადადგმულა. რიტორიკასა და ქმედებებს შორის ასეთი შეუსაბამობა ძირს უთხრის ღია მონაცემთა მართვას და აბრკოლებს ინიციატივისგან მიღებულ პოტენციურ სარგებელს.

ასევე, რესპონდენტები ერთსულოვნად უსვამენ ხაზს ღია მონაცემთა მიმართ გამოჩენილ არასაკმარის ყურადღებას ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მხრიდან. პრობლემას ამწვავებს პოლიტიკური მხარდაჭერის არარსებობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. მაღალი რანგის პოლიტიკოსთა ძლიერი მხარდაჭერის გარეშე, ღია მონაცემებთან დაკავშირებული ინიციატივების განსახორციელებლად საჭირო ბერკეტებისა რესურსების მოპოვება რთულია, რაც ამ ინიციატივების წარმატებას ხელს უშლის.

რომ შევაჯამოთ, ძირითადი ფაქტორი, რომელიც საქართველოში ღია მონაცემთა ხელმისაწვდომობას აბრკოლებს, არის მაღალი რანგის პოლიტიკოსთა არასაკმარისი ჩართულობა. საკითხის გადაჭრა მოითხოვს არა მხოლოდ ცნობიერების ამაღლებას ღია მონაცემთა უპირატესობების შესახებ, არამედ — ისეთი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას, რომელიც გამჭვირვალობას, ინოვაციებსა და ეფექტიან მმართველობას დააფასებს.

პოლიტიკა/სამართლებრივი ჩარჩო

ღია მონაცემთა პროგრამის გრძელვადიანი წარმატება და სტაბილურობა დამოკიდებულია უფლებადმჭურველ პოლიტიკასა და სამართლებრივ ჩარჩოზე. ღია მონაცემები მოითხოვს

სხვადასხვა სახის პოლიტიკური თუ სამართლებრივი საკითხების გადაჭრას, მაგალითად — მონაცემთა ხელახალ გამოყენებასა და ლიცენზირებას, კონფიდენციალურობის დაცვასა და მონაცემთა უსაფრთხოებას, პერსონალურ და იდენტიფიცირებად პერსონალურ მონაცემთა ანონიმიზაციას.

ღია მონაცემები საქართველოს სამართლებრივ სისტემაში

ღია მონაცემთა უფლებააღმჭურველი სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში შემუშავებული არაა; არ არსებობს ღია მონაცემთა დამუშავების ცენტრალიზებული პოლიტიკა და სტანდარტები. საწყის იდეას წარმოადგენდა 2015 წელს მიღებულ, ინფორმაციის თავისუფლების (FOI) კანონში ღია მმართველობის მონაცემებთან დაკავშირებული სამართლებრივი დებულებების ჩართვა. თუმცა, აღნიშნული ჯერ კიდევ არ განხორციელებულა. სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად უჭერდა მხარს FOI კანონის მეშვეობით ღია მონაცემთა რეგულაციასა და მაღალი დონის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას, თუმცა — უშედეგოდ. ღია მონაცემთა მნიშვნელობის განმსაზღვრელი საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს.⁴⁷ არაა შემუშავებული მეორადი რეგულაციები და სტანდარტები, რომლებიც გააკონტროლებდა ვის მიერ და რა გზებით ქვეყნდება მონაცემები. აღნიშნული ხორციელდება მოხალისეობრივად, სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების მიერ. მთავრობის მონაცემების წესები მიმოფანტულია სხვადასხვა კანონსა თუ ქვეკანონში, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის უსაფრთხოებას, პერსონალურ მონაცემებს, ზოგად ადმინისტრაციულ საქმისწარმოებას და სხვ. არ არსებობს ერთიანი სტანდარტები და ლიცენზირებული დებულებები (თავისუფალი ლიცენზიების ჩათვლით).

2020 წელს მიღებული, სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ კანონის მიხედვით, ციფრული მმართველობის სააგენტო „ადგენს საჯარო სექტორში არსებული ღია მონაცემების გამოქვეყნების ერთიან სტანდარტს და უზრუნველყოფს ერთიანი პორტალის მეშვეობით მათ ხელმისაწვდომობას“.⁴⁸ თუმცა, ციფრული მმართველობის სააგენტოს ჯერ-ჯერობით არ განუხორციელებია კანონით მინიჭებული უფლებამოსილება ღია მონაცემთა სფეროში.

ეროვნულ კანონმდებლობაში ერთი სამართლებრივი დებულებაც კი არ არსებობს, რომელიც მონაცემებისა და ღია მონაცემების პირობებისა და ლიცენზირების წესებს ეხება. ღია მონაცემთა დეტალური პირობები (რომლებიც ხელმისაწვდომია ღია მონაცემთა პორტალზე) განსაზღვრავს მონაცემთა ხელახალი გამოყენების, საავტორო უფლებებისა და მითითების მოთხოვნებს. ღია მონაცემთა გამოქვეყნებისა და ხელახალი გამოყენებისთვის, საქართველოს მთავრობა იყენებს ღია ლიცენზიებს (მაგ., Creative Commons by Attribution). ხელისუფლების მიერ ამჟამად გამოყენებულ პირობებს შეგიძლიათ გაეცნოთ აქ: <https://data.gov.ge/Page/Terms>. ღია მონაცემთა არსებულ პორტალზე მთავრობის მონაცემები ქვეყნდება და გამოიყენება პორტალის პირობების მიხედვით, მონაცემთა მფლობელთან შეთანხმების გზით.

მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის კონსტიტუციური და სამართლებრივი გარანტიები

პერსონალური მონაცემებისა და კონფიდენციალურობის დაცვა რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კანონის მეშვეობით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის

47 ღია მონაცემები მოკლედაა განმარტებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ციფრული მმართველობის სააგენტოს

შესახებ კანონში, რომლის მე-4 მუხლის, „ე“ პარაგრაფის თანახმად, ღია მონაცემი არის „საჯარო ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია ერთიანი პორტალის მეშვეობით, მანქანაკითხვად ფორმატში“.

48 საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ, მუხლი 6, პარაგრაფი 1(მ).

შესახებ“⁴⁹. ამ კანონის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა ნებისმიერ სფეროში, მონაცემთა ბაზებისა და ინფორმაციული სისტემების ჩათვლით. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება.

კონფიდენციალურობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა სახელმწიფო სექტორის დიაოზის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დამაბრკოლებელ ფაქტორად არ უნდა მიიჩნეოდეს. ამის საპირისპიროდ, მარეგულირებელი ორგანოებისა და კანონმდებელთა ყურადღება უნდა გამახვილდეს კონფიდენციალურობისა და მონაცემთა გამოქვეყნების დაბალანსებაზე. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მთავრობის მონაცემთა ბაზებში არსებულ მონაცემთა კონფიდენციალურობას იცავს. ამჟამად, თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურა მონაცემებს ამუშავებს ავტომატური სისტემების დახმარებით. ასევე, ყველა ტიპის მონაცემი გაციფრულებულია და მუშავდება მონაცემთა ბაზების, რეესტრებისა და ინფორმაციული სისტემების მეშვეობით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური (PDPS), სამართლებრივი მანდატის ფარგლებში, უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზებში არსებული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვას. კანონით უფლებამოსილი PDPS გეგმურ და არაგეგმურ ინსპექტირებებს ატარებს სახელმწიფო დაწესებულებებში, სამართალდამცავი ორგანოების ჩათვლით. იურისტებისა და IT სპეციალისტების მიერ განხორციელებული ინსპექტირებები აფასებს, თუ რამდენად იცავს ესა თუ ის დაწესებულება მონაცემთა დამუშავების კონკრეტულ სტანდარტებსა და სამართლებრივ მოთხოვნებს. პროფესიონალები პასუხისმგებელი არიან ისეთი ასპექტების შემოწმებაზე, როგორიცაა წვდომის ჟურნალები, მონაცემთა დაცვა უნებართვო წვდომისგან და ცვლილებებისგან, შენახვის მეთოდები და ა.შ. ადგილობრივი ინსპექტირებები ტარდება შენობებში, სადაც მდებარეობს რეესტრები და მონაცემთა ბაზები ინსპექტირებები შესაძლოა ჩატარდეს მოქალაქეების ან ბიზნესების ინიციატივით, ისეთ მნიშვნელოვან მოვლენათა შემდეგ, რომლებიც რისკებთანაა დაკავშირებული, კონკრეტულ მონაცემთა ბაზების ფარგლებში, ან — დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი ოთხი დეპარტამენტისგან შედგება. ესენია: საჯარო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტი, კერძო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტი, სამართლებრივ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტი და გეგმური ინსპექტირების დეპარტამენტი. მათ მხარდაჭერას IT დეპარტამენტი უზრუნველყოფს. მონაცემთა დამუშავებლების მიერ ინსპექტირების ანგარიშების შემუშავება სავალდებულოა. სათანადო მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად განისაზღვრება ჯარიმა და პირგასამტეხლო. ევროპის საბჭო აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს მიერ ტრომსოს კონვენციის რატიფიკაციას. ეს უკანასკნელი კი სახელმწიფო დაწესებულებების მიერ შენახული ციფრული დოკუმენტების გამჭვირვალობისთვის გაცილებით მაღალი სტანდარტების დადგენის საბაზი გახდება. 2009 წელს შემუშავებული, ევროპის საბჭოს კონვენცია ოფიციალურ დოკუმენტებზე წვდომის შესახებ (ტრომსოს კონვენციის სახელწოდებით ცნობილი) იცავს

49 <https://matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=0>

ოფიციალურ ინფორმაციაზე წვდომის მოპოვების უნივერსალურ უფლებას (სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ციფრულ მონაცემთა ფონდისა და საჯარო რეესტრის ჩათვლით).

საქართველოს არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა, რომელიც მოითხოვდა სახელმწიფო მონაცემთა ბაზებში არსებული ინფორმაციის ანონიმიზაციას მათ გამოქვეყნებამდე. თუმცა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობაში, მონაცემთა დამუშავების საფუძვლებისა და პრინციპების ჭრილში, ნახსენებია მონაცემთა დამუშავებლების ვალდებულება, დაიცვან პერსონალური მონაცემები უნებართვო გამოქვეყნებისგან.

ანონიმიზაციისა და ფსევდონიმიზაციის პრაქტიკა საკმაოდ ახალია საქართველოსთვის; პრაქტიკას უმეტესწილად ახორციელებენ საგანმანათლებლო დაწესებულებები საგამოცდო ან სტიპენდიების გაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. აღნიშნულ შემთხვევებში განმცხადებლებს მინიჭებული აქვთ კონკრეტული ნომრები და კოდები, ხოლო განმცხადებლის იდენტობასთან დაკავშირებულ პერსონალურ ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია. PDPS იმუშავებს ანონიმიზაციისა და ფსევდონიმიზაციისთვის განკუთვნილი კონკრეტული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით, როგორც კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონი შევა ძალაში (2024 წლის მარტში).

საქართველომ ახლახან მიიღო კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“, რომელიც პერსონალურ მონაცემთა და კომერციულ საიდუმლოებათა კონფიდენციალურობის პრინციპს აღიარებს. კანონის ფარგლებში, მონაცემთა გამოყენება მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვისაა დაშვებული. კანონის თანახმად, „სტატისტიკური მონაცემები შესაბამის მეტამონაცემებსა და განმარტებებთან ერთად უსასყიდლოდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა მომხმარებლისთვის;“ „გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებში აღმოჩენილი შეცდომები უნდა გასწორდეს, ხოლო შესწორებები უნდა გამოქვეყნდეს და მომხმარებელს უნდა მიეწოდოს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში;“ „მომხმარებელს უფლება აქვს, ოფიციალური სტატისტიკა და შესაბამისი მეტამონაცემები გამოიყენოს თავის სტატისტიკურ პროდუქტში ამ მონაცემთა წყაროს მითითებით;“ „საქსტატი უზრუნველყოფს სტატისტიკური მონაცემების ყველა მომხმარებლისთვის უსასყიდლოდ, ელექტრონული ფორმით მიწოდებას.“

უმეტეს შემთხვევებში, მონაცემთა დამუშავებლებს, საკუთარი სისტემის ფარგლებში, არ გააჩნიათ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შიდა პოლიტიკა ან რეგულაციები. თუმცა, PDPS გეგმავს მსგავსი შიდა დოკუმენტების შექმნის პროცესში დახმარების გაწევას. მაგალითად, PDPS-ის ვებ პორტალს უკვე გააჩნია საკუთარი ქუქი-პოლიტიკა. იგი ასევე გეგმავს მეხსიერების ლიმიტირების სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებას, რომელიც „დავიწყების უფლების“ პრინციპის შესაბამისი იქნება. და მაინც, პოლიტიკის დონეზე, მონაცემთა დაცვის კუთხით, უამრავი საჭიროება არსებობს.

ინფორმაციის თავისუფლება საქართველოს კანონმდებლობაში

საქართველოში ინფორმაციაზე წვდომის უფლება წარმოადგენს ადამიანის კონსტიტუციურად გარანტირებულ უფლებას. ინფორმაციის თავისუფლებისა და ინფორმაციაზე წვდომის საკანონმდებლო საფუძველი განხილულია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში, ასევე — საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავში. კანონმდებლობა საჯარო ინფორმაციის ზოგად განმარტებას გვთავაზობს: სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არაა მიჩნეული საიდუმლოებად. ინფორმაცია საჯაროა, თუ იგი კლასიფიცირებული ინფორმაციის კატეგორიას არ მიეკუთვნება (მაგ., სახელმწიფო, პროფესიონალური ან კომერციული საიდუმლოების ან პერსონალურ მონაცემთა კატეგორიებს). 2012 წელს, საქართველოს კანონმდებლობაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის მიერ შეთავაზებული შესწორებების მიხედვით, შემოღებულ იქნა ახალი ტერმინები — „პროაქტიული გამოქვეყნება“ და „ელექტრონული რესურსები“. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი შესაძლებელს ხდის საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვას სახელმწიფო დაწესებულების ელექტრონული რესურსების გამოყენებით.

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს არ გააჩნია სახელმწიფო სერვისებთან (ელექტრონული სახელმწიფო სერვისების ჩათვლით) დაკავშირებული დებულებები. თუმცა, პრაქტიკულად, საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებები, განსაკუთრებით საჯარო სამართლის იურიდიული პირები, უფლებამოსილი არიან, უზრუნველყონ სერვისები და მოითხოვონ სერვისის საფასურის გადახდა. აღნიშნული შემოსავლის ლეგიტიმურ წყაროს წარმოადგენს, „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. ფასიანი თუ უფასო სახელმწიფო სერვისების უზრუნველყოფა უმეტესწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ მონაცემთა მართვის პროცესებზე. ამის მაგალითს წარმოადგენს გეოინფორმაციის მონაცემები. ასეთ მონაცემებზე წვდომა ხშირად ფასიანია. თუმცა, საჯარო სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებული კონკრეტული რეგულაციების არარსებობა პრაქტიკულ პრობლემებს ქმნის საჯარო ინფორმაციასა (რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ღია მონაცემთა სახით) და ფასიან მომსახურებას შორის ზღვრის გავლებაში.

სამართლებრივი ჩარჩოს არსებობის მიუხედავად, ინფორმაციის თავისუფლების პრაქტიკული გამოყენების მოთხოვნების კუთხით საქართველოში სისტემური ხარვეზები ვლინდება. მძლავრ ადმინისტრაციულ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი დაწესებულების (როგორცაა, მაგალითად, ინფორმაციის თავისუფლების კომისარი) არარსებობა აბრკოლებს ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის ეფექტიან დანერგვას სახელმწიფო დაწესებულებების მიერ. აგრეთვე, სასამართლოს მიერ ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული დავების კონტროლი ნაკლებად შედეგიანია, გაჭიანურებული სასამართლო პროცედურებისა და ეფექტიანი საპროცესო მექანიზმების სიმწირის გამო. სახელმწიფო დაწესებულებების მიერ პარლამენტის სამეთვალყურეო ორგანოებისთვის წარდგენილი ანგარიშები რომლებიც ინფორმაციის თავისუფლების თემებს ეხება, სათანადოდ ვერ აღწერს საჯარო ინფორმაციაზე წვდომასთან დაკავშირებულ სისტემურ პრობლემებს.

სამართლებრივი ჩარჩო უსაფრთხოებისა და არქივირებისთვის

საქართველოს შედარებით კარგად განვითარებული სამართლებრივი ჩარჩო გააჩნია მონაცემთა უსაფრთხოების მიმართულებით. საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საჯარო ან კერძო კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურების (CII) მფლობელობაში არსებულ (ან მათ მიერ დამუშავებული) მონაცემთა უსაფრთხოებას ეხება. მონაცემთა უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების კუთხით, კანონი ითვალისწინებს სამნაწილიან ცნებას — „კონფიდენციალურობა, მთლიანობა და ხელმისაწვდომობა“ (CIA). მონაცემთა დაცვის წესებს კიბერუსაფრთხოების დარგში რამდენიმე ორგანო განისაზღვრავს — ციფრული მმართველობის სააგენტო, ოპერატიული ტექნიკური სააგენტო და კიბერუსაფრთხოების ბიურო — კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურების განსხვავებული კატეგორიებისთვის. მონაცემთა უსაფრთხოების მოთხოვნები შედის CII-ის ინფორმაციული მართვის სისტემაში. მოთხოვნები დაფუძნებულია შემდეგ სტანდარტებზე: ISO 27000:2018, ISO 27001:2013, ISO 27002:2013 და ISO 27005:2018. აღნიშნულ პროტოკოლებით, რისკის შეფასებისა და რისკის მართვის პროცესები წარიმართება მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ტარდება მონაცემთა აქტივების სრული ინვენტარიზაცია და მონაცემის თითოეულ ფრაგმენტს ენიჭება კონკრეტული კრიტიკულობის კლასი. ინფორმაციული აქტივის შექმნისას, მისმა შემქმნელმა ან/და აქტივზე

პასუხისმგებელმა პირმა უნდა განსაზღვროს სათანადო კრიტიკულობის კლასი. CII-ის ფარგლებში, ინფორმაციული მენეჯერი ატარებს მონაცემთა უსაფრთხოების პროცესების შიდა შემოწმებას. გარდა ამისა, აუდიტებით, ინფორმაციულ სისტემაში შედწევადობის ტესტირებით, ქსელის მონიტორინგისა და სხვა საინფორმაციო და კიბერუსაფრთხოების საკონტროლო საშუალებების დახმარებით, ტარდება გარე შემოწმება.

საქართველო, ციფრული მმართველობის სტრატეგიის ფარგლებში, მიზნად ისახავს სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესებას მონაცემთა დაარქივებისა და ხანგრძლივი დროით შენახვისთვის. ISO 15489 სტანდარტის შესაბამისად, სტრატეგიის მიზანია ციფრული შენახვის მეთოდების განვითარება და მათი არქივირების პრაქტიკაში ინტეგრაცია. სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ჩანაწერების ავთენტურობა, სანდოობა, მთლიანობა და მათი ხელახალი გამოყენების შესაძლებლობა. მთავრობის დაინტერესებულ მხარეებს კარგად აქვთ გააზრებული, რა სირთულეები ახლავს თან ელექტრონული არქივირების სისტემის არარსებობას. საკანონმდებლო ცვლილებები (სათანადო დებულებათა დამატების მიზნით) აუცილებელია ავთენტური ელექტრონული ჩანაწერების სისტემური და ხანგრძლივი შეგროვებისა და მათი უსაფრთხო მიწოდების უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, ეროვნულმა არქივმა უნდა შექმნას, კონკრეტულად ელექტრონული ჩანაწერებისთვის განკუთვნილი, შენახვის პოლიტიკა.

სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩოს არარსებობა ღია მონაცემთა ეკოსისტემის განვითარების ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორია. კანონიერი საფუძვლის გარეშე, საქართველოში ღია მონაცემთა ეკოსისტემა ვერ განვითარდება. საქართველოს არ გააჩნია ღია მონაცემებისთვის განკუთვნილი, დადგენილი კანონიერი საფუძველი. არ არის შემუშავებული გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე სათანადო პოლიტიკა და მარეგულირებელი სახელმძღვანელო მითითებები.

მთავრობის ინსტიტუციური სტრუქტურები, პასუხისმგებლობები და შესაძლებლობები

ციფრული მმართველობის სააგენტო და მისი როლი ღია მონაცემების განვითარებაში

მთავარი სტრატეგიული დოკუმენტების (საჯარო ადმინისტრირების რეფორმა (PAR) და მისი სამოქმედო გეგმა, ციფრული მმართველობის სტრატეგიის პროექტი და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) სამოქმედო გეგმები) ანალიზი ცალსახად გამოყოფს ციფრული მმართველობის სააგენტოს, როგორც წამყვან ორგანიზაციას ღია მონაცემთა ინიციატივების განხორციელების კუთხით (ოპერაციულ დონეზე). აღნიშნულ როლს სტრატეგიული კონტექსტი ამყარებს. ციფრული მმართველობის სააგენტოს მარეგულირებელი სადამფუძნებლო კანონითა და ქარტიით, DGA-ს მინიჭებული აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება, დაადგინოს ღია მონაცემთა სტანდარტები და შეიმუშაოს სახელმძღვანელო მითითებები საქართველოს ღია მონაცემების პორტალისთვის. გარდა ამისა, სააგენტო პასუხისმგებელია აღნიშნულ პორტალზე მონაცემთა ხელმისაწვდომობაზე.

ამგვარი უფლებააღმჭურველი სტრატეგიული და სამართლებრივი ჩარჩოს არსებობის მიუხედავად, ციფრული მმართველობის სააგენტო არსებით დაბრკოლებებს აწყდება. გამოწვევები მოიცავს ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობას, ადამიანური და ტექნიკური პოტენციალის სიმწირეს პორტალის ასამუშავებლად, ღია მონაცემთა პოლიტიკისა და სტანდარტების მიღებასა და აღსრულებასთან (სხვადასხვა სახელმწიფოებრივი დაწესებულების

მიერ) დაკავშირებულ შეზღუდვებსა და ფულადი სახსრების სიმწირეს, საზოგადოების ჩართულობის კამპანიების მეშვეობით, „მომარაგების მხრის“ ეფექტიანად სტიმულირებისთვის. ციფრული მმართველობის სააგენტოსთვის მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს ადამიანური პოტენციალი — საჭიროა მეტი პროფესიონალი და მეტი ადამიანური რესურსი ღია მონაცემებთან დაკავშირებული ინიციატივების განსახორციელებლად და ვალდებულებათა შესასრულებლად. გარდა ამისა, ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატი (მისი მნიშვნელოვნების მიუხედავად) არასრულყოფილია — არ არსებობს შესატყვისი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ღია მონაცემთა ეკოსისტემის განვითარებას შეუწყობდა ხელს. აღნიშნული სამართლებრივი ჩარჩო გადამწყვეტი ფაქტორია, რომლის გარეშეც სააგენტო ვერ მიაღწევს დასახულ მიზნებსა და ხელშესახებ შედეგებს.

ციფრული მმართველობის სააგენტო პასუხისმგებელია ღია მონაცემთა პირველ ეროვნული პორტალის (data.gov.ge) მუშაობაზე, რომელიც სხვადასხვა სამინისტროსა და საჯარო დაწესებულებების დაახლოებით 174 მონაცემთა ნაკრებს მოიცავს. მონაცემები ხელმისაწვდომია ხელახალი გამოყენებისთვის, ღია ფორმატებში (XML, CSV). მონაცემთა ხელმისაწვდომ ნაკრებთა უმრავლესობა ფინანსებისა და განათლების სფეროებიდანაა.

ციფრული მმართველობის სამთავრობო კომისია

საქართველოში ციფრული მმართველობის განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N 603 დადგენილებით „ციფრული მმართველობისთვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“, შეიქმნა ციფრული მმართველობისთვის სამთავრობო კომისია. ციფრული მმართველობის კომისიას სათავეში უდგას კომისიის თავმჯდომარე. აღნიშნულ თანამდებობას იკავებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე.

ციფრული მმართველობის კომისიის მანდატებია:

- ციფრული მმართველობისა და სახელმწიფო სერვისების მიწოდების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა.
- სახელმწიფო სერვისების ბიზნესპროცესების ოპტიმიზაციისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებებით მათი მიწოდების ხელშეწყობა.
- საქართველოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებების ერთიანი ინფორმაციული აქტივების შექმნის ხელშეწყობა და კოორდინირება.
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში საქართველოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინაციის ხელშეწყობა.

ამჟამად, კომისია აქტიურად არ მუშაობს. შეხვედრები ხშირად არ ტარდება. თუმცა, ფუნქციონირების მომატებასთან ერთად, კომისიის როლი ღია მონაცემთა საკითხების მოგვარებაში, ციფრული მმართველობის დღის წესრიგის ფარგლებში, უმნიშვნელოვანესი იქნება. ასევე, გადამწყვეტი იქნება კომისიის როლი ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ღია მონაცემთა განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მონაცემთა ღიაობისთვის უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და კოორდინირების პროცესების ზედამხედველობა.

ღია მონაცემებთან დაკავშირებული მანდატის არმქონე სხვა სახელმწიფო დაწესებულებები

USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამა საქართველოში: ღია მონაცემთა მმართველობის შეფასება

ციფრული მმართველობის სააგენტოს გარდა, არსებობს საჯარო სექტორის სხვა, ღია მონაცემთა პროგრამაში წვლილის შეტანის პოტენციალის მქონე, დაწესებულებებიც. ესაა დაწესებულებები, რომლებიც მონაცემთა დიდ მოცულობას ამუშავებს, მართავს მონაცემთა რეესტრებს და უზრუნველყოფს სახელმწიფო სერვისებს. ეს დაწესებულებებია: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქსტატი, შემოსავლების სამსახური, იუსტიციის სახლი, საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, განათლების, სპორტისა და კულტურის სამინისტრო. ჩამოთვლილ დაწესებულებათაგან (რომლებიც პასუხისმგებელნი არიან IT პროექტების მეთვალყურეობაზე და საქართველოს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ) არც ერთს არ აქვს სამართლებრივი უფლებამოსილება ან მოტივაცია ღია მონაცემთა პროექტების ინიცირებისა და მონაცემთა მანქანაკითხვად ფორმატში დასამუშავებლად.

საქართველოს არ გააჩნია კანონმდებლობა, რომელიც მონაცემთა მფლობელებს მიანიჭებდა უფლებამოსილებას, შეექმნათ მონაცემები ხელახალი გამოყენებისთვის. ციფრული მმართველობის სააგენტოს სამართლებრივი საფუძველი არ განსაზღვრავს ღია მონაცემთა განვითარების პროგრამის ხელშეწყობის პოტენციალის მქონე სხვა, სახელმწიფო დაწესებულებათა უფლებებსა და პასუხისმგებლობებს. დაინტერესებულ მხარეთა მიერ ინტერვიუებში გამოხატული მოსაზრების თანახმად, საქართველოს მთავრობას არ გააჩნია ღია მონაცემთა ეკოსისტემის განვითარებისთვის საჭირო პოტენციალი, რესურსები, ხედვა და გამოცდილება. მათი აზრით, სტრატეგიული, პოლიტიკური და სამართლებრივი განვითარების მიმართულებით უფლებამოსილება უნდა მიენიჭოს საქართველოს მთავრობას; ციფრული მმართველობის სააგენტოს შეუძლია ოპერაციული უფლებამოსილება განახორციელოს, ხოლო მონაცემთა მფლობელებს, ღია მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით, საკუთარი პასუხისმგებლობები უნდა გააჩნდეთ. მიუხედავად იმისა, რომ ციფრული მმართველობის სააგენტოს შეუძლია, შეითავსოს ღია მონაცემთა ცენტრალური საცავის როლი, საჯარო დაწესებულებების, მონაცემთა მფლობელებისა და მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი ორგანოების მოვალეობებს ცალსახად ესაჭიროება დეტალიზება. ამ დაწესებულებებმა უნდა განსაზღვრონ მონაცემთა ხელახალი გამოყენების სტანდარტები და მონაცემთა გამოქვეყნების პირობები. ასევე, აუცილებელია, იზრუნონ მონაცემთა ხარისხზე, მთლიანობასა და სისრულეზე.

ამ დრომდე, ციფრული მმართველობის სააგენტოს ერთადერთ ვალდებულებად მიჩნეული იყო წამყვანი უფლებამოსილების ქონა. მონაცემთა მფლობელებს კი პასუხისმგებლობები არ გააჩნდათ. ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის დონეებზე არსებობს მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი რამდენიმე დაწესებულება, რომელთა ჩართულობასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს — მოვალეობების განაწილება და პროცესის თანამართვა საქართველოში ღია მონაცემების მმართველობის საუკეთესო პრაქტიკის საფუძველი იქნება. აღნიშნულის არარსებობა კი, როგორც ჩანს, შესაბამისი ინსტიტუციური არქიტექტურის მთავარი ხარვეზია.

ამჟამად, საჯარო სექტორში, ღია მონაცემთა შექმნაზე პასუხისმგებელი, წამყვანი დაწესებულებები არ იკვეთება. გარდა ამისა, საქართველოს კერძო სექტორი ციფრული ტრანსფორმაციისა და ICT სფეროს განვითარების კუთხით გაცილებით მაღალ საფეხურზე დგას; ამიტომ, გადაწყვეტების აუტსორსინგი პრობლემის მოგვარების შესაძლო გზად შეგვიძლია

მივიჩნიოთ. მონაცემთა შექმნაზე პასუხისმგებელ სამთავრობო უწყებებს არ გააჩნიათ მონაცემთა მანქანაკითხვად ფორმატში წარმოდგენისთვის საჭირო პოტენციალი, უნარები, მოტივაცია და უფლებამოსილება.

სახელმწიფო მონაცემთა მართვის პოლიტიკა, პროცედურები და მონაცემთა ხელმისაწვდომობა

მთავარი პრობლემა, რომელიც საქართველოში ღია მონაცემების განვითარებას უშლის ხელს, არის **ღია მონაცემთა ფორმის, ხელახალი გამოყენებისა და ხარისხის განმსაზღვრელი პოლიტიკისა და სტანდარტების არარსებობა**. ციფრული მმართველობის სააგენტოს კანონი და ქარტია ცალსახად აღნიშნავს, რომ სააგენტოს მანდატი ნორმატიული აქტის ამოქმედებაა. თუმცა, ამ დრომდე, არ არსებობს არც აღნიშნული კანონი, არც — მთავრობის მონაცემთა ხარისხის, წარმომავლობის, დროულობისა და სისრულის მარეგულირებელი ქვენორმატიული პოლიტიკა ან სტანდარტი.

საჯარო მონაცემებთან დაკავშირებული ტრანზაქციების ციფრული და ფიზიკური ვერსიებისა და **საჯარო სექტორის ციფრულ ფორმატში გადაყვანის დონის შესახებ** შედარებითი კვლევა არ განხორციელებულა. აღნიშნულის შესახებ არც სათანადო საჯარო მონაცემებია ხელმისაწვდომი. სახელმწიფო რეესტრებისა და სისტემების ციფრულ ფორმატში გადაყვანა 2004 წელს დაიწყო. გარდაქმნის პროცესმა სისტემურად მოიცვა მთავრობის ყველა შტო.

ყოველდღიური საქმიანობისას, თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულება, მუნიციპალიტეტების ჩათვლით, დოკუმენტებისთვის განკუთვნილი სამუშაო პროცესების ელექტრონული კანცელარიის სისტემებს იყენებს. საჯარო დაწესებულებებს ევალებათ, სამუშაო პროცესებისთვის ერთ-ერთი ასეთი სისტემა აირჩიონ. აღნიშნულის გარდა, არსებობს სხვა სისტემებიც (საჯარო შესყიდვების სისტემების ჩათვლით), რომელთა ფარგლებში დოკუმენტები ციფრულად მუშავდება. შესაძლოა არსებობდეს მოლოდინი, რომ საჯარო დაწესებულებების მიერ შექმნილ დოკუმენტთა 100% ციფრულ ფორმატშია, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქეები და კერძო დაწესებულებები საჯარო დაწესებულებებთან კომუნიკაციისას ჯერ კიდევ ფიზიკურ არხებს იყენებენ, აღნიშნული დაწესებულებებიდან მიღებული დოკუმენტები ფიზიკურ ფორმატშია. ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა, რომელიც 2001 წლიდან რეგულარულად ახლდება და იცვლება, ადგენს ზოგად წესებს ელექტრონული კანცელარიის სამუშაო პროცესებისა და საქმის ავტომატიზებული მართვის სისტემებისთვის, საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების საჯარო სექტორში გამოყენებისთვის, ელექტრონული კომუნიკაციის დამყარების უფლებისა და დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში შენახვისა და გამოქვეყნებისთვის. შესაბამისი სტანდარტებისა და პოლიტიკის მიხედვით მომუშავე საჯარო ადმინისტრაციებს რამდენიმე სახის სისტემის გამოყენება შეუძლიათ. სახელმწიფო დაწესებულებები ვალდებული არიან, შიდა კომუნიკაციებისთვის, უფლებამოსილ პირებთან, მოქალაქეებსა და ბიზნესებთან ურთიერთობისას გამოიყენონ ელექტრონული საშუალებები.

კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ აღიარებს ონლაინ და ციფრულ დოკუმენტთა და კვალიფიციური ელექტრონული სანდო მომსახურების ნამდვილობას, ევროკავშირის eIDAS რეგულაციის შესაბამისად.

სახელმწიფო მონაცემთა ტექნოლოგიური ფორმატების წესების განმსაზღვრელი ერთიანი სტანდარტი არ არსებობს. სახელმწიფო მონაცემთა ფორმატს (ღია, კერძო) ძირითადად განსაზღვრავს კონკრეტული სახელმწიფო ორგანო.

მონაცემთა არქივირებისა და ციფრული შენახვისთვის განკუთვნილი სტანდარტები, პოლიტიკა, ვალდებულებები თუ პროცედურები დადგენილი არ არის. მონაცემთა არქივირებასა და მათ ხანგრძლივად შენახვაზე პასუხისმგებელი დაწესებულება არის სსიპ საქართველოს ცენტრალური არქივი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით. საქართველოში არ არსებობს სამართლებრივი ბაზა ციფრული არქივირებისთვის, არც — კანონი, რომელიც ციფრული არქივირების პრინციპებსა და სტანდარტებს დაარეგულირებდა. მომზადდა არქივირებას დაქვემდებარებად მონაცემთა განმსაზღვრელი და ტექნიკური სტანდარტების პროექტი, ასევე — სამართლებრივი ცვლილებები, რომლებიც ჯერ-ჯერობით არ ამოქმედებულა. ციფრული არქივირებისთვის სამართლებრივი საფუძვლის დადგენა ციფრული მმართველობის სტრატეგიის პროექტის ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნულის დანერგვის შემდეგ, დღის წესრიგში შევა ნახსენები თემები (2024 წლიდან).

მოცემული დროისთვის, საქართველოს ურთიერთთავსებადობის ჩარჩო პრაქტიკაში არ არის მიღებული და დანერგილი. ეროვნული ურთიერთთავსებადობის ჩარჩოს დანერგვის პირველი მცდელობა 2013 წელს იყო. პირველი პროექტი კი 2016 წელს შეიქმნა. 2022 წელს, აღნიშნული დოკუმენტი განახლდა ევროკავშირის შესაბამის ჩარჩოში განხორციელებული ცვლილებების საპასუხოდ. საქართველოს ურთიერთთავსებადობის ჩარჩო გასაზღვრავს საინფორმაციო სისტემების ურთიერთთავსებადობის პოლიტიკას, პრინციპებსა და სტანდარტებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა სახელმწიფო უწყებებისთვის. ურთიერთთავსებადობის სტანდარტის ამოქმედებისა და პრაქტიკული დანერგვის დაწყების შემდეგ, საქართველოს საჯარო სექტორს ექნება შესაძლებლობა, დაინახოს საჯარო სექტორში გამოყენებული და ხელმისაწვდომი სისტემებისა და ტექნოლოგიების ზოგადი სურათი და გაიგოს, რომელი მათგანი შეესაბამება ურთიერთთავსებადობის სტანდარტებს.

საქართველოში მონაცემთა მმართველობის სტანდარტების არარსებობამ და ერთიანი ურთიერთთავსებადობის ჩარჩოს დაუცველობამ გამოიწვია მთელი რიგი პრობლემებისა, კერძოდ: საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართ არაკოორდინირებული მიდგომა, რესურსების დუბლირება (მაგ., სხვადასხვა დაწესებულებაში მონაცემთა ერთი და იგივე ნაკრების ხელმისაწვდომობა), იდენტური ინფორმაციის შემცველი რამდენიმე სისტემის არსებობა, ასევე შეცდომები და ხარვეზები პოლიტიკის შემუშავებისა და სახელმწიფო სერვისების მიწოდების პროცესში. აღნიშნულ პრობლემათა გადასაჭრელად, 2012 წელს ამოქმედდა ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის კანონი და ჩამოყალიბდა ერთიანი სახელმწიფო რეესტრთა რეესტრი (RoR) — კატალოგი, რომელმაც გააერთიანა საჯარო სექტორთა რეესტრები, მონაცემთა ბაზები, სერვისები და საინფორმაციო სისტემები. კანონის მიზანია, შეიქმნას საჯარო სექტორის ფარგლებში არსებული მონაცემთა ბაზების, რეესტრების, საინფორმაციო სისტემებისა და სერვისების კატალოგი, რომელშიც აღწერილი იქნება ხელმისაწვდომი საინფორმაციო რესურსები. ყოველივე ეს კი იქნება ინფორმაციის დამუშავების, საინფორმაციო სისტემების კოორდინირებისა და შეთანხმებული განვითარების, ერთიანი საინფორმაციო პოლიტიკის შექმნის ხელშეწყობისა და სახელმწიფო რესურსების ეფექტიანი გამოყენების საფუძველი. კანონი ამოქმედდება ისეთი რეესტრის შექმნის გზით, რომელშიც ასახული იქნება საჯარო სექტორის ფარგლებში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსები. პროექტის დაწყებისას, 2012 წელს, 85 საჯარო დაწესებულება დარეგისტრირდა პორტალზე (<http://ror.dea.gov.ge/>), რეესტრის სუბიექტის სახით. ამავდროულად, მონაცემები ატვირთულ იქნა 344 რეესტრსა და 315 სერვისში. ამის შემდეგ, საქმიანობა არ გაგრძელებულა. აღსრულებისა და კოორდინირების არარსებობის გამო, ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის პროექტი ამჟამად შეჩერებულია.

Georgian Government Gateway (G3) ინფრასტრუქტურა არსებულ საინფორმაციო რესურსებს აერთიანებს და უზრუნველყოფს სტანდარტულ წვდომას მომსახურებებზე. G3 წარმოადგენს აპარატულ-პროგრამულ კომპლექსს, რომელიც ქმნის ერთიან, თუმცა, გეოგრაფიულად განაწილებულ, მონაცემთა დაკავშირებული ბაზების საინფორმაციო სისტემას. G3 სარგებლობს Microsoft-ის მზა ტექნოლოგიით. ციფრული მმართველობის სააგენტო ერთიან ქსელში აკავშირებს სახელმწიფო დაწესებულებებს, ბიზნესებსა და ორგანიზაციებს, რითაც ქმნის ერთგვარ ელექტრონულ მომსახურებათა შუამავალს მონაცემთა მიმოცვლისთვის. აღნიშნული პლატფორმის წყალობით, საჯარო და კერძო დაწესებულებებს ინფორმაციის მიმოცვლა დროულად და უსაფრთხოდ შეუძლიათ, ხოლო არსებულ სისტემაში ადაპტირის დამატებით, შესაძლებელი ხდება მინიმალური დანახარჯით პლატფორმასთან სხვადასხვა სისტემისა და მონაცემთა ბაზის დაკავშირება, G3 მონაცემთა მიმოცვლის ინფრასტრუქტურის დახმარებით. კონცეფცია უზრუნველყოფს სხვადასხვა ტექნოლოგიების ინტეგრაციას და, ამასთან, იძლევა სარეზერვო მონაცემთა ცენტრალიზებული შემოწმების საშუალებას, სტანდარტებისა და რეგულაციების დაცვის მიზნით.

დღესდღეობით, G3 ხელს უწყობს, აერთიანებს და ამარტივებს კომუნიკაციას საჯარო და კერძო სექტორებს შორის. იგი უზრუნველყოფს მონაცემთა ხელახალ გამოყენებას ხელისუფლების სხვადასხვა დაწესებულებასა და მომსახურების სფეროში, კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების მაღალი დონის შენარჩუნების პარალელურად. იყენებს რა საკომუნიკაციო და მონაცემთა მიმოცვლის ზოგადი სტანდარტებს, G3 ამარტივებს ელექტრონულ მომსახურებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნებას. მას მინიმუმამდე დაჰყავს ინტეგრაციის, განვითარებისა და მხარდაჭერის ხარჯები. მონაცემთა ხელახალი გამოყენებისას ერთჯერადი პრინციპის დაცვა ამცირებს შეცდომების რაოდენობასა და დუბლირებულ შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს. **აღნიშნული უპირატესობების მიუხედავად, საჯარო დაწესებულებათა და არსებულ ცალკეულ სისტემებს შორის კოორდინირებისა და თანამშრომლობის სიმწირის, ასევე რეესტრის მფლობელთა შორის კონკურენციის გამო, ყველა სახელმწიფო ორგანო არ იყენებს Georgian Government Gateway-ს, როგორც მონაცემთა მიმოცვლის ერთადერთი წყაროს.**

არ არსებობს მონაცემებზე/დია მონაცემებზე პასუხისმგებელი ერთი კონკრეტული სამინისტრო თუ სააგენტო. მონაცემები დამოუკიდებელ ორგანოებს ეკუთვნის, რომლებსაც გააჩნიათ მონაცემთა დამუშავებისთვის (ან განკარგვისთვის) საჭირო უფლებამოსილება, სფეროების შესაბამისად. ყველა დაწესებულება საკუთარი სტანდარტის, ფორმატებისა და პროცედურების გათვალისწინებით ამუშავებს მონაცემებს. პირობებს, წესებსა და პოლიტიკას თავად განსაზღვრავენ. მონაცემთა გასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილებებსაც თავად იღებენ. არ არსებობს სექტორთაშორისი თუ ცენტრალური პოლიტიკა ან სტანდარტი, რომელიც დაარეგულირებდა მონაცემთა მართვას. საჯარო დაწესებულებათა უმრავლესობაში არ არის შემუშავებული შიდა რეგულაციები. თითოეული სახელმწიფო დაწესებულება საკუთარ მონაცემთა ნაკრებს თავადვე განაგებს. მონაცემთა მართვის კონკრეტული პრაქტიკაც ინდივიდუალურად იწერება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირები მონაცემებით ვაჭრობენ კომერციულ და არაკომერციულ დაწესებულებებთან, ასევე — სხვა დანაყოფებთან, განსაკუთრებულ ფასად. **არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი, რომელიც ზღვარს გაავლებდა კომერციულ მომსახურებასა და სახელმწიფოს მონაცემებს შორის.** საჯარო სამართლის იურიდიული პირები თავად განსაზღვრავენ, რომელი მონაცემია სერვისი და რომელი — სახელმწიფოს მონაცემი.

მონაცემებზე თანხის სანაცვლოდ წვდომის მოპოვების არაერთი მაგალითი არსებობს: შემოსავლების სამსახური თანხას აჭრის კომერციულ ბანკებს, როცა ბანკებს ესაჭიროებათ

მონაცემები იურიდიულ თუ ფიზიკურ პირთა შესახებ და მათი საგადასახადო ვალდებულებების შესახებ; განათლების სამინისტრო იმავე მიდგომას იყენებს, როცა ამოწმებს სტუდენტის სტატუსს. ასეთი მიდგომა ქაოსურია. თითოეულ დაწესებულება თავად წყვეტს, კონკრეტული მომსახურებისთვის კომერციული საფასური დააწესოს თუ უსასყიდლოდ გაასაჯაროოს მონაცემები.

მონაცემთა მართვისთვის ერთიანი პოლიტიკისა თუ სტანდარტების ერთობლიობის არარსებობა ღია მონაცემთა განვითარებას აბრკოლებს. თავდაპირველად, მიღებულ უნდა იქნას ღია მონაცემთა კანონი; მონაცემთა ხარისხისა და სიზუსტის სტანდარტსა და პოლიტიკასთან დაკავშირებული ყველა მომდევნო დოკუმენტი უნდა გამომდინარეობდეს აღნიშნული კანონიდან და დადგენილ უნდა იქნას მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

მთავრობის ეროვნულ, სექტორულ და ინსტიტუციურ დონეებზე არ არსებობს მონაცემთა მმართველობის პოლიტიკა და პროცედურები. მონაცემთა მართვის გარკვეული ასპექტები ინფორმაციის უსაფრთხოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფრო ზოგად კატეგორიებს მიეკუთვნება, ხოლო მონაცემთა არქივირება, ხანგრძლივი შენახვა, ლიცენზირება, მონაცემთა მფლობელობა და სათანადო სტანდარტები ჯერ კიდევ არაა საკმარისად განვითარებული. მეტიც — ცალსახა სტანდარტი, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებდა ღია მონაცემებს ფასიან საჯარო სერვისებისგან — დადგენილი არ არის.

მოთხოვნა ღია მონაცემებზე

მოქალაქეებსა (როგორც წესი, სამოქალაქო ორგანიზაციების მეშვეობით) და მეწარმეებს ყველა საჭირო რესურსი გააჩნიათ, საკუთარი ელექტრონული მომსახურების შესაქმნელად როგორც მთავრობასთან, ასევე — ნებისმიერ სხვა სუბიექტთან თანამშრომლობის გზით. აღნიშნულის განსახორციელებლად მათ ხელმისაწვდომი ღია მონაცემები ესაჭიროებათ. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო ინდუსტრიის მხრიდან ღია მონაცემებზე მოთხოვნა არ შეფასებულა. საკითხის შესახებ საჯარო ინფორმაციაც არაა ხელმისაწვდომი. აქვე იკვეთება საჭიროება, მომხმარებელთა ეკოსისტემებისა თუ საზოგადოების მხარდასაჭერად და მოთხოვნადობის გასაზრდელად, განიმარტოს, შეიქმნას და დაინერგოს სათანადო სისტემები; აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია სტრუქტურირებული დახმარებით, მხარდაჭერის სხვადასხვა გზით (ბლოგები და სამაგალითო გამოცდილება), ხელსაწყოებით, ღონისძიებებით, ჰაკათონებით, შეჯიბრებებით და ა.შ. თუმცა, ღია მონაცემებზე მოთხოვნის გაზრდის მიზნით არაფერი განხორციელებულა.

ღია მონაცემთა ეროვნული პორტალის (data.gov.ge) ანალიტიკის თანახმად, მომხმარებლები ყველაზე მეტად დაინტერესებულნი არიან სანოტარო მომსახურებასთან, შესყიდვებთან და საბიუჯეტო ინფორმაციასთან დაკავშირებული ღია მონაცემებით. სწორედ ასეთი ტიპის ინფორმაციაა ჩამოტვირთული პორტალიდან ყველაზე ხშირად. საქართველოს ეროვნული ბანკის თვალსაზრისით, კერძო სექტორის მხრიდან მაღალი მოთხოვნაა ინფორმაციაზე ვალუტის კურსის შესახებ, ღია მონაცემების ფორმით და სტრუქტურულ და სტატისტიკურ ფორმატში. სახელმწიფო სექტორის ფარგლებში, საჯარო დაწესებულებების მიერ ერთმანეთში მონაცემების მიმოცვლა ჩვეული პრაქტიკაა, რომელიც დაფუძნებულია სახელშეკრულებო ვალდებულებებზე ან სამართლებრივ მოთხოვნებზე, მოქმედი კანონის გათვალისწინებით. მონაცემებზე წვდომის მოპოვებას ყოველთვის წინ უძღვის მაღალ მმართველობით დონეზე წარმართული მოლაპარაკებები. შედეგად, მონაცემთა მიმოცვლა ხორციელდება უშუალოდ დაწესებულებებს

შორის ან ციფრული მმართველობის სააგენტოს მონაცემთა მიმოცვლის ინფრასტრუქტურის შუამავლობით.

საქართველოს საზოგადოების სამოქალაქო და კერძო სექტორი საკმარისად განვითარებული არაა, რათა ხელისუფლების დანაყოფების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ხელმისაწვდომი მონაცემები გამოიყენოს ან მოითხოვოს აღნიშნული შეგვიძლია მივიჩნიოთ საზოგადოების გაცნობიერებულობის დონის, უნარებისა და ინტერესის არარსებობისა და ხელმისაწვდომი მონაცემთა ღირებულების გაუაზრებლობის შედეგად.

გასაკვირია, თუმცა ყველაზე ნაკლები ჩართულობა ბიზნესის სექტორის — ღია მონაცემთა ყველაზე მნიშვნელოვანი რეციპიენტის — მხრიდან აღინიშნება. კერძო სექტორს შეუძლია გამოიყენოს ხელმისაწვდომი ღია მონაცემები საკუთარი პოტენციალის, უნარებისა და გაცნობიერებულობის გასაუმჯობესებლად შესყიდვების სფეროში. მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ინფორმაცია სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების შესყიდვების გეგმების შესახებ ბიზნეს სექტორს შეუძლია გამოიყენოს წინასწარი ბიზნეს გეგმების შესადგენად. ამჟამად, ბიზნეს სექტორი ვერ აცნობიერებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონაცემთა უპირატესობებს, რასაც საქართველოს მთავრობისთვისაც უარყოფითი შედეგები მოაქვს — ტენდერთა 27-28% ჩავარდნილია იმის გამო, რომ ბიზნეს სექტორი მოუმზადებელია და არ გააჩნია შესყიდვების სააგენტოს მიერ მოთხოვნილი სათანადო პროდუქტებისა და მომსახურებების უზრუნველყოფისთვის საჭირო ცნობიერება. საქართველოში დარეგისტრირებული 220 200 კომპანიიდან, მხოლოდ 56 000 არის ჩართული შესყიდვების პროცესში; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყანას გააჩნია პოტენციალი, ჰყავდეს უამრავი ბენეფიციარი შესყიდვებთან დაკავშირებული ღია მონაცემების მიმართულებით.

ბიზნეს სექტორს არ აქვს ღია მონაცემებთან მუშაობისთვის საჭირო შესაძლებლობები. ღია მონაცემთა დამუშავების პროცესში არც სამეწარმეო გაერთიანებები, ფედერაციები თუ კომერციული პალატებია ჩართული, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ორგანიზაციებს, სათანადო კადრების მეშვეობით, ღია მონაცემთა ანალიზისა და ინტერპრეტირების გზით, სათანადო ანალიტიკური ინფორმაციის მიღება შეუძლიათ.

ღია მონაცემებზე მოთხოვნა მედიის სექტორის მხრიდანაც მცირეა. მედია მთავრობის დაწესებულებათა მიერ, ვებ რესურსების მეშვეობით გამოქვეყნებულ მონაცემებს ეფექტიანად იყენებს, თუმცა, იკვეთება ღია მონაცემთა ანალიზისთვის საჭირო პოტენციალის ნაკლებობა. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა ჟურნალისტიკის სფერო უფრო და უფრო პოპულარული და გავლენიანი ხდება, ღია მონაცემებზე მომუშავე ჟურნალისტების რაოდენობა კვლავ მცირეა.

აკადემიური სექტორის მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, უნივერსიტეტებში, პროფესორები და სტუდენტები ღია მონაცემთა შესახებ სათანადოდ ინფორმირებულნი არ არიან. სტუდენტებში ღია მონაცემების თემა, მაგალითად, პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და კიბერუსაფრთხოებასთან შედარებით, ნაკლები პოპულარობით სარგებლობს.

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა (მაგ., IDFI და „საერთაშორისო გამჭვირვალობა“) მხრიდან ღია მონაცემებზე მოთხოვნა დიდია. „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ შესყიდვების სისტემაზე მეთვალყურეობის მიზნით, საკუთარი IT სისტემა — tendermonitor.ge — შექმნა. მსგავს ორგანიზაციებს გააჩნიათ ღია მონაცემთა ანალიზისა და მათი ანალიტიკურ რესურსებად (რაც სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის საკმაოდ გამოსადეგია) გარდაქმნის შესაძლებლობა.

ღია მონაცემებზე დაბალი მოთხოვნის პრობლემა საკმაოდ კომპლექსურია. პირველ რიგში, იმიტომ, რომ აკადემიური და კერძო სექტორები არ არიან ინფორმირებულნი მონაცემთა ხელმისაწვდომობისა და მათი პოტენციური მნიშვნელობის შესახებ. ასევე, მთავრობა არაფერს

აკეთებს მონაცემთა ხელახალი გამოყენების ხელშეწყობისთვის. მეტიც — კერძო და აკადემიურ (რომლის წარმომადგენელთა უმრავლესობა ხანდაზმულია) სექტორებს არ გააჩნიათ მონაცემთა ანალიზისთვის საჭირო უნარები, რის შედეგადაც ქვეყანაში სამეცნიერო და კვლევითი მონაცემების უქონლობაა. დაბოლოს, ხელმისაწვდომია მონაცემთა მხოლოდ რამდენიმე, თანაც არაგანახლებადი, ნაკრები.

სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის, აკადემიური სფეროს, მედიისა და განვითარების პარტნიორების მხრიდან ღია მონაცემებზე მოთხოვნა ფაქტობრივად არ არსებობს. მოთხოვნის არარსებობას რამდენიმე გარემოება იწვევს. მათ შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ზოგადი ცნობიერების უქონლობაა ღია მონაცემთა უპირატესობებისა და ღირებულების შესახებ. მხოლოდ მონაცემთა გამოქვეყნება (თუნდაც მთავრობის სექტორის მიერ) მოთხოვნის გასაზრდელად არაა საკმარისი. მოთხოვნის გაზრდა შესაძლებელია აქტიური საჯარო განხილვების, სამოქალაქო ჩართულობისა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის გზით. პირველ რიგში, აუცილებელია, მთავრობამ გამოხატოს მონაცემთა ღიაობის სურვილი. მანვე უნდა დაარეგულიროს მთლიანი პროცესი — მონაცემთა გამოქვეყნებიდან მათ გამოყენებამდე.

სამოქალაქო ჩართულობა და შესაძლებლობები ღია მონაცემების მიმართულებით

საქართველოში საჯარო სექტორი აქტიურად არ უწყობს ხელს ხელმისაწვდომ ღია მონაცემთა გამოყენებას. იგი არ ცდილობს, გაავრცელოს ინფორმაცია კონცეფციის შესახებ სამოქალაქო და ბიზნეს საზოგადოებებში და არც ახალი ტიპის პარტნიორობებს აყალიბებს ღია მონაცემებზე დაყრდნობით. არ ეწყობა საერთო ღონისძიებები ღია მონაცემთა სფეროში.

არ არსებობს საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემთა წყაროები, რომლებიც საქართველოს მთავრობის მხრიდან ღია მონაცემთა გამოყენების, აპლიკაციების განვითარების, ჰაკათონების დაორგანიზების ან სხვა ტიპის, საერთო ღონისძიებათა შექმნის ხელშეწყობას დაადასტურებდა. საჯარო სექტორის წარმომადგენლების აზრით, საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და მარკეტინგულ კამპანიებზე მუშაობის დაწყებამდე, აუცილებელია, მონაცემები ხელმისაწვდომი გახდეს ღია ფორმატში. ქვეყანაში ერთადერთი ყოველწლიური ღონისძიება — DataFest — ტარდება,⁵⁰ რომელიც დაორგანიზებულია ადგილობრივი კომპანიის (ForSet) მიერ. ღონისძიება თავს უყრის მონაცემთა აქტივიზმითა და ღია მმართველობით დაინტერესებულ მხარეებს. DataFest დიდი პოპულარობით სარგებლობს, თუმცა, საჯარო სექტორის მხრიდან ინტერესი და მასში წვლილის შეტანის სურვილი მცირეა. გარდა ამისა, თავად საჯარო სექტორი არასდროს ყოფილა მონაცემებთან დაკავშირებული, ღია მონაცემთა ხელშეწყობისთვის გამიზნული (მაგ., ჰაკათონები და დატათონები) ღონისძიებების ინიციატორი.

საქართველოში მობილური აპლიკაციების ეკონომიკა მზარდია და სტარტაპთა თითქმის 80-90% ახალი აპლიკაციებისა და კომპიუტერული პროგრამების შექმნაზე მუშაობს, თუმცა, ღია მონაცემების საშუალებით შექმნილი აპლიკაციების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არაა.

საქართველოში ღია მონაცემების სფეროში სამოქალაქო ჩართულობა ძალიან დაბალია ღია მონაცემთა დამუშავებისთვის საჭირო ცნობიერების, ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების სიმწირის გამო. კერძო სექტორი სახელმწიფო მონაცემთა გამოქვეყნებასთან დაკავშირებული პოტენციური სარგებლისა და ღია მონაცემთა ხელმისაწვდომობის მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებული არაა. მსხვილი კომპანიები უშუალო კომუნიკაციას ამყარებენ სახელმწიფო მონაცემთა მფლობელებთან და მონაცემებს „მომსახურების“ სახით იღებენ. მცირე და საშუალო

⁵⁰ <https://datafesttbilisi.wixsite.com/website>

საწარმოები კი არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან, რადგან არ ფლობენ ინფორმაციას მათთვის საჭირო ინფორმაციის მფლობელების შესახებ და არც იმის საშუალება აქვთ, „მონაცემთა მიღების მომსახურების“ სანაცვლოდ თანხა გადაიხადონ. არ არსებობს თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ რა გზით შეუძლია კერძო სექტორს, სამეწარმეო საქმიანობისთვის, ღია მონაცემთა გამოყენება.

ღია მონაცემების პოტენციალი არაა შესწავლილი კერძო სექტორის წარმომადგენლების მიერ (მედია საშუალებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩათვლით). იშვიათობას წარმოადგენს მონაცემთა მოთხოვნა მანქანაკითხვად ფორმატში და მონაცემთა ჩამოტვირთვა ღია მონაცემთა პორტალიდან. აღნიშნული გვაძლევს საფუძვლს ვივარაუდოთ, რომ ზოგადად, კერძო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მედიის წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს არ აქვთ გაცნობიერებული ღია მონაცემთა უპირატესობები და არ შეუძლიათ მათი გამოყენება. მიუხედავად მეთვალყურე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან მთავრობაზე აქტიური დაკვირვებებისა და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის ხშირად მოთხოვნისა, ისინი არ იყენებენ მონაცემთა მოცულობით ნაკრებებს ანალიტიკური მიზნებისთვის. აღნიშნულ სფეროში აქტიურობას მხოლოდ რამდენიმე სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ორგანიზაცია (მაგ., TI, IDFI და ForSet) იჩენს, რომლებიც იაზრებენ ღია მონაცემთა მნიშვნელობას და ქმნიან ღია მონაცემებზე დაფუძნებულ, ანალიტიკურ ხელსაწყოებს, რომლითაც სხვებიც სარგებლობენ.

მედია ორგანიზაციები არ იჩენენ ინტერესს CSV ან XML ფორმატებში არსებული სახელმწიფო მონაცემთა ანალიზის მიმართ და არც შესაბამისი შესაძლებლობები აქვთ; ნაცვლად ამისა, როგორც წესი, მონაცემებს მხოლოდ ჟურნალისტიკური გამოძიებებისთვის ითხოვენ. ჟურნალისტთა უმრავლესობა Excel ფაილებს იყენებს, მხოლოდ რამდენიმე მათგანი თუ არის გამოცდილი API ფაილებთან მუშაობაში. საქართველოში მონაცემებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკის არასათანადოდ განვითარება, მედია საშუალებების მხრიდან, ღია მონაცემების მიმართ ენთუზიაზმის ჩამოყალიბებას აბრკოლებს. საგამოძიებო ჟურნალისტები ხშირად ეყრდნობიან ღია მონაცემებს საფუძვლიანი კვლევის ან ფაქტების შემოწმების გარეშე, რაც რეგიონში ფაქტებზე დაფუძნებული რეპორტაჟების არარსებობის პრობლემას ამწვავებს.

რაც შეეხება დონორ ორგანიზაციებს — საქართველოს განვითარების პარტნიორები მონაცემთა ღიაობას, დემოკრატიზაციასა და გამჭვირვალობას მხარს უჭერენ; თუმცა, თავად ჯერ კიდევ არ გამოუხატავთ ინტერესი ღია მონაცემთა საკუთარი მიზნებისთვის გამოყენების მიმართ.

საქართველო ღია მონაცემების შუამავლების ნაკლებობასაც განიცდის. ამჟამად, პოტენციურ მხარეებს (საჯარო და კერძო სექტორები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მედია და აკადემიური სფერო) შუამავლის ფუნქციის შესასრულებლად საჭირო ინტერესი, უნარები და ცოდნა აკლიათ. გამოკითხულ დაინტერესებულ მხარეთა აზრით, აღნიშნული ფუნქცია უნდა შეითავსოს ციფრული მმართველობის სააგენტომ, რომელიც ღია მონაცემებს პოტენციურად გარდაქმნის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციად, ევროკავშირის ქვეყნების მსგავსად (მაგ., ესტონეთი), სადაც საჯარო სექტორი ხელს უწყობს პოტენციალისა და ცნობიერების განმავითარებელი აქტივობების ორგანიზებას სამიზნე აუდიტორიისთვის.

საქართველოს ღია მონაცემთა ეკოსისტემა კვლავ განუვითარებელია როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორებში. კერძო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ საჯარო სექტორში ხელმისაწვდომ ღია მონაცემთა ეფექტიანად გამოყენებისთვის საჭირო ცოდნა, გამოცდილება, უნარები და შესაძლებლობები. საქართველოში მონაცემთა ჟურნალისტიკის სფერო, ფაქტობრივად, არ არსებობს. ქვეყანას ასევე არ ჰყავს ღია მონაცემებზე დაფუძნებული ანალიტიკური პროდუქტების შემქმნელი შუამავლები.

ღია მონაცემთა პროგრამის დაფინანსება

მთავრობის ადმინისტრაციაში, პოლიტიკის დაგეგმვისა და მთავრობათაშორისი კოორდინაციის ღეპარტამენტი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ღია მონაცემთა მმართველობასთან დაკავშირებული სახელმწიფო ძალისხმევის ხელშეწყობაში. მისი მანდატია ღია მმართველობის პარტნიორობის დონორთა მხარდაჭერის ხელშეწყობის აქტივობებზე პასუხისმგებელ, სახელმწიფო დაინტერესებულ პირთა მხარდაჭერა, დონორთა საზოგადოებასთან თანამშრომლობის ხელშეწყობა და ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოძილიზება. ღია მონაცემთა ნებისმიერი ტიპის ინიციატივისთვის, მთავრობის ადმინისტრაცია, პასუხისმგებელ ორგანიზაციებთან (მაგ., ციფრული მმართველობის სააგენტო) ერთად, ზრუნავს შესაბამის დონორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის დამყარებასა და მისგან ფინანსური დახმარების მიღებაზე.

გარდა ამისა, საქართველოს ღია მმართველობის საბჭომ დონორთა საზოგადოების წევრ ორგანიზაციებს (USAID, UNDP, EUD და GIZ) გაუგზავნა მოწვევა საბჭოს სხდომაზე აქტიურად მონაწილეობის მიზნით. ამგვარი ჩართულობა უზრუნველყოფს დონორთა უშუალო ინფორმირებას ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივების შესახებ. აღნიშნულ დონორი ორგანიზაციები დაინტერესებულნი არიან ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივებით. მათ არაერთხელ დაუფინანსებიათ ორგანიზაციის სხვადასხვა პროექტი (ღია მონაცემების დარგში განხორციელებული პროექტების ჩათვლით).

ღია მონაცემთა ინიციატივების დანერგვისთვის დონორთა მხარდაჭერის არარსებობა ხელისშემშლელი ფაქტორი არასდროს ყოფილა. შესაძლოა, სიმართლეს მოკლებული არ იყოს ის მოსაზრება, რომ ზოგჯერ ინიციატივებს არასაკმარისი დაფინანსება აქვთ, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, დონორთა საზოგადოება ხელს უწყობს ღია მონაცემთა განვითარების პროცესებს. პოლიტიკურ ლიდერთა უშუალო ჩართულობა გრანტების მოპოვების პროცესში საჭირო არ გამხდარა, რადგან ფინანსური სახსრების მოძიების ეფექტიანად მართვა შუამავალ ორგანიზაციულ დონეზე მთავრობის ადმინისტრაციის ფარგლებშიც სავსებით შესაძლებელია.

სახელმწიფო დაინტერესებულ პირთა გადმოსახედიდან ცალსახაა, რომ დონორი ორგანიზაციები და განვითარების პარტნიორები აშკარა ინტერესს იჩენენ ღია მონაცემთა სფეროს მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ დონორთა საზოგადოება უდავოდ დაინტერესებულია, მხარი დაუჭიროს საქართველოში ღია მონაცემთა განვითარებას, ფინანსური მხარდაჭერის სტაბილურობა მთავარ დაბრკოლებად მაინც რჩება. ფინანსური მხარდაჭერის სტაბილურობას ეჭვქვეშ აყენებს სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან არასაკმარისი დაფინანსების არსებობა. საქართველოს მთავრობა ზედმეტადაა დამოკიდებული დონორებზე. სახელმწიფო მათ ღია მონაცემთა განვითარების მთავარ მხარდამჭერებად მიიჩნევს, რაც, გრძელვადიან პერსპექტივაში, არცთუ ისე პრაგმატული მიდგომაა.

რეკომენდებულია, დონორებმა გამიზნულად შეუწყონ ხელი ისეთი სფეროების განვითარებას, რომლებსაც მთავრობა არასაკმარისად უჭერს მხარს. თუმცა, საქართველოს მთავრობა უნდა წარმოადგენდეს მონაცემთა განვითარების დაფინანსების ძირითად წყაროს. ღია მონაცემთა ეკოსისტემის ზოგადი განვითარებისთვის, დონორებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ არსებული ჩავარდნების აღმოფხვრაზე და არა — მთავრობის, როგორც დაფინანსების ძირითადი წყაროს, ჩანაცვლებაზე.

ამ მომენტისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სტაბილური მხარდაჭერის არარსებობის გამო, ღია მონაცემთა ინიციატივები ხანმოკლეა, შემოიფარგლება რამდენიმე, იზოლირებული პროექტით,

ნაცვლად ხანგრძლივი, მთავრობის მიერ მხარდაჭერილი პროგრამებისა, რომლებიც იქნებოდა ღია მონაცემთა ინიციატივების უწყვეტობის გარანტი.

ქვეყნის ტექნოლოგიებისა და უნარების ინფრასტრუქტურა

ტექნოლოგიური პროგრესი და უნარების გაუმჯობესება გადამწყვეტ როლს თამაშობს ღია მონაცემთა ინიციატივების ეფექტიანად განხორციელებაში. თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და სათანადო უნარების ერთობლიობა ხელს უწყობს გამჭვირვალობას, ინოვაციურობასა და ინფორმირებულ გადაწყვეტილებათა მიღებას ღია მონაცემთა ეკოსისტემის განვითარებისთვის. საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ტექნოლოგიებისა და უნარების ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური ზრდის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეკოსისტემის განვითარების, ინოვაციებისა და განათლების ხელშეწყობას. 2021 წლის მონაცემებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით 4G დაფარვა მოსახლეობის 94%-სთვის არის ხელმისაწვდომი. ასევე, ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს მზადება 5G ქსელის დანერგვისთვის.⁵¹ საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიამ (ComCom) უფლება მისცა SpaceX-ის Starlink-ს ქვეყანაში სატელიტური ინტერნეტი შემოეყვანა. დღესდღეობით კი საქართველო ერთ-ერთია იმ 60 ქვეყანათაგან, სადაც Starlink-ის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი ხელმისაწვდომი.

მძლავრი ტელესაკომუნიკაციო ქსელებისა და ბოჭკოვან-ოპტიკური ქსელების გაფართოება ციფრული სერვისების (ციფრული მმართველობა, ინტერნეტ-ვაჭრობა, ციფრული უნარები, ინტერნეტ ბანკინგი და, რაც მთავარია, ღია მონაცემთა ეკოსისტემა) სპექტრს ზრდის. მთლიანობაში, საქართველოში კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურა საკმაოდ მძლავრია, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ფართო, სტაბილური და მობილური დაფარვის არსებობის წყალობით.

არაურბანულ ტერიტორიებზე საკომუნიკაციო მომსახურების ხელმისაწვდომობის პრობლემა („ციფრული უთანასწორობა“) კვლავინდებურად არსებობს. თუმცა, სხვაობა ყოველწლიურად მცირდება. 2022 წლისთვის ინტერნეტის გამოყენების მაჩვენებელი 88.4%-მდე გაიზარდა; ურბანულ ტერიტორიებზე აღნიშნული მაჩვენებელი 92.8% იყო, ხოლო ქალაქგარეთ — 82.4% წლიურმა ზრდამ 2%-იან მაჩვენებელს მიაღწია.⁵² ოჯახების დაახლოებით 60% ფლობს პერსონალურ კომპიუტერს. მოსახლეობის დაახლოებით 74%-ს აქვს სმარტფონი.⁵³ 2023 წლისთვის, ინტერნეტთან წვდომა ჰქონდა ბიზნესთა 84,4%-ს. საქართველოში, კერძო სექტორის მიერ ხელოვნური ინტელექტის და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების სერვისებით სარგებლობის მაჩვენებელი შედარებით დაბალია და 1,5%-ს შეადგენს. ხოლო IoT ტექნოლოგიებს ქართული კომპანიების 10% იყენებს.⁵⁴

ITU-ის 2021 წლის ICT განვითარების ინდექსის (IDI) ანგარიშის მიხედვით, საქართველო 176 ქვეყნიდან 49-ე ადგილს იკავებს. 2020 წლის ანგარიშის ადგილთან (58-ე) შედარებით, პროგრესი შეინიშნება. საქართველოში ICT განვითარების ინდექსი განსაკუთრებით მაღალია წვდომისა და გამოყენების მიმართულებით. მობილური ტელეფონების რაოდენობისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის მიხედვით, ქვეყანას მაღალი მაჩვენებელი აქვს. მოქალაქეები უფრო და უფრო ხშირად იყენებენ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა მიზნისთვის.

51 <https://www.comcom.ge/ge/yvela-siaxle/5g-augcionshi-gamardivebulad-selfi-mobaili-gamocxadda.page>

52 <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/104/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebi>

53 <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamogeneba-shinameurneobebshi>

54 <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/105/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamogeneba-satsarmoebsi>

მიუხედავად ამისა, საქართველომ სათანადო უნარებსა და გარემოსთან დაკავშირებული მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე უნდა იზრუნოს.

საქართველო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში გამოწვევებს აწყდება — კვალიფიკაციის დონე მსოფლიო საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. ქვეყნის ციფრულ პროგრესს მნიშვნელოვნად აფერხებს ციფრული წიგნიერების არასათანადო დონე. 2021 წლის მონაცემებით, მოქალაქეთა მხოლოდ 36% ფლობს საბაზისო, ხოლო 1% — მაღალი დონის ICT უნარებს. ციფრული უნარების ნაკლებობა, ციფრული კომუნიკაციის დაბალ დონესთან ერთად — იქნება ეს ბიზნესის მომხმარებლებთან ურთიერთობა (B2C), თუ მომხმარებლის ბიზნესთან (C2B) — აბრკოლებს ელექტრონული ჯანდაცვის, ელექტრონული ტრანსპორტის, ინტერნეტ-ვაჭრობის, ელექტრონული სოფლის მეურნეობისა და „ჭკვიანი ქალაქების“ სერვისების განვითარებას.

აღნიშნულ საკითხთა მოსაგვარებლად, ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული სტრატეგია 2020-2025 მიზნად ისახავს საქართველოს ინტერნეტ-ეკოსისტემის საკანდიდო სფეროების გაძლიერებასა და გაუმჯობესებას. სტრატეგიის ამოცანაა ციფრული უნარების გაუმჯობესება, B2C და C2B ციფრულ კომუნიკაციათა ხელშეწყობა და ელექტრონული ჯანდაცვის, ელექტრონული ტრანსპორტის, ინტერნეტ-ვაჭრობის, ელექტრონული სოფლის მეურნეობისა და „ჭკვიანი ქალაქების“ სერვისების დანერგვისა და მათზე მოთხოვნის გაზრდის უზრუნველყოფა. სწორედ ასეთი ფართომასშტაბიანი მიდგომა გააუმჯობესებს ქვეყნის ზოგად ციფრულ სურათს.

ICT სექტორის წილი საერთო ნომინალურ მშპ-ში 2016 წლიდან სტაბილურად იზრდებოდა (2016 წელს მაჩვენებელი 2,6%-ს შეადგენდა, რომელიც 2022 წლისთვის 4,1%-მდე გაიზარდა). საერთაშორისო ICT კომპანიებისთვის შეთავაზებული, გადასახადებთან დაკავშირებული წახალისების ფორმები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ICT ინდუსტრიის განვითარებაში. ICT სექტორის განვითარებაზე ასევე დიდი გავლენა იქონია 2022 წელს დაწყებულმა უკრაინის ომმა. კონფლიქტმა საქართველოში კვალიფიციურებულ კადრთა (უკრაინელების, ბელარუსებისა და რუსების) მიგრაცია გამოიწვია.⁵⁵ შედეგად, ICT სექტორში დასაქმებულთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. 2022 წელს აღნიშნულ სექტორში დასაქმებული იყო 36,707 ადამიანი (2021 წელთან შედარებით, 20%-ით მეტი), რაც დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 3%-ს შეადგენდა. დასაქმების მომატებული მაჩვენებლის გარდა, 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს საშუალო ნომინალური ანაზღაურება 56%-ით გაიზარდა. აღნიშნული მატების ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორი კადრებზე მოთხოვნის გაზრდაა ბაზარზე ახალი კომპანიების შემოსვლის გამო.⁵⁶

ინოვაციათა განვითარებას მნიშვნელოვნად აბრკოლებს ლიმიტირებული ფინანსური რესურსები. ქართული ინოვაციური და ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სტარტაპ-კომპანიები სწორედ ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს აწყდებიან. მზარდი ICT სექტორის ფარგლებში, სულ ახლახან დაიწყო ინდუსტრიისთვის სპეციფიკური გაერთიანებების შექმნა. აღნიშნული მისწრაფების პირველი ეტაპია ქართული ICT დაჯგუფების ჩამოყალიბება, რომელიც პოტენციურად წარმოადგენს ICT სფეროს დაინტერესებული მხარეებისთვის განკუთვნილ საერთო პლატფორმას. პლატფორმის მთავარი მიზნებია: ბიზნეს-კავშირების ჩამოყალიბება როგორც ადგილობრივად, ასევე — გლობალურად, ქართული ICT ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

55 <https://www.german-economic-team.com/en/publication/relocation-of-people-from-russia-and-belarus-to-georgia-results-of-survey-and-economic-implications/>

56 PMCG კვლევა – ICT სექტორი საქართველოში, 2023 წ.

მიუხედავად იმისა, რომ ICT მაჩვენებლები ინდუსტრიის განვითარებაზე მეტყველებს, ქვეყნის ზოგადი პოტენციალი, შექმნას ინოვაციური საშუალებები, მისი მზაობა უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის მიმართ და უნარი, გამოიყენოს ICT კონკურენტუნარიანობისა და ზოგადი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, მოითხოვს განსაკუთრებულ და მიზანმიმართულ ყურადღებას. ICT სექტორში, საქართველოს პოტენციალის აღნიშნული დადებითი ასპექტების გაუმჯობესება შესაძლებელია მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებისა და ღია მონაცემთა ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობით.

საქართველოში ქვეყნის ტექნოლოგიებისა და უნარების ინფრასტრუქტურა დამაიმედებელია. იგი სასურველ პირობებს ქმნის ღია მონაცემთა განვითარებისთვის. მას აქვს პოტენციალი, გახდეს მამოძრავებელი ძალა, რომელიც გაუძღვება საჯარო სექტორში გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და მონაცემებზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარებას. ქვეყნის ტექნოლოგიებისა და უნარების ინფრასტრუქტურა ყველა საჭირო ტექნოლოგიურ თუ ადამიანურ რესურსს უზრუნველყოფს ინოვაციური გადაწყვეტილების, გამჭვირვალობის, განვითარებისა და მონაცემებზე დაფუძნებული პროგრესის ხელშეწყობისთვის.

დანართები

ძირითადი რესპონდენტები

1. მთავრობის ადმინისტრაცია (AoG)
2. ციფრული მმართველობის სააგენტო (DGA)
3. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA)
4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (SPA)
5. საქართველოს ეროვნული ბანკი (NBG)
6. მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო (MSDA)
7. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური (PSDS)
8. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკური სამსახური (FAS)
9. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
10. მედიის განვითარების ფონდი (MDF)
11. ინოვაციური განათლების ფონდი
12. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინფორმაციო რესურსები

1. ღია მონაცემების ბარომეტრი — <https://globaldatabarometer.org/country/georgia/>
2. ღია მონაცემთა აღწერა — <https://odin.opendatawatch.com/>
3. 2021 წლის ანგარიში ღია მონაცემთა მზაობის თაობაზე — https://data.europa.eu/sites/default/files/landscaping_insight_report_n7_2021.pdf
4. ITU ციფრული განვითარების ხელსაწყოთა პანელი — <https://www.itu.int/en/ITU-D/Statistics/Dashboards/Pages/Digital-Development.aspx>
5. საქართველოს ICT სექტორი, 2023 წლის PMCG კვლევა — <https://pmcg-i.com/publication/information-and-communications-technology-sector-in-georgia/>
6. სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო, ქარტია — <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4951005?publication=0>
7. საქართველოს კანონი სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ — <https://matsne.gov.ge/document/view/4893222?publication=0>
8. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ — <https://matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=0>
9. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი — <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=43>
10. საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ — <https://matsne.gov.ge/document/view/1679424?publication=7>
11. საქართველოს კანონი ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ — <https://matsne.gov.ge/document/view/1338521?publication=1>
12. საქართველოს მთავრობის დადგენილება ციფრული მმართველობის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ — <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5675915?publication=0>
13. ხელდა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ — <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5604706?publication=0>
14. საქართველოს მთავრობის დადგენილება საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიისა და საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ — <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5723982?publication=0>
15. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5723982?publication=0>
16. საქართველოს მთავრობის დადგენილება საქართველოს ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ — <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4798598?publication=0>
17. საქართველოს მთავრობის დადგენილება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ — <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2001875?publication=0>
18. ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დადგენილება (EU) 2019/1024 ღია მონაცემთა და საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელახალი გამოყენების შესახებ — <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32019L1024>
19. ღია მონაცემთა ხელსაწყოთა ნაკრები - <https://opendatatoolkit.worldbank.org/en/data/opendatatoolkit/odra>
20. IDFI, საქართველოში საჯარო მონაცემების ეკოსისტემის მთავარი გამოწვევები და საჭიროებები — https://idfi.ge/en/main_gaps_and_challenges_of_georgia_s_public_data_ecosystem
21. საქსტატის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტატისტიკა — <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi>

USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამა საქართველოში: ღია მონაცემთა მმართველობის შეფასება

22. ეროვნული ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგია (პროექტი)
23. E-GEORGIA — Decades of Successful Transition — ბეჭდური რესურსი
24. ComCom-ის 2022 წლის (წლიური) ანგარიში —
<https://www.comcom.ge/uploads/other/11/11972.pdf>
25. ანტიკორუფციული სამოქმედო ცენტრი, უკრაინა, <https://antac.org.ua/en/>
26. ბალკანეთის საგამოძიებო რეპორტაჟის ქსელი, <https://birn.eu.com/>
27. Code for America, <https://codeforamerica.org/>
28. ევროპის საბჭო, ტრომსოს კონვენცია, <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treatyenum=205>
29. მონაცემთა ვიზუალიზაციის საზოგადოება, <https://www.datavisualizationsociety.org/>
30. EU GDPR, <https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2016/679/oj>
31. ევროპის ჟურნალისტიკის ცენტრი, <https://ejc.net/>
32. გერმანიის მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის თავისუფლების ფედერალური კომისარი, https://www.bfdi.bund.de/EN/Home/home_node.html
33. კანადის მთავრობა, დირექტივა ავტომატიზებული გადაწყვეტილებების მიღების შესახებ <https://www.tbs-sct.canada.ca/pol/doc-eng.aspx?id=32592>
34. კანადის მთავრობა, კანადის ინოვაციური გადაწყვეტები, <https://ised-isde.canada.ca/site/innovative-solutions-canada/en/innovative-solutions-canada>
35. საგამოძიებო რეპორტიორები და რედაქტორები, <https://www.ire.org>
36. McKinsey & Company, სახელმწიფო მონაცემთა მართვა ციფრული ეპოქისთვის, <https://www.mckinsey.com/industries/public-sector/our-insights/government-data-management-for-the-digital-age>
37. ღია მონაცემების ქარტიის პრინციპები, <https://opendatacharter.net/principles/>
38. Open Data Commons-ის ლიცენზიები, <https://opendatacommons.org/licenses/odbl/>
39. Open Data Global Network, <https://thegovlab.org/project/project-open-data-500-global-network>
40. ღია მონაცემების ინსტიტუტი, კანადა, http://open.canada.ca/en/open_data_institute_%2528odi%2529
41. ღია მონაცემები, ნიუ-იორკი, <https://opendata.cityofnewyork.us/learn-open-data/>
42. აფრიკის ღია ინსტიტუტი, <https://openinstitute.africa/>
43. Oxford Insights, Harnessing Data for the Public Good, <https://www.oxfordinsights.com/insights/2022/10/26/harnessing-data-for-the-public-good-what-can-governments-do>
44. Sunlight Foundation, <https://sunlightfoundation.com/>
45. გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა ეთიკისა და ინოვაციის ცენტრი, <https://www.gov.uk/government/organisations/centre-for-data-ethics-and-innovation>
46. გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ციფრული მომსახურება, <https://www.gov.uk/government/organisations/government-digital-service>
47. გაერთიანებული სამეფოს მთავრობა, ღია მონაცემთა პოლიტიკა, <https://tfl.gov.uk/info-for/open-data-users/open-data-policy>
48. გაერთიანებული სამეფოს ინფორმაციის კომისიის აპარატი, <https://www.gov.uk/government/organisations/information-commissioner-s-office>
49. აშშ-ს საინფორმაციო სამსახურის ფედერალურ დირექტორთა საბჭო, <https://www.cio.gov/>



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

National Governance Program

საჯარო მმართველობის პროგრამა